

178  
1973



# სახვითა სამართალი

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1973 6



# საბჭოთა სამართალი

## № 6

ნომერი — დეკემბერი  
1973 წელი  
გამოცემის XX წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და  
უმაღლესი სასამართლოს ორგანო  
ორთვიური ჟურნალი

### ზინაარსი

გ. ძოწენიძე — სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ . . . . .	3
გ. უვანია — ადამიანის უფლებათა დღე . . . . .	13
ა. აბესაძე — საბჭოთა მოქალაქის უფლებების რეალიზაციის ზოგიერთი საკითხი სახელმწიფო მმართველობის სფეროში . . . . .	19
მ. კახაძე — არქიტექტურათა სააგტორო უფლებების გაფართოებისათვის . . . . .	27
ლ. ჩორგოლაშვილი — რკინიგზის პასუხისმგებლობა ტვირთის დაზიანებისათვის . . . . .	36
<u>პ. ჩხეიძე</u> — დამამსიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოების გარეშე ჩადენილი მკვლელობის ზოგიერთი სახე . . . . .	46
ნ. ერკომაიშვილი — კანონიერების უმკაცრესი დაცვა — დანაშაულობის ლიკვიდაციის საწინდარია . . . . .	55
მ. კომახიძე — მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის . . . . .	65
ნ. ნასარიძე — საპრეტენზიო მუშაობა ახალი მოთხოვნების დონეზე . . . . .	71
ოფიციალური მასალა . . . . .	75
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე . . . . .	76
ინფორმაცია . . . . .	77
მოკლე ცნობები . . . . .	85
საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა . . . . .	86
არბიტრაჟის პრაქტიკა . . . . .	91
ბიბლიოგრაფია . . . . .	94

12.2.32

კ. მარქსის სს. საქ. სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა



## СОДЕРЖАНИЕ

Г. Дзоценидзе — О дальнейшем развитии и совершенствовании социалистической демократии . . . . .	3 13
Г. Жвания — День прав человека . . . . .	19
А. Абесадзе — Некоторые вопросы реализации прав советского гражданина в сфере государственного управления . . . . .	27
М. Кохадзе — К расширению авторских прав архитекторов . . . . .	36
Л. Чорголашвили — Ответственность железной дороги за повреждение груза . . . . .	46
П. Чхеидзе — Некоторые виды убийств совершенных без отягчающих и смягчающих обстоятельств . . . . .	55
Н. Эркомашвили — Строжайшее соблюдение законности — залог ликвидации преступности . . . . .	65
М. Комахидзе — Совершенствовать деятельность органов ЗАГС . . . . .	71
Н. Насаридзе — Претензионная работа на уровне новых требований . . . . .	75
Официальный материал . . . . .	76
В коллегии Министерства юстиции Грузинской ССР . . . . .	77
Информация . . . . .	85
Краткие сообщения . . . . .	86
Из практики прокурорского надзора . . . . .	91
Практика арбитража . . . . .	94
Библиография . . . . .	94

### სარედაქციო კოლეგია

შპვ. № 3919  
 ტირაჟი 17.250  
 შპ 01657

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. 107.

გალეცა წარმოებას 12/XII-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/II-74 წ., ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვტკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
 Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

# სოციალისტური დემოკრატიის შედეგები განვითარებისა და სრულყოფის შესახებ

ბ. ძოწენიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

1972 წლის დეკემბერში ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს — სსრ კავშირის შექმნის ორმოცდამეათე წლისთავი.

ვ. ი. ლენინს, კომუნისტურ პარტიას უდიდესი დამსახურება მიუძღვით მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში, მის განმტკიცებასა და აყვავებაში. ოქტომბრის რევოლუციით შობილმა ახალმა სახელმწიფომ ხალხის ფართო მასები ჩააბა საზოგადოების მართვაში, გადაუშალა მათ არნახული ასპარეზი უნარისა და ნიჭის მთელი სისრულით გამოვლინებისათვის.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

პარტიის XXIV ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია: „პარტიამ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი და ფრიად მრავალმხრივი მუშაობა განახორციელა საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისა და ჩვენი საზოგადოების მთელი პოლიტიკური ორგანიზაციის სრულყოფისათვის. ამ საქმიანობის მთავარი მიმართულება კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად იყო და არის სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება“.<sup>1</sup>

კომუნისტური პარტია, რომელიც ქმნის სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარების პირობებს, ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის იმ მითითებით, რომ საწარმოო ძალებისა და კულტურის განვითარების თითოეულ საფეხურს თან უნდა ახლდეს საბჭოთა სოციალ-პოლიტიკური სისტემის სრულყოფა. „ჩვენთვის — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე — სოციალისტური დემოკრატიის აზრი და შინაარსი არის სულ უფრო ფართო მასების მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის მართვაში და საზოგადოებრივ საქმეებში. საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემა, მშრომელთა განუწყვეტელი მზარდი ინიციატივა ჩვენში კომუნისტური მშენებლობის საქმეს ემსახურება. ასეთი დემოკრატია ჩვენთვის საარსებო მოთხოვნილებაა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების აუცილებელი პირობაა“.<sup>2</sup>

საბჭოთა დემოკრატიის განვითარება და სრულყოფა ხდება ჩვენი საზოგადოების სოციალ-ეკონომიური, სულიერი და კულტურული პროგრესის, სახელმწიფოს ძლიერების ზრდის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საფუძველზე.

<sup>1</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 98.

<sup>2</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 105.

საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებასთან. ჩვენს განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში სოციალური პროცესებისადმი ხელმძღვანელობის სახელმწიფო ფორმების როლისა და მნიშვნელობის ამოღება ხდება სახელმწიფოს ორგანიზატორული საქმიანობის გაფართოების, ეკონომიური, სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზე ამ საქმიანობის სულ უფრო მეტი გავრცელების გზით, რაც თავის მხრივ მთელი სივრცე-სივრცით აყენებს სახელმწიფოს განმტკიცებისა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარების პროცესების თანაფარდობის პრობლემას. ამ პრობლემათა ურთიერთკავშირი და ურთიერთგაპიროვნებულობა აღნიშნული პარტიის XXIV ყრილობის რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო: „ბრძოლა კომუნისმის აშენებისათვის განუყრელად დაკავშირებულია სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებასთან, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებასთან, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთელი სისტემის სრულყოფასთან“.<sup>3</sup>

დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და, უპირველესად, ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სრულყოფას. მ. ი. კალინინი, განსაზღვრავდა რა ამ მუშაობის შინაარსს, წერდა: „მათი ორგანიზაციული მუშაობა ვლინდება სამეურნეო და კულტურულ საქმიანობაში კონკრეტული ადმინისტრაციული და პოლიტიკური ღონისძიებებით. მოსახლეობისათვის ყველა იმ ღონისძიების ახსნა-განმარტება, რომლებსაც ახორციელებენ საბჭოთა ორგანოები, მასების ჩაბმა ამ ღონისძიებათა განხორციელებაში — სწორედ ეს არის საბჭოების მასობრივი მუშაობა, რომლის საშუალებით მათ უნდა შეაკავშირონ და დარაზმონ მასები“.<sup>4</sup> საბჭოების მთელი საქმიანობა გამომდინარეობს მათი როგორც სახალხო ხელისუფლების ყველაზე მასობრივი ორგანოების არსიდან.

ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ ეფექტური ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი დაეყრდნობიან მშრომელთა ფართო აქტივს და განხორციელებენ ორგანულ, ყოველდღიურ კავშირს მოსახლეობასთან.

კომუნისტურ პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია საბჭოთა წარმომადგენლობითი სისტემის სრულყოფა. ამისათვის ზუსტად უნდა განხორციელდეს: საბჭოებისა და მათი დეპუტატების რეგულარული ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე; ამომრჩეველთა უფლება — ვადამდე გაიწვიონ დეპუტატები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ნდობა; საჯაროობა, საბჭოების სესიებზე სახელმწიფო მართვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა; აღმასრულებელი ორგანოების რეგულარული ანგარიშგება და მათი საქმიანობისადმი კონტროლი; საბჭოების მიერ მშრომელთა შეკითხვების სისტემატური განხილვა; საბჭოთა სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა.

სკკპ XXIV ყრილობაზე აღინიშნა, რომ გაძლიერდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს კონტროლი სამინისტროსა და უწყებანთა მუშაობისადმი, სამეურნეო და კულტურული მშე-

<sup>3</sup> სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბილისი, 1971 წ., გვ. 254.

<sup>4</sup> მ. ი. კალინინი, საბჭოთა მშენებლობის საკითხები, მ., 1958, გვ. 667.



ნებლობის გადაწყვეტ უბნებზე საქმის მდგომარეობისადმი. მუდმივ კომისიათა რიცხვის გაზრდა, მათი საქმიანობის გვემანომიერი ორგანიზაცია საშუალებას აძლევს დებუტატებს გამოიჩინონ მეტი ინიციატივა, უფრო ღრმად ჩასწვდნენ აღმასკომების მუშაობას, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ კანონპროექტების მომზადებაში.

მშრომელი მასების მაქსიმალური ჩაბმა სახელმწიფოს მართვაში -- ეს არის საბჭოების ძირითადი უპირატესობა, როგორც იმ სახელმწიფო ორგანიზაციის ფორმისა, რომელიც უზრუნველყოფს ნამდვილ დემოკრატიზმს.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე საბჭოების ნაყოფიერი მუშაობის უმთავრესი საფუძველი იყო და არის მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა კომუნისტური პარტიის მხრივ. პარტია ყოველდღიურად ზრუნავს საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოების მუშაობის საკითხები არაერთხელ განუხილავთ პარტიის ყრილობებსა და კონფერენციებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე.

ადგილობრივი საბჭოების როლისა და აქტივობის შემდგომ ამაღლებას მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის მარტის დადგენილება „მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ძირითადი უფლებებისა და მოვალეობის შესახებ“.

სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში ახალი დიდი ნაბიჯი იყო სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1972 წლის სექტემბერში მიღებული კანონი „სსრ კავშირში მშრომელთა დებუტატების საბჭოების დებუტატთა სტატუსის შესახებ“. ამ აქტმა კიდევ უფრო აამაღლა ხალხის რჩეულების -- უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების დებუტატების ავტორიტეტი.

დებუტატთა სტატუსის შესახებ კანონის განხორციელებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის მუშაობაში. ამ კანონის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების მიზნით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წელს განიხილა მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები და მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში არ იცავენ დებუტატთა სტატუსის 34-ე მუხლის მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ არ შეიძლება შესაბამისი საბჭოს ტერიტორიაზე დებუტატი მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებულ იქნეს ან დაედოს ადმინისტრაციული სასჯელი სასამართლო წესით შესაბამისი საბჭოს, ხოლო სესიათა შორის პერიოდში -- მისი აღმასრულებელი კომიტეტის დასტურის მიუცემლად. აღნიშნული მუხლის დარღვევით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს სოხუმის საქალაქო საბჭოს დებუტატი შ. გვაზავა, წალკის რაიონის აგრანლოს სასოფლო საბჭოს დებუტატი ა. ტერბალიანი, ქარელის რაიონის გვერძილეთის სასოფლო საბჭოს დებუტატი მ. ალბოროვი და სხვები. ასეთივე დარღვევები მოხდა ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში, ზესტაფონისა და მესტიის რაიონებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ

იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, პროკურატურასა და უმაღლეს სასამართლოს დაავალა განუხრელად დაიცვან დეპუტატთა სტატუსის მოთხოვნა და განახორციელონ კანონიერი ღონისძიებანი იმათ მიმართ, ვინც არღვევს მათ. დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაევალოთ დეპუტატებისა და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკთა მონაწილეობით, პერიოდულად მოაწყონ თათბირ-სემინარები, მოხსენებები და კონსულტაციები დეპუტატთა სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის განყოფილებამ კომპლექსურად შეისწავლა რესპუბლიკის ყველა რაიონში დეპუტატის სტატუსის შესახებ კანონის განხორციელების მდგომარეობა.

ადგილობრივმა საბჭოებმაც გარკვეული მუშაობა გასწიეს კანონის განხორციელებისათვის, რამაც ხელი შეუწყო დეპუტატთა ინიციატივის განვითარებას, მათი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეთოთხმეტე მოწვევის საქალაქო და რაიონული საბჭოების, ბორჯომის, მარნეულის, ხაშურის, ონის, ასპინძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების, ფოთის მშრომელთა საქალაქო საბჭოს, აგრეთვე სხვა საბჭოების პირველ სესიებზე განიხილეს საბჭოების ამოცანები დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეისწავლა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ამომრჩეველთა განაწესებს ქალაქ რუსთავში, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ბორჯომისა და სხვა რაიონებში. გამოიჩვენა, რომ გაუმჯობესებულია მუშაობა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის. განაწესების შესასრულებლად ღონისძიებათა გეგმები დამტკიცდა რესპუბლიკის უკლებლივ ყველა ადგილობრივი საბჭოს პირველ სესიაზე. განაწესების შესრულებისადმი კონტროლში აქტიურად მონაწილეობდნენ დეპუტატები.

დეპუტატმა აქტიურად რომ შეასრულოს თავისი მოვალეობა, მარტო დეპუტატის სტატუსი კი არ უნდა იცოდეს, არამედ პარტიისა და მთავრობის ძირითადი დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების საქმის კურსში უნდა იყოს და იცოდეს საბჭოთა კანონების საფუძვლები. რესპუბლიკაში სათანადო ყურადღება ეთმობა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა სამართლებრივი ცოდნის ღონის ამაღლებას. პროკურატურის, სასამართლოების, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, მეცნიერი-იურისტები სისტემატურად გამოდიან დეპუტატთა წინაშე ლექციებით მოქმედი კანონმდებლობის ცალკეულ საკითხებზე. ფოთის საქალაქო, კასპის რაიონულ და ზოგიერთ სხვა საბჭოში შემოღებულია იურიდიული კონსულტაციის დღე დეპუტატებისათვის. თვეში ერთხელ აღმასკომში მორიგეობს იურისტი — სასამართლოს ან პროკურატურის მუშაკი და დეპუტატებს კონსულტაციას უწევს მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საინტერესო საკითხზე. ადგილობრივი საბჭოების ბევრი დეპუტატი სამართლებრივი ცოდნის რაიონული და საქალაქო სახალხო უნივერსიტეტების მსმენელია.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები აწყობენ ახლად არჩეული დეპუტატებისა და წინა მოწვევის დეპუტატთა შეხვედრებს. სერიოზული ყურადღება ეთმობა მუშაობას ახალგაზრდა დეპუტატებთან, რომელთა რიცხვი ახალი



მოწვევის საბჭოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ინიციატივით რაიონებსა და ქალაქებში ეწყობა ახალგაზრდა დეპუტატთა შეკრებები.

რესპუბლიკაში, ძირითადად, ტარდება დეპუტატის შრომითი უფლებების დაცვის შესახებ სტატუსის 32-ე მუხლი. კანონის ამ მუხლზე მიაქციეს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ყურადღება თათბირებზე, რომლებიც მათი მონაწილეობით გაიმართა. მაგრამ, ჯერ კიდევ ვხვდებით კანონის ამ მოთხოვნის დარღვევის ფაქტებს. ზოგიერთ რაიონში (ზუგდიდის, საჩხერის, ხაშურის, გეგეჭკორის და სხვ.) ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია დეპუტატის მოვალეობის შესრულების დროს სამუშაოდან დეპუტატთა განთავისუფლებისა და მათთვის საშუალო ხელფასის შენარჩუნების საკითხები. რუსთავის საქალაქო, მარნეულისა და ახალქალაქის რაიონულ საბჭოებში სესიების მუშაობაში სისტემატურად არ მონაწილეობს დაახლოებით დეპუტატთა 20 პროცენტი.

რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არ არის ორგანიზებული დეპუტატთა მიერ მოქალაქეების მიღება. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ყოველთვის როდი უწევენ დეპუტატებს საჭირო დახმარებას ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშგების მოწყობაში, არ აძლევენ დეპუტატებს საცნობარო და საინფორმაციო მასალებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მშრომელთა მიღების ორგანიზაციის, მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის საქმეს. პარტია მოითხოვს ყველა საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოსაგან უზრუნველყონ მაქსიმალური პირობები მშრომელთა მიღებისათვის, მათს წერილებზე, საჩივრებზე, განცხადებებზე ყურადღებიანი და საქმიანი რეაგირებისათვის.

მოქალაქეთა მიღება და მშრომელთა წერილებზე მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყურადღების ცენტრშია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 12 იანვარს განიხილა საკითხი „მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“. მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისა და მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი, დადგენილი დღეების გარდა, მოქალაქეებს იღებენ ყოველ ორშაბათს 15-დან 20 საათამდე. მოქალაქეთა მიღება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარმოებს ყოველდღიურად 9-დან 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და დეპუტატების მონაწილეობით. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს წინადადება მიეცათ თავიანთ საარჩევნო ოლქებში დაადგინონ ამომრჩეველთა მიღების დღეები და საათები მათთვის მოსახერხებელ ადგილებში და არასამუშაო დროს. დადგენილება ავალებს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს სათანადო პირობები შექმნან იმისათვის, რომ დეპუტატებმა მიიღონ ამომრჩეველები საარჩევნო ოლქების მიხედვით, გამოაყონ ამისათვის ოთახები, უზრუნველყონ დეპუტატები იურიდიული, საცნობარო და საინფორმაციო მასალებით. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაევალებათ გააანალიზონ მიღების დროს აღძრული საკითხები, განიხილონ ისინი აღმასკომების სხდომებზე, განახორცი-

ელონ ქმედითი ღონისძიებანი საჩივრის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად.

პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა, საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, მშრომელთა ყველა მასობრივი ორგანიზაციის როლის ამაღლება ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ურთიერთდაკავშირებული პროცესებია, რომელიც ასახავს ჩვენი სოციალისტური წყობილების ღრმად დემოკრატიულ ხასიათს.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობაზე გამოსვლის დროს ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა, რომ „მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა არ ნიშნავს „გულკეთილი ძია“ იყო ყველა მუშაკისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ წარმოებაში... სწორედ იმიტომ, რომ პროფკავშირები იცავენ მშრომელთა ინტერესებს, ისინი არ უნდა იცავდნენ, და არც შეიძლება იცავდნენ იმათ, ვინც არღვევს სოციალისტურ დისციპლინას. აქ საჭიროა პროლეტარული სიმკაცრე და მომთხოვნელობა“.

მუქთახორობისა და პარაზიტული ელემენტების, ლოთებისა და ხულიგნების წინააღმდეგ ბრძოლაში, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა აქტივობას. ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გარდა, რომლებიც კანონის თანახმად ამ კატეგორიის პირთა წინააღმდეგ ხორციელდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას. კარგად არის ცნობილი, რომ იქ, სადაც შექმნილია პარაზიტული და მოხუცი ელემენტებისადმი შეურთებლობის ატმოსფერო, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები ან სულ არ შეინიშნება ან მინიმუმამდეა შემცირებული.

სამწუხაროდ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის, ქალაქის, სოფლის, დაბის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ეს საქმე თვითდინებაზე მიუშვეს. ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკაში მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი და აღნიშნა, რომ ყველგან როდი სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითება მუქთახორების, წამგლეჯების, ხულიგნების, საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლის, ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ ფართო საზოგადოებრიობის დარაზმვის საჭიროების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ მუშაობას ეწევა, რათა სრული წესრიგი დაამყაროს რესპუბლიკაში, ამიტომ აღნიშნული ანომალური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით აქტუალურ მნიშვნელობას იძენს. ახლა ხშირად ამბობენ ხოლმე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახალ კურსს ახორციელებსო, სინამდვილეში კი ეს არის ჩვენი პარტიის ძველი კურსი, პარტიის წინაშე, სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე, თითოეული მოქალაქის, თითოეული კოლექტივის, თითოეული პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ამაღლების კურსი. ეს კურსი გამომდინარეობს ჩვენი პარტიის მთელი საქმიანობიდან. ამ კურსს მოგვაგონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული მუშაობის შესახებ“.

თითოეული კომუნისტის, თითოეული საბჭოთა მოქალაქის მოვალეობა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მთელი ძალებით მხარი დაუჭიროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს. გადამწყვეტი

ბრძოლა გამოუცხადოს კაპიტალიზმის ყველა გადმონაშთს ჩვენს საზოგადოებაში, იყოს შეურიგებელი ყველა ნაკლოვანებისადმი, შექმნას ვითარება, რათა მუქთახორები, ხულიგნები, წამგლეჯები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებლები თავისუფლად ვერ აკეთებდნენ თავიანთ ბინძურ საქმეს. ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ იერიშისათვის საზოგადოებრიობის დარაზმვა ყველა პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელის და უწინარეს ყოვლისა ადგილობრივი საბჭოების უპირველესი მნიშვნელობის საქმეა.

სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება საბჭოთა ახალგაზრდობის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური უფლებაა.

საქართველოს ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე; რესპუბლიკის კომკავშირი შეფობას უწევს საქართველოს სს რესპუბლიკის დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობას. საქართველოს მშენებლობებზე 8000-ზე მეტი კომკავშირელი შრომობს.

საბჭოთა ახალგაზრდობას, ისევე როგორც ყოველ საბჭოთა ადამიანს, სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული აქვს ფართო სოციალური და პოლიტიკური უფლებანი. ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები, კულტურული ფრონტის მუშაკები დგანან იმათ პირველ რიგებში, ვინც ჩვენი საზოგადოების მატერიალურ სიმდიდრეს ქმნის.

სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოების უზრუნველყოფას პარტიის საქმისადმი, კომუნისმის საქმისადმი ერთგული კადრებით. კომუნისტური პარტია კადრებს არჩევს და ანაწილებს ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული მეცნიერული პრინციპების საფუძველზე. უკვე ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებდან რამდენიმე თვის შემდეგ ნაშრომში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ ვ. ი. ლენინი გვირჩევდა: „...რაც შეიძლება ფრთხილად და მოთმინებით გამოვცადოთ და გამოვიცნოთ ნამდვილი ორგანიზატორები, ფხიზელი გონების და პრაქტიკული გამჭრიახობის მქონე ადამიანები, ადამიანები, რომლებიც სოციალიზმისადმი ერთგულეობას აერთებენ უნართან — უხმაუროდ (და აურზაურისა და ხმაურობის წინააღმდეგ) მოაგვარონ მრავალრიცხოვან ადამიანთა მტკიცე და შეთანხმებული ერთობლივი მუშაობა საბჭოთა ორგანიზაციის ჩარჩოებში. სახალხო შრომის ხელმძღვანელთა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე უნდა დაეწინაუროთ მხოლოდ ასეთი ადამიანები, მათი ათვის გამოცდის შემდეგ, უმარტივესი ამოცანებიდან უძნელეს ამოცანებზე მათი გადაყვანის გზით“.<sup>5</sup>

ვ. ი. ლენინის ამ მითითებაში ვხედავთ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის მეცნიერული პრინციპების არსს. ხელმძღვანელ პოსტებზე კადრების დაწინაურებისას ვ. ი. ლენინი, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვდა მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების გათვალისწინებას. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ვლადიმერ ილიას ძის ერთ-ერთი ბარათი, რომელშიც იგი სთხოვდა მოკლედ შეეფასებნათ მისთვის საინტერესო მუშაკი: „ა) კეთილსინ-

დისიერების თვალსაზრისით, ბ) პოლიტიკური მხრივ, გ) საქმის ცოდნის თვალსაზრისით, დ) ადმინისტრაციული ნიჭის თვალსაზრისით“.<sup>6</sup>

ვ. ი. ლენინის ეს და სხვა ფუძემდებლური პრინციპები სისტემატურად ვითარდება და მდიდრდება სკკპ ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებსა და პარტიის სხვა დოკუმენტებში, შექმნილი გამოცდილებისა და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად.

დიდი წარმატებების მიუხედავად, ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ნაკლოვანებანი კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში, ეს, უპირველესად, ეხება ჩვენს რესპუბლიკას. საქართველოში კადრების პოლიტიკის განხორციელებაში ნეგატიური მოვლენები აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, რესპუბლიკურ აქტივებზე არაერთგზის ითქვა ეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ანალიზებს რა რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, რაიკომებისა და აღმასკომების მუშაობას კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის, უდიდეს საქმიანობას ეწევა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის სწორად გადაჭრისათვის.

ყოველ მუშაკს, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელ საბჭოთა მუშაკს, უნდა ახასიათებდეს თავმდაბლობა, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. რაც უფრო კულტურულია ადამიანი, რაც უფრო მაღალი თანამდებობა თუ მდგომარეობა უჭირავს მას საზოგადოებაში, მით უფრო თავმდაბალი და მოკრძალებული, მით უფრო ყურადღებიანი უნდა იყოს ის ყველასადმი, პირველ რიგში კი იმთ მიმართ, ვინც თანამდებობრივად თუ მდგომარეობით მასზე დაბლა დგას.

კარგად არის ცნობილი, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამ საკითხს ვ. ი. ლენინი. პირველად ლენინმა იხმარა გამოთქმა „კომუნისტური ყოყოჩობა“ თავის სიტყვაში „ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პოლიტგანების ამოცანები“, რომელიც მან წარმოთქვა 1921 წლის 17 ოქტომბერს. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩემი შეხედულებით, ამჟამად ადამიანის წინაშე დგას სამი მთავარი მტერი... პირველი მტერია — კომუნისტური ყოყოჩობა, მეორე — წერა-კითხვის უცოდინრობა, და მესამე — ქრთამი“.<sup>7</sup> წერა-კითხვის უცოდინრობა ჩვენში დიდხანია ლიკვიდირებულია, ხოლო დანარჩენი ორი მტერი — ყოყოჩობა და ქრთამი ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის. „კომუნისტური ყოყოჩობა“ — ეს გამოთქმა დიდხანს იყო ჩვენს პოლიტიკურ ლექსიკონში, ბოლოს გადავარდა, მაგრამ, ეს როდი ნიშნავს, რომ თვით მოვლენაც მოისპო. იგი კვლავ გვაგონებს თავს და არც ისე იშვიათად. ჩვენი ვალია სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ მას, ლენინური პრინციპულობით შევებრძოლოთ ყოყოჩობის ყოველგვარ გამოვლინებას. არა ნაკლებ მავნე და საშიში სენია მლიქვნელობა, რომელსაც ასევე გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ. მლიქვნელი ადამიანი თავის უკულტურობას, სულიერ სილატაკეს სწორედ თავისი მოქმედებით ავლენს. მაგრამ, არ შეიძლება ითქვას, რომ ის, ვინც თავის მიმართ სხვის მლიქვნელურ დამოკიდებულებას

<sup>6</sup> ლენინის კრებული XXIII, გვ. 164.

<sup>7</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., გამ. 4-ე ტ. 33, გვ. 71. უბინო კავთაილუქ ძმ კომუნისტური პარტიის რამ 8

ურიგდება, უფრო ადამიანური თვისებების მქონე იყოს, ვიდრე თვით მლიქვნელი.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ხელმძღვანელს ევალება გამოიყენოს სხვათა ცოდნა და გამოცდილება, შეეკითხოს სხვებს და მხოლოდ მიღებული ინფორმაციის ანალიზის შემდეგ მიიღოს საჭირო გადაწყვეტილება. დაღუპულია იმ ხელმძღვანელი მუშაკის საქმე, ვისაც ზედმეტად მიაჩნია სხვისი რჩევა, სხვა ამხანაგებთან მოთათბირება საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე.

სოციალისტური დემოკრატიისა და სახელმწიფო მშენებლობის განვითარების ერთ-ერთი უდიდესი საკითხია სსრ კავშირის კონსტიტუციის ახალი ტექსტის შემუშავება და მიღება, რომელშიც აისახება საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში და საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარი ცვლილებანი. „...ეს იქნება დიდი ისტორიული მოვლენა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე, — იგი არა მარტო დაეხმარება საბჭოთა ადამიანებსა და მთელ მსოფლიოს უკეთ გაიანზრუნო ყოველივე, რასაც ჩვენ მივალწიეთ, შეაჯამონ ჩვენს მიერ განვლილი გზის შედეგები, არამედ ახალ შუქსაც მოჰფენს კომუნისმისაკენ მიმავალი საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების შემდგომ განვითარებას“.<sup>8</sup>

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომით აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ჩამოყალიბდა მეურნეობის მომწიფებული, ტექნიკურად კარგად აღჭურვილი სისტემა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მოხდა ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის შესამჩნევი დაახლოება. აქტიურად ისპობა განსხვავებანი ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, ქალაქად და სოფლად შრომისა და ცხოვრების პირობებს შორის. ჩვენი ქვეყანა მთლიანი წიგნიერების ქვეყანაა. უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ორ მესამედს.

განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა, მნიშვნელოვნად განვითარდა სოციალისტური დემოკრატია, ამაღლდა საბჭოების როლი და აქტივობა, განმტკიცდა მართლწესრიგი, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფომ შეასრულა თავისი ისტორიული მისია და თანდათანობით გადაიზარდა მშრომელთა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, რომლის ხელმძღვანელი ძალაა მუშათა კლასი.

განმტკიცდა სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. სულ უფრო მძლავრად და ავტორიტეტულად გაისმის საერთაშორისო ასპარეზზე ხმა სოციალისტური თანამეგობრობისა, რომელსაც სათავეში უდგას მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯი — საბჭოთა კავშირი. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა აღნიშნა, პარტიის აქტიური, ინიციატივიანი პოლიტიკა, რომელიც ეყრდნობა საბჭოთა სახელმწიფოს დიად ძალასა და ავტორიტეტს, მთელი ხალხის მხარდაჭერას, ხელს უწყობს პოზიტიურ ძვრებს მსოფლიო მასშტაბით.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ყველა ეს ცვლილება და კრანდიოზული ამოცანები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას განვითარების თანამედროვე ეტაპზე, აისახება სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

<sup>8</sup> სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი, თბილისი, 1972 წ. გვ. 72.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში მოხდა გრანდიოზული გარდაქმნები, რომლებმაც არა მარტო სახე უცვალა მას, არამედ ძირეულადაც შემოაბრუნეს მსოფლიო ისტორიის მსვლელობა. „მან შეძლო, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, — მოეპოვებინა მუშათა კლასის, ყველა მშრომელის უსაზღვრო ნდობა და შეექმნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, საერთო-სახალხო სახელმწიფო, გამოეყვანა მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა კომუნისტური მშენებლობის მაგისტრალურ გზაზე.“

კომუნისტურ პარტიას, რომელიც დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ამბლებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნია სოციალისტური დემოკრატიის განუწყვეტელი განვითარება და სახელმწიფო მშენებლობის შემდგომი სრულყოფა. პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს თავის პოლიტიკაში ამ ლენინურ კურსს. თითოეული საბჭოთა მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ ამოცანის განხორციელებაში.



საბჭოთა  
 კავშირის  
 კომუნისტური  
 პარტიის  
 ცენტრალური  
 კომიტეტის  
 უბიძგო  
 აბ (მბ)  
 უბიძგო  
 უბიძგო  
 უბიძგო  
 უბიძგო  
 უბიძგო  
 უბიძგო

ინ სივრცისა იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ იხილეთ  
 ფც რეცხილით აფ რეცხილით სიძინიდა იტჩინ იბო იუცნებოწონ რც

## ადამიანის უფლებათა დღე

10 დეკემბერი ყოველწლიურად აღინიშნება მთელ მსოფლიოში როგორც „ადამიანის უფლებათა დღე“. წლეულს ეს თარიღი საიუბილეოა: 25 წლის წინათ, 1948 წლის 10 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მესამე სესიაზე პარიზის შაიოს სასახლეში საზეიმო ვითაჩებაში მიიღო „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. თავისთავად ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც ყოველ სახელმწიფო ეროვნული კანონმდებლობითა და პოლიტიკური რეჟიმით განისაზღვრება, საერთაშორისო-სამართლებრივი პრობლემატაა: ხალხთა მართლშეგნებისათვის უკვე ცხადი გახდა (განსაკუთრებით II მსოფლიო ომთან დაკავშირებით) ის ჭეშმარიტება, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ადამიანის დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა უგულვებელყოფა, რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური დისკრიმინაციის გადაქცევა სახელმწიფოებრივ პოლიტიკად, ტერორისტული რეჟიმი და გენოციდის დანაშაული დასაყრდენია აგრესიული ომის მომზადებისა და გაჩაღებისათვის და, ამგვარად, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას.

ასეთი მართლშეგნებიდან გამომდინარე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ ორგანიზაციის ერთ-ერთ მიზნად გამოაცხადა წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობა, რათა ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემას ყველასათვის განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, კერძოდ, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის მიხედვით. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ შემუშავება და მიღება გაეროში ასეთი თანამშრომლობის პირველი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო.

მეორე მსოფლიო ომამდე ადამიანური ღირსების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა ძალიან ვიწრო სფეროში იყო მოქცეული. მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო კონვენციები მონათვაჭრობისა და მონობის, პროსტიტუციისა და ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ“ მძლავრი სტიმული მისცა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას ამ მიმართულებით, რასაც შედეგად მოჰყვა ისეთი აქტების მიღება, როგორცაა „ქალთა პოლიტიკური უფლებების კონვენცია“ (1953), „ბავშვის უფლებათა დეკლარაცია“ (1959), „დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“ (1960), დეკლარაცია (1963) და კონვენცია (1965) რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის მოსპობის თაობაზე, „დეკლარაცია ქალთა დისკრიმინაციის მოსპობის შესახებ“ (1967), აგრეთვე გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, რომლებიც სასტიკად გმობს აპარტჰეიდის პოლიტიკას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სამხრეთ როდეზიის რასისტულ რეჟიმს, ადამიანის უფლებათა გაქვლავას ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე და ა. შ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1966 წელს გენერალური ასამბლეის მიერ მოწონებული ორი პაქტი: „ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფ-

ლებათა პაქტი“ და „ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტი“. მათში განვითარება და კონკრეტიზაცია ჰპოვა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ პრინციპებმა. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა პაქტების, განსაკუთრებით მეორე პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვი ჯერჯერობით ძალიან მცირეა. საბჭოთა კავშირმა ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი მათ და ამ რამდენიმე თვის წინათ მოახდინა კიდევ მათი რატიფიკაცია, რითაც პაქტების დებულებები თავის სახელმეკრულებო ვალდებულებებად აქცია.

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ ჩამოყალიბებული პრინციპების განხორციელება იმ ამოცანას წარმოადგენს, „რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო...“ ჩვენს ქვეყანაში, განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში ეს პრინციპები რეალურად ხორციელდება, რასაც ბუჩქყუაზიული დემოკრატია, რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ უზრუნველყოფს. მიუხედავად ამისა დეკლარაციას დიდი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა და საერთაშორისო-სამართლებრივი ძალა აქვს, იგი ერთ-ერთი იარაღია სოციალური პროგრესის, დემოკრატისა და საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში, ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებას და საერთაშორისო მართლწესრიგის განმტკიცებას. ამიტომ ადამიანის უფლებათა დღე იქცა პროგრესულ ძალთა ერთიანობის მანიფესტაციად, რომელშიც საქართველოს იურიდიული საზოგადოებრიობაც აქტიურად მონაწილეობს.

პირველად ვაქვეყნებთ რა ქართულ ენაზე „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას“, ვფიქრობთ, რომ მას დიდი ინტერესით გაეცნობა სამართლის დარგის ყველა მუშაკი.

პროფ. გ. შვანია

## ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველია; და

ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულვებლყოფას და აბუჩად აგდებას შედეგად მოჰყვა ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს, და ისეთი მსოფლიოს შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და უშიშრად და გაუჭირვებლად იცხოვრონ, გამოსხადებულია როგორც ადამიანთა დიადი მისწრაფება; და

ვინაიდან აუცილებელია ადამიანის უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს აჯანყებას როგორ უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩავგრის წინააღმდეგ; და

ვინაიდან „გაერთიანებული ერების“ ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი და გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში; და

ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას; და  
ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის,

**გენერალური ასამბლეა აცხადებს:**

ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყველა ხალხი და ყველა სახელმწიფო, რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მისწრაფოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ვფექტური აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

**მუხლი 1**

**მუხლი 3**

ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორი იბადება თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულსკვეთებით.

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

**მუხლი 2**

**მუხლი 4**

ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, სარწმუნოების, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის მიხედვით.

არავინ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.

**მუხლი 5**

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

**მუხლი 6**

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია — დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

**მუხლი 7**

ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იმის უფლება აქვს, რომ აღიარებულ იქნეს მისი სამართალსუბიექტობა.

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და სეთრ დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.



მუხლი 8

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტურად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ეროვნული სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

მუხლი 9

არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

მუხლი 10

ყოველ ადამიანს, მის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად, სრული თანასწორობის საფუძველზე, აქვს იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

მუხლი 11

1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე, ანდა ისეთი უნოქნედობისათვის, რომლებიც ჩადენის დროს არ შეადგენდა დანაშაულს ეროვნული კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ისეთისა, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული.

მუხლი 12

არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი

კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან.

მუხლი 13

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუზრკოვდეს იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისი, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მუხლი 14

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დენისაგან თავისუფალი ეძიოს სხვა ქვეყნებში და ისარგებლოს ამ თავისუფალით.
2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი დენის შემთხვევაში, რომლის საფუძველი ნამდვილად არის ჩადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედობისა, რომელიც ეწინააღმდეგება ერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15

1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.
2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

მუხლი 16

1. სრულსაკონცხად მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ, რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით შეუზღუდავად, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.
2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.
3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისაგან და სახელმწიფოს მხრივ.

მუხლი 17

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.

2. არავის არ უნდა ჩამოერთვას მისი ქონება თვითნებურად.

მუხლი 18

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად მოძღვრებაში, ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და თავისუფლებას ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.

2. არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

მუხლი 21

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.

3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდული და გაუყალბებელი არჩევნებით, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი სა-

2. საბჭოთა სამართალი № 6

არჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფს ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე.

3. ყოველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიან და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისთვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია, ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება, სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შვებულების უფლებას ჩათვლით.

მუხლი 25

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტან-

12.232

მუხლის სხვა სსს

საცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება, დაწყებითი და ზოგადი მიანიც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი — ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარისამებრ.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

3. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება აირჩიონ რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მკირველოვანი შვილებისათვის.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ

პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიყვითით.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორიც თვითონ არის.

მუხლი 28

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთი სოციალური და საერთაშორისო წესრიგისა, რომლის პირობებში შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, როგორც კანონითაა დადგენილი მარტოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პირებისათვის უფლებისა ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი მოქმედება, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.

# საბჭოთა მოქალაქის უფლებების ჩაალიზების ზოგნიკური საკითხი სახელმწიფო მმართველობის სფეროში

ა. ავანახია

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ მოქალაქის უფლება-მოვალეობების შინაარსი და სოციალური დანიშნულება მოცემული საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური პირობებით არის განსაზღვრული. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობამ და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამ თვისობრივად ახალი შინაარსი დაუდო საბჭოთა მოქალაქის უფლებებსაც. თანამედროვე ეტაპზე ამ უფლებათა გატარება კომუნისტური საზოგადოების მშენებლის აქტიური ქვეყის დაკანონებული წესი და მისი განხორციელებით მარტო პიროვნების ინტერესები კი არ კმაყოფილდება, არამედ საზოგადოებრივი ინტერესებიც.<sup>1</sup> უფლებათა უზრუნველყოფის გარანტიებში კარგად ჩანს, აგრეთვე სოციალისტური სახელმწიფოს ზრუნვა პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამასთან, უფლებათა მომარჯვებითა და ამოქმედებით საბჭოთა მოქალაქე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების აქტიური მონაწილე ხდება.

კომუნისტური პარტია, სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე, დაბეჯითებით მოითხოვდა რა თვითეულისაგან თავდადებულ შრომასა და რკინისებურ დისციპლინას, ასევე დაუცხრომლად ზრუნავდა საბჭოთა მოქალაქის უფლებების განვითარებისა და სრულყოფისათვის.

სოციალისტურ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ურთიერთობანი სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის, რაზეც არსებითი გავლენა მოახდინა მეურნეობის სოციალისტურმა პირობებმა<sup>2</sup>. ჩვენს ქვეყანაში სოცია-

1 საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული განმარტებით მოქალაქის უფლების ცნება რთულია და იგი ოთხი სახის შესაძლებლობის ორგანულ ერთიანობას წარმოადგენს. პირველ რიგში მიუთითებენ პირის შესაძლებლობას იმოქმედოს, მეორეა შესაძლებლობა განსაზღვროს სხვა პირის მოქმედება. უფლების ცნების არსებითი ნიშანია აგრეთვე შესაძლებლობა მოითხოვოს სახელმწიფოსაგან მისი დაცვა. ცალკე გამოყოფენ შესაძლებლობას ისარგებლო იმ სოციალური სიკეთით, რასაც სოციალისტური საზოგადოება აძლევს თვითეულ მოქალაქეს. იხ. **С. Ф. Кечекьян. Правоотношения в социалистическом обществе. М., 1959, стр. 58 — 59.** უფლების ცნების ამავე ელემენტებზე მიუთითებს ნ. მათეუზოვიც. იხ. **Н. И. Матузов. Личность, права, демократия. Теоретические проблемы субъективного права. Саратов, 1972 г., стр. 290.**

2 რევოლუციის შემდეგ და მარქსიზმთან საერთო არაფერი აქვს. ე. აარონზის ბურჟუაზიულ მტკიცებას იმის შესახებ, რომ, თუ აქამდე რევოლუციური მოძრაობა ემყარებოდა „საკუთრების, ეკონომიური ექსპლოატაციისა და პოლიტიკური ძალაუფლების საკითხებს“, დღეს მასში ადეკვატური ასახვა უნდა ჰპოვოს მარტოოდენ ახალმა ადამიანურმა ღირებულებებმა და მოთხოვნილებებმა.

გვერდს უვლის რა პროლეტარიატის, როგორც რევოლუციური კლასის, ამ კლასის პარტიის გადამწყვეტ როლს, ე. აარონზი სოციალიზმის პირობებში მოითხოვს აშკარა გამოსვლას ბიუროკრატიაში, ზემოდან კონტროლისა და ადამიანთა აზრის დათრგუნვის წინააღმდეგ რაკ თითქოსდა დღევანდელი რევოლუციური მოძრაობის მთავარი დანიშნულებაა. იხ. **А. Сепреев. Философия для «взрывающегося» мира?» ж. «Вопросы философии» № 11, 1973 г., стр. 25.**

ლიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების პირობებში სსრ კავშირის კონსტიტუციით დაკანონებული მოქალაქეთა თავისუფლება ექსპლოატაციისა და უმუშევრობის გარეშე, შრომის, დასვენების, უფასო განათლების, სამედიცინო მომსახურების, მატერიალური უზრუნველყოფის უფლებები და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური თავისუფლებები უცხოა და მიუღებელი კერძო საკუთრების პრინციპზე აგებული ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის. სოციალიზმთან შეჯიბრების თანამედროვე ეტაპზე, მიუხედავად ათასგვარი შელამაზებისა, ბურჟუაზიული დემოკრატია მაინც რჩება დემოკრატიად მდიდრებისათვის. თანასწორობა აქ ფორმალურია და მშრომელთა უფლებები ფიქტიური.

ბურჟუაზიულ უფლებათა ფორმალური ხასიათის მიუხედავად, იმპერიალიზმის პერიოდში ისინი იქცნენ რეაქციის სასტიკი შემოტევის ობიექტად. ბურჟუაზიამ აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებით ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებათა შეკვეცის ხარჯზე, საკანონმდებლო ბერკეტებით და ხშირად აშკარა ფაშისტური მეთოდებითაც კი მატერიალური შინაარსი გამოაცალა ამ უფლებებს და დაუკარგა მათ ობოზიციური სული. ეს ერთხელ კიდევ დამტკიცდა ბოლო დროს ჩილეში რეაქციული გადატრიალებით, სადაც სამხედრო ხუნტამ გაანადგურა ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა ინსტიტუტი და დაამყარა ფაშისტური ხროვის განუსაზღვრელი ბატონობა. ზოგიერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არის ცდები ცალკეული ახალი უფლებების შეტანა კონსტიტუციებში წარმოგვიდგინონ კაპიტალისტური სისტემის რევოლუციურ ღონისძიებად, რის დასამტკიცებლადაც მობილიზებულია მთელი იდეოლოგიური აპარატი.

ბურჟუაზიული დემოკრატიის ეს მანვერი დასავლეთის დღევანდელი ცხოვრების სტილია. კაპიტალისტური კერძო საკუთრება თავისთავად უკვე წინაპირობაა ინდივიდის საზოგადოებისაგან განდგომისა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს როგორც სოციალური საკითხებისადმი პიროვნების პასიურ და გულგრილ დამოკიდებულებაში, ისე ბურჟუაზიული ტრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტების უარყოფაშიც<sup>3</sup>.

ყოველივე ამას საერთო არაფერი აქვს სოციალისტურ საზოგადოებაში პიროვნების სოციალურ აქტივობასთან და სახელმწიფოს ფართო საკანონმდებლო საქმიანობასთან.

სოციალიზმმა, რომელიც საუკეთესოდ ახამებს ჭეშმარიტ დემოკრატიას და მასების მაღალშეგნებულ დისციპლინას, პირველად დააკანონა საბჭოების მეშვეობით სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა რეალური მონაწილეობის უფლება, რითაც გზა გაუხსნა პიროვნების სოციალურ აქტივობას. უფლებათა რეალიზაციის საქმეში დიდია აგრეთვე მშრომელთა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანოების — პირველ რიგში პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, როლი და მნიშვნელობა. ამასთან, უფლებათა რეალიზაცია ორგანულ კავშირშია მოქალაქის კონსტიტუციური ვალდებულებების შესრულებასთან, რაც მიმართულია სოციალისტური საზოგადოებისა და საბჭოთა ადამიანის სრული და ყოველმხრივი განვითარებისაკენ.

კომუნისტური პარტია, ზრუნავს რა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების

<sup>3</sup> დაწვრილებით ამის შესახებ იხ. В. А. Туманов. Буржуазная правовая идеология. М., 1971.

რებისა და სახელმწიფო მმართველობის შემდგომი სრულყოფისათვის, მოიხსონ არა მარტო პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიულ შერწყმას, არამედ მასობრივი და ინდივიდუალური შეგნებულობის გაერთიანებასა და ინდივიდუალურის დონემდე აყვანას. ადამიანის განვითარებისა და სიკეთისათვის ზრუნვა ჩვენი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების უპირველესი მოვალეობაა. იგი გამოსჭვივის როგორც ყოველ მიღებულ უმნიშვნელოვანეს დადგენილებაში, ისე საბჭოთა კანონებშიაც. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე მეცნიერულ საფუძველზე სოციალური ქცევის ოპტიმალური ვარიანტების დადგენას, რომლის პროცესშიც პარტია გადაჭრით იცილებს იმ სტიქიურ და ნეგატიურ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უშლიან ცხოვრების კომუნისტური წყობის ჩამოყალიბებას და ამუხრუჭებენ მოქალაქის უფლებების რეალიზაციის პროცესს.

ცნობილია, რომ უფლება, როგორც ფიზიკური პირის შესაძლებელი ქცევის სახე და ზომა<sup>4</sup> რეალობად იქცევა სამართლის სუბიექტების აქტიური მოქმედებით, მათი ქცევის ან იურიდიული ფაქტების საფუძველზე<sup>5</sup>. მაგალითად, საბჭოთა მოქალაქის შრომის უფლების რეალიზაცია, რაც საბოლოოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის საშუალებით მიიღწევა, რამდენიმე სტადიას გადის, რაც ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში კონსტიტუციურ უფლებათა დახასიათებისას პირველად იქნა დასაბუთებული პროფ. ც. იამპოლსკიას მიერ. სსრ კავშირის კონსტიტუციის 131 მუხლის თანახმად ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი შრომისა და თანაბარი ანაზღაურების უფლება, მაგრამ კანონის თანახმად შრომითი ურთიერთობის მონაწილედ მოქალაქე გამოდის 16 წლის ასაკიდან. შრომის უფლება კონკრეტული ხდება, როცა ორგანოს ხელმძღვანელი დაწერს ბრძანებას პირის სამუშაოზე მიღების შესახებ და ა. შ. ამრიგად, ვიდრე მოქალაქის კონსტიტუციით მინიჭებული შრომის უფლება პირისთვის სასურველ, რეალურ შედეგამდე მიგვიყვანდეს, ის სხვადასხვა იურიდიული ფაქტის ან სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მეორე პირის ქცევის საფუძველზე, რეალიზაციის პროცესში იქცევა აბსტრაქტული შესაძლებლობად კონკრეტულ უფლებად.

პიროვნების ქცევა უფლების რეალიზაციის პროცესში ობიექტური და სუბიექტური დეტერმინაციის ურთიერთკავშირის შედეგია, რომლის ძირითად მამოძრავებელს მოთხოვნილება წარმოადგენს. მოთხოვნილება, ფსიქოლოგების მიხედვით, ის პირველადი იმპულსია, რომელიც ადამიანს აიძულებს იმოქმედოს. აკრიტიკებდა რა იდეალისტურად მოაზროვნე ავტორებს, რომლებიც სთვლიდნენ, რომ მოთხოვნილება საწყისს იღებს ადამიანის სულის სიღრმიდან და არავითარ კავშირში არაა მატერიალურ ამბებთან, კ. მარქსი მიუთითებდა, რომ მოთხოვნილების მთელი სისტემა დაფუძნებულია არა წარმოდგენებზე, არამედ პირდაპირ გამომდინარეობს წარმოებიდან, ან წარმოებაზე

<sup>4</sup> Ст. Ангелов, Д. Георгиев. Проблема человека в современном научном познании, журн. «Вопросы философии», № 7, 1973 г., стр. 54.

<sup>5</sup> С. Н. Братусь. Юридические лица в советском гражданском праве. «Юридат», 1947 г., стр. 31 — 32.

<sup>6</sup> Г. В. Мальцев. Социалистическое право и свобода личности. «Юридическая литература», М., 1969 г., стр. 91.

<sup>7</sup> Ц. А. Ямпольская. О субъективных правах, в кн. «Вопросы советского государственного права», изд-во АН СССР, 1959 г., стр. 159.

დაფუძნებული ნივთების მდგომარეობიდან<sup>8</sup>. მოთხოვნილების განმსაზღვრელი მოტივი, რაც პიროვნებას ამოძრავებს და აგრეთვე მისი ნება განახორციელოს ეს მოქმედება.<sup>9</sup> უფლების რეალიზაციის დროს სახელმწიფო არა მარტო განაპირობებს პიროვნების მოთხოვნილებას, არამედ სოციალური კონტროლის, აგრეთვე ეკონომიური, პოლიტიკური მორალური და სხვა „ბერკეტებით“ წარმართავს და მიზანდასახულს ხდის ადამიანის ქცევას. თუმცა უფლების რეალიზაციის დროს მოქალაქისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოს სტატუსი არ ემთხვევა ერთმანეთს, მათი ურთიერთკავშირი კანონზეა დაფუძნებული. ასეთ პირობებში მართებულად გვეჩვენება ი. კოზლოვის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უფლების რეალიზაციის დროს მოქალაქესა და სახელმწიფო ორგანოს შორის წარმოიშობა არა ტიპური ვერტიკალური ხასიათის, არამედ ჰორიზონტალური ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობანი<sup>10</sup>. უფლების რეალიზაციის პროცესი მთავრდება სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანით. თვით რეალიზაცია კი სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ბაზაზე ავლენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობის ახალ მხარეებს, რასაც მოქალაქის უფლებათა სრულად განხორციელებისათვის დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, მოქალაქის უფლებათა რეალიზაციის პროცესი რთულია, რომლის დროსაც მონაწილე სუბიექტებს სხვადასხვა ინტერესი, სტატუსი და უფლებამოსილება გააჩნიათ. სხვადასხვა აგრეთვე ის სამართლებრივი და ორგანიზაციული საშუალებანი, რასაც მოქალაქენი უფლების რეალიზაციის პროცესში თავისი მიზნის მისაღწევად იყენებენ. სამუხსროდ ეს პრობლემა ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დამუშავებული და შესწავლილი<sup>11</sup>. იგივე უნდა ითქვას უფლებების რეალიზაციის პროცესში მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის ფორმებისა და მეთოდების შესახებ<sup>12</sup>. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მმართველობითი საქმიანობის პროცესი ყველა თავისი სტადიით — პროგნოზებით, დაგეგმვით, ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, გადაწყვეტილების მომზადებითა და მიღებით, ორგანიზაციით, რეგულირებითა და კოორდინირებით, კონტროლითა და მმართველობითი საქმიანობის შედეგების შეფასებით<sup>13</sup>, ამდიდრებს მოქალაქის უფლებების რეალიზაციის შინაარსს. ასეთ დროს მოქალაქეს შეუძლია სახელმწიფოსაგან მოითხოვოს არა მარტო დარღვეული უფლების აღდგენა, არამედ ისეთი პირობების შექმნაც, რაც საშუალებას მისცემს მას კანონის საფუძველზე დაუბრკოლებლად განახორციელოს ეს უფლებები.

საამისოდ სოციალისტური დემოკრატიის არსენალში მოქმედებს ბიუროკრატიზმისა და სხვა მახინჯ მოვლენათა გამოვლინების როგორც სამართლებრივი (მაგალითად საჩივრის უფლება), ისე მორალურ-ზნეობრივი (მაგალითად,

<sup>8</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 4, стр. 80.

<sup>9</sup> Н. Табунов. Влияние научных знаний на поведение личности. Журн. «Вопросы философии» № 11, 1973 г., стр. 48.

<sup>10</sup> Ю. М. Козлов. Горизонтальные управленческие отношения. Журн. «Советское государство и право», № 12, 1973 г., стр. 62.

<sup>11</sup> Проблемы государства современной идеологической борьбе. Журн. «Советское государство и право», № 5, 1973 г., стр. 94.

<sup>12</sup> Ц. А. Ямпольская. О политико-правовых исследованиях в области общественных организаций. Журн. «Советское государство и право», № 12, 1973 г., стр. 45.

<sup>13</sup> Ю. А. Тихомиров. Управленческое решение. Изд. до «Наука», М., 1972 г., стр. 15.

კრიტიკა და თვითკრიტიკა) ხასიათის მრავალრიცხოვანი ფორმები და საშუალებები. საბჭოთა მოქალაქის უფლებები რეალიზაციის პროცესში დატულია აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის სფეროში მოქმედი კანონიერების უზრუნველყოფის სპეციფიკური სამართლებრივი საშუალებებით.

მოქალაქის უფლებების რეალიზაციის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოქალაქეთა სამართლებრივ აღზრდაზე, ინტელექტის განვითარებაზე და კანონმდებლობის სრულყოფაზე. დღეს სსრ კავშირში ძალაშია და მოქმედებს 400.000-მდე კანონი, რაც რასაკვირველია ართულებს არა მარტო მოქალაქეთა მიერ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობის ცოდნას, არამედ სახელმწიფო ორგანოთა მუშაობასაც.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეცნიერულ საფუძველზე მოწყობილ სახელმწიფოს მმართველობითი საქმიანობის წმინდა ორგანიზაციულ მხარეს, განსაკუთრებით კონტროლსა და შესრულების შემოწმებას, სწორ საკადრო პოლიტიკას, ხელმძღვანელის ავტორიტეტს, მის კომპენტენტურობასა და პერსონალური პასუხისმგებლობის გრძნობას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ მხრივ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

რესპუბლიკის ეკონომიკისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოშვებულმა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ელემენტების არსებობამ სერიოზული ზიანი მიაყენა რესპუბლიკის არა მარტო მატერიალურ და იდეოლოგიურ სფეროს, არამედ საბჭოთა მოქალაქის უფლებების რეალიზაციასაც. პირველ რიგში ეს ეხება მშრომელთა სამედიცინო, საბინაო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური და ვაჭრობის მომსახურების სფეროს, რომლის სწორ ორგანიზირებაზე ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო ადამიანების განწყობილება და უნარი იშრომონ შემოქმედებითად, არამედ სრულად განახორციელონ მინიჭებული უფლებებიც. მაგალითად, 1973— წლის 12 ნოემბრის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აქტივის კრებაზე აღნიშნულმა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, რაც გამოიხატა მთელ რიგ სამედიცინო დაწესებულებებში ავადმყოფებისადმი უყურადღებო, უსულგულო და დანაშაულებრად გულგრილი, ხოლო ზოგჯერ ანგარებითი დამოკიდებულებით, უკან დასწია არა მარტო სამედიცინო მომსახურების დონე რესპუბლიკაში, არამედ სერიოზულად შეუშალა ხელი სსრ კავშირის კონსტიტუციის 120 მუხლით გათვალისწინებული მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფისა და უფასო სამედიცინო მომსახურების უფლებების რეალიზაციასაც.

მშრომელთა საბინაო უფლებების განხორციელებას სერიოზული ზიანი მიაყენა როგორც მშენებელთა უხეირო მუშაობამ, ისე ზემდგომი ორგანოების უკონტროლობამ, ბინების განაწილებისას პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის სერიოზულმა შესუსტებამ. როგორც საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე აღინიშნა, მარტო 1973 წლის 11 თვის შედეგების მიხედვით რესპუბლიკაში აუთვისებელი დარჩა საბინაო-მშენებლობისათვის გამოყოფილი 11 მილიონ მანეთზე მეტი, აქედან საბინაო-საამშენებლო კოოპერატივების ხაზით 6,7 მილიონი მანეთი. მართო ქ. თბილისის უკანასკნელი წლებში დააკლდა ათასობით კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამას დაემატა ის თვითნებობა და ხშირ შემთხვევაში უკა-

ნონობაც, რასაც როგორც საქალაქო საბჭოს, ისე რაისაბჭოს აღმასკომების ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი იჩენდა<sup>14</sup>.

საბჭოთა მოქალაქის გაზრდილ მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას სერიოზულად უშლიდა ხელს აგრეთვე მყიდველთა მოტყუების, მექრთამეობის, სახელმწიფო ქონების გატაცებისა და სხვა სერიოზული დამახინჯებები, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს აპარატსა და სისტემაში<sup>15</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგში რამდენადმე გაჯანსაღდა ვითარება, მდგომარეობა მაინც დაძაბულია.

რესპუბლიკაში უაღრესად ნელი ტემპით წყდება აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხები. ის ფაქტი, რომ ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების მოცულობით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთო საკავშირო მაჩვენებელს, უარყოფით გავლენას ახდენს მოქალაქეთა ბევრი უფლების რეალიზაციაზეც.

სახელმწიფო მმართველობის სფეროში მოქალაქის უფლებების განხორციელებას წინ ეღობება მშრომელთა კანონიერი მოთხოვნილებებისადმი ზოგიერთი თანამდებობის პირის გულგრილი და ობივატელური დამოკიდებულება. ცალკეული ხელმძღვანელი ჯერ კიდევ არ იბრძვის მუშაობის ნამდვილად პარტიული სტილის, მშრომელებთან ურთიერთობაში პარტიული მიდგომის დამკვიდრებისათვის. როცა ვცდილობთ ხელმძღვანელობაში პარტიული სტილის დამკვიდრებას, — აღინიშნა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის 1973 წლის დეკემბრის პლენუმებზე, — შეურიგებლად უნდა ვებრძოლოთ ყველაფერს, რაც გვეწინააღმდეგება, — უწინარეს ყოვლისა, ბიუროკრატიულ სტილს, უწყებრივი და კუთხური ინტერესებისათვის საერთო-სახელმწიფო, საერთო-სახალხო ინტერესების უგულვებელყოფას, უპასუხისმგებლობის და ფორმალიზმის გამოვლინებებს. პარტიული მიდგომა მკვიდროდ არის დაკავშირებული პერსონალური პასუხისმგებლობის მკვეთრ ამადლებასთან. იგი ნიშნავს კადრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისა და ნდობის შეხამებას დიდ მომთხოვნელობასთან<sup>16</sup>. მოქალაქის უფლებების რეალიზაციის საკითხზე ზოგჯერ გავლენას ახდენს აგრეთვე ხელმძღვანელის როგორც პირადი, ისე საწარმოო კულტურა, ადამიანებთან სწორი ფსიქოლოგიური ურთიერთობის დამყარება. გეხვდებიან ისეთი ხელმძღვანელებიც, რომლებიც მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფისათვის დაგეგმილ და გაწეულ სახელმწიფო ხარჯებს მიიწერენ როგორც პირად დამსახურებას, მაშინ როცა ეს მათ სამსახურების მოვალეობას შეადგენს.

ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ XXIV ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ „მეტ წილ შემთხვევებში სახელმწიფო აპარატის მუშაკები არიან კვალიფიციური, კეთილსინდისიერი, ყურადღებიანი ადამიანები. მათი შრომა მაღალ შეფასებასა და პატივისცემას იმსახურებს. მაგრამ უნდა ვაღიაროთ რომ ჯერ კიდევ არიან უსულგულო მოხელეები, საქმის გამჭიანურებლები, უხეშები. მათი საქციელი საბჭოთა მოქალაქეების სამართლიან გულსწყრომას იწვევს. პარტია, საზოგადოების მხარდაჭერით კვლავინდებურად გადაჭრით იბრძოლებს მართვის აპარა-

<sup>14</sup> იხ. გაზ. „კომუნისტი“ 4 — დეკემბერი 1973 წ.

<sup>15</sup> «Куда смотрит Министерство», «Заря Востока» 1 июня 1963 года.

<sup>16</sup> იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1973 წლის 18 დეკემბრის მოწინავე წერილი.


ტის მუშაობის კულტურის ამადლებისათვის<sup>17</sup>. ამ ბრძოლის ერთერთი შემაჯავებელი ნაწილია კომუნისტური პარტიის სისტემატური ზრუნვა საბჭოთა მოქალაქის შრომის უფლების უზრუნველსაყოფად, რაც თავისი არსით კომუნისტური მშენებელი საბჭოთა ადამიანის პატივისცემისა და ღირსების, მამაცობისა და გამბედაობის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ვაჭრობის, კვების მრეწველობის სამინისტროებსა და „ცეკავშირის“ სისტემაში ხშირად ირღვეოდა მოქალაქეთა შრომის უფლებები, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა მშრომელთა სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებასა და სხვა დარღვევებში. ცალკეული ხელმძღვანელის შეგნებაში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულია კანონისადმი უპატივცემულობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შრომის უფლების რეალიზაციაზე. ამას ემატება რესპუბლიკის მშრომელთა იურიდიული მომსახურების დაბალი დონე. სადღეისო მოთხოვნებს ვერ პასუხობს ჩვენი სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობაც. ისინი მოწოდებულნი არიან არა მართლ ადადგინონ დარღვეული შრომის უფლება, არამედ ქმედითი ზეგავლენა მოახდინონ იმ ორგანოებსა და თანამდებობის პირებზე, ვინც დაუშვა კანონიდან გადახვევა.

მოქალაქის უფლებების რეალიზაციას სერიოზულად უშლის ხელს აგრეთვე ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება, მექრთამეობა და სახელმწიფო-საზოგადო ქონებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულება, რაც ზოგიერთი თანამდებობის პირის საქმიანობაში შეიმჩნევა. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი ზერელე და დანაშაულებრივი დამოკიდებულების ფაქტები. სამწუხაროდ გვხვდებიან ისეთი მუშაკებიც, რომლებიც საჩივრებსა და განცხადებებს იყენებენ მათი ავტორებისადმი ანგარიშის გასასწორებლად, რაც უზემად არღვევს სსრ კავშირის მოქალაქის საჩივრის უფლებას. ცხადია ასეთ დროს ზედმეტია ლაპარაკი საჩივრის უფლების სრულყოფილ რეალიზაციაზე, რასაც ვ. ი. ლენინი ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირის საქმიანობაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

საბჭოთა ადამიანის ზოგიერთი უფლების რეალიზაციას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ მოსახლეობის მზარდი ინტერესები წინ უსწრებენ ჩვენი წარმოების შესაძლებლობებს. ასეთ დროს სახელმწიფო აპარატს სჭირდება დიდი ორგანიზატორული და აღმზრდელი მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო გეგმების რეალურ შესრულებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ბრძოლას მიწერების და სხვა მსგავსი დარღვევების წინააღმდეგ. აპარატის ვალია მაქსიმალური მობილიზაცია გაუკეთოს ჩვენს წარმოებაში ჯერ კიდევ გამოუყენებელ მატერიალურ-ტექნიკურ რეზერვებს, მოახდინოს წარმოების ინტენსიფიკაცია, დააჩქაროს ტექნიკური პროგრესი და უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ზრდა. ამასთან, თვითეულ მოქალაქეს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მისი უფლებების უზრუნველყოფა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იყენებს სოციალისტური საზოგადოების თვითეული წევრი თავის სამოქმედო უბანზე წარმოების ყველა შესაძლებლობას. ამ საქმეში გადამწყვეტია ყველა შრომითი კოლექტივისა და

<sup>17</sup> ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. თბილისი 1971 წ. გვ. 102. *ИСТОРИЯ ВЛАСИ*



საზოგადოების თვითიერი შეგნებული წევრის ორგანიზებულობის ზრდა, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება, კონსტიტუციური მოვალეობების განუხრელად შესრულება.

დღევანდელ პირობებში, როცა რესპუბლიკაში გრძელდება და სულ უფრო ინტენსიური ხდება წარსულში დაშვებული შეცდომების, დამახინჯებების, პარტიული, იდეოლოგიური, სახელმწიფო სამეურნეო, საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებისაგან გადახვევის დაძლევის პროცესი, მთელმა რიგმა განხორციელებულმა ეფექტიურმა ღონისძიებებმა უკვე მოგვცა საგრძნობი დადებითი შედეგები. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის მეშვიდე სესიაზე აღინიშნა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკა ვითარდება ტემპით, რომელიც აღემატება დაგეგმილს. სულ უფრო იზრდება აგრეთვე მასების შემოქმეებითი აქტივობა და ინიციატივა. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე მტკიცდება პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა. ამის ბაზაზე კიდევ უფრო იხვეწება საბჭოთა მოქალაქის უფლებების რეალიზაციის ფორმები და მეთოდები და იზრდება მათი უზრუნველყოფის ეფექტურობა<sup>18</sup>. ეს პროცესი კანონზომიერი გამონახტულებაა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული ღონის ამალღების ცენტრალური პრობლემისა, რომელიც კომუნისმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისაკენ არის მიმართული.

<sup>18</sup> ბურჟუაზიული პროპაგანდა ამაოდ ცდილობს დაამტკიცოს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამალღება საბჭოთა ადამიანებში თითქოს იწვევდეს კერძო მესაკუთრული ინსტიტუტების კანონზომიერ წარმოშობას, რაც უპირისპირდება საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ მიზნებს და ზნეობრივ პრინციპებს. იხ. **Д. М. Ермоленко.** Научно-техническая революция и маневры буржуазной идеологии. «Правда» 6 июня 1972 г.

სინამდვილეში მხოლოდ კერძო საკუთრების პრაქტიკაზე დაფუძნებული საზოგადოება აღმერთებს ნივთების კულტს და ამკვიდრებს ადამიანების შეგნებაში კერძო მესაკუთრულ ფსიქოლოგიას, ეგოიზმსა და ინდივიდუალიზმს, რაც შეუთავსებელია სოციალიზმის ბუნებასთან. იხ. **М. Г. Ярошевский.** Психология в XX столетии. М., 1971 г., стр. 340.

## აკრედიტაციის საკითხის გადახილვისათვის

მ. კახაია

სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირმა 1968 წელს მიიღო დადგენილება არქიტექტურულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვის შესახებ. დადგენილების მეორე პუნქტის თანახმად არქიტექტურულ ნაწარმოებად ითვლება ობიექტური ფორმით გამოხატული არქიტექტურულ იდეათა და გადაწყვეტილებათა კომპლექსი, რომელიც არა ტექნიკური საქმიანობის, არამედ ავტორის შემოქმედებითი მუშაობის შედეგია.


ეს განმარტება იძლევა არქიტექტურული ნაწარმოების ზოგადი ცნების განსაზღვრას და მიუთითებს იმ პირობებზე, რომელთა შესრულებაზეც არის დამოკიდებული არქიტექტურულ ნაწარმოებებზე საავტორო სამართლის ობიექტის აღმოცენება. განმარტებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ არქიტექტურული შემოქმედების სახელდობრ რა სახის შედეგი შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ ნაწარმოებად, შეყვანილ იქნეს არქიტექტურულ ნაწარმოებად შემადგენლობაში და შესაბამისად იქნეს დაცული საავტორო სამართლის ნორმებით. არქიტექტურულ ნაწარმოებად კონკრეტული სახეები მრავალგვარია. არქიტექტორის შემოქმედებითი ჩანაფიქრი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით. ეს საცხოვრებელი საზოგადოებრივი თუ საწარმოო შენობები და ნაგებობები იქნება, ძეგლები თუ მემორიალური კომპლექსები, ქალაქები თუ დაბები, პარკები, ხიდები, გზები და ა. შ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არქიტექტორის ჩანაფიქრი, უპირველეს ყოვლისა, პროექტით გამოიხატება. პროექტში ასახულმა ჩანაფიქრმა განხორციელება უნდა პპოვოს შენობასა და ნაგებობაში. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს არქიტექტურული ნაწარმოებების ობიექტთა წრე.

სამოქალაქო სამართლის სპეციალისტთა შორის სადავოა ის საკითხი, თუ ხელოვნების რომელ სახეს შეიძლება მივაკუთვნოთ არქიტექტურული ნაწარმოები. მეცნიერთა ერთი ნაწილი არქიტექტურულ ნაწარმოებს სახვითი ხელოვნების სახეებს — ფერწერას, გრაფიკასა და სკულპტურას შორის აყენებს. მეცნიერთა მეორე ნაწილი არქიტექტურულ ნაწარმოებებს გამოპყოფს ცალკე ჯგუფად.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ არქიტექტურულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლება პირველად ცნო მეფის რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობამ 1864 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე ევროპის არც ერთი მოწინავე ქვეყნის კანონმდებლობა არქიტექტურულ ნაწარმოებებს არ ცნობდა საავტორო სამართლის ობიექტად, უფრო მეტიც, არქიტექტურული ნაწარმოები საერთოდ არ ითვლებოდა ხელოვნების ნაწარმოებად.

1878 წელს პარიზში გაიმართა არტისტული საკუთრებისადმი მიძღვნილი პირველი ინტერნაციონალური კონგრესი, რომელზეც დაისვა საკითხი ხელოვნებაში არქიტექტურის ადგილის შესახებ. კონგრესზე აღინიშნა, რომ





კანონმდებლობასა და სამართლის თეორიაში, შემოქმედებითი ნაწარმოების ხელოვნების ამა თუ იმ სახისათვის მიკუთვნების დროს, მარტო ნაწარმოების გარეგან სახეს, როდი უნდა მიექცეს ყურადღება, რითაც ალბათ ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როცა არქიტექტურული ნაწარმოებები მიაკუთვნა სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა რიცხვს; მით უმეტეს, რომ არქიტექტურულ ნაწარმოებთა დიდ უმრავლესობას (გამონაკლისად შეიძლება დავასახელოთ ქალაქმშენებლობის პროექტების ნაწილი და ფუტურისტული პროექტები) არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნია. მაგრამ ამ კუთხითაც რომ მივუდგეთ საქმის ვითარებას, გამოვა, რომ კანონმდებელი ახდენს არა არქიტექტურული, არამედ მხატვრული ნაწარმოების დაცვას. იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა, ყურადღება უნდა მიექცეს ნაწარმოების არა გარეგან სახეს, არამედ მის შინაგან თავისებურებებს, ინდივიდუალურ ნიშნებს. და ბოლოს, არქიტექტურული ნაწარმოების სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებიდან გამიჯნის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ნაწარმოების დანიშნულებას, იმ თავისებურებებს, რითაც ძირითადად ხასიათდება არქიტექტურული ნაწარმოებები, კერძოდ, რომ ის წარმოადგენს საინჟინრო ტექნიკურ პროექტს, რომლის ხორცშესახსმელადაც არქიტექტორი მიმართავს მხატვრობას, ე. ი. მხატვრობა აქ დამხმარე კომპონენტია, იგი გამოიყენება იმ მიზნით, რომ ადამიანთა აღქმისათვის არქიტექტორის ჩანაფიქრი ხელმისაწვდომი გახდეს. ამდენად არქიტექტურული პროექტი კანონმდებლობასა და სამართლის თეორიაში სახვითი ხელოვნების ნაწარმოებად კი არ უნდა მოიხსენიებოდეს, არამედ ხელოვნების დამოუკიდებელ დარგად უნდა ჩაითვალოს.

რა შეიძლება მივიჩნიოთ არქიტექტურულ ნაწარმოებად, ანდა, კანონმდებლობის ენით რომ ვთქვათ, რა და რა სახის არქიტექტურულ ნაწარმოებებზე შეიძლება გავრცელდეს საავტორო უფლება? ეს საკითხი, არქიტექტურული ნაწარმოების საავტორო სამართლის ობიექტად ცნობის პერიოდიდან (1864 წ.) მოყოლებული დღემდე, ცივილისტთა მსჯელობის საგანია. ამ საკითხს უძღვნეს სპეციალური მონოგრაფიები გერმანელმა ცივილისტებმა ვესტერმა და კოლერმა. ვესტერის აზრით, ნაგებობათა საავტორო სამართლის ობიექტად მიჩნევა შეუძლებელია იმის გამო, რომ ზოგიერთი შენობის უტილიტარული დანიშნულება უშლის მას ხელს, რომ იყოს მხატვრული და ორიგინალური. ხელოვნების შედეგისათვის საერთოდ არ არის დამახასიათებელი, რომ იგი სარგებლობის საგანი იყოს. ამდენად, ვესტერის აზრით, შენობები და ნაგებობანი საავტორო სამართლის ობიექტები არ არის, ისინი საწარმოო დანიშნულების ნიმუშებს უნდა მივაკუთვნოთ<sup>1</sup>.

კოლერის აზრით კი ნაგებობების საავტორო სამართლის ობიექტად აღიარება მიუღებელია, იმდენად, რამდენადაც ისინი იმყოფებიან საზოგადოებრივ ადგილებზე და საზოგადოებრივი საკუთრებაა<sup>2</sup>.

მოქმედი საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა საავტორო სამართლის ობიექტად ცნობს მხოლოდ არქიტექტურულ პროექტებს, ხოლო რაც შეეხება ნაგებობებს, მათზე საავტორო სამართლის დაცვა არ ვრცელდება. შენობებს და ნაგებობებს იშვიათი გამონაკლისის გარდა არ ცნობენ საავტორო სამარ-

<sup>1</sup> Wachter. Das Urheberrecht. 1875, S. 41.

<sup>2</sup> Kohler. Das literarische und artistische Kunstwerk, 1892, S. 190.



თლის ობიექტებად სამართლის თეორიაშიც.<sup>3</sup> მ. გორდონი უარყოფს შენობების (ნაგებობების) საავტორო სამართლის ობიექტად ცნობას, რადგან იგი არქიტექტურულ ნაწარმოებებს მიაკუთვნებს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა რიცხვს, ხოლო არქიტექტურული ნახაზების მიხედვით აგებულ ნაგებობას კი განიხილავს, როგორც პროექტზე საავტორო უფლების გამოყენების საშუალებას<sup>4</sup>. ასეთსავე უკიდურეს პოზიციას ავითარებენ ბ. ანტიმონოვი, ე. ფლეიშიცი, ვ. სერებროვსკი, თ. იოფე და სხვები<sup>5</sup>.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 96-ე მუხლის თანახმად საავტორო სამართლის მოქმედება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე, ისე გამოუქვეყნებელ, მაგრამ რაიმე ობიექტური ფორმით გამოხატულ ნაწარმოებებზე. გამოხატვის ერთ-ერთ სახედ კანონმდებელი ცნობს ნაწარმოების ხელნაწერისა და ნახაზების საშუალებით აღბეჭდვას. როგორც ნ. რაიგოროდსკი სამართლიანად შენიშნავს, ნაწარმოების ხელნაწერების, ესკიზების სახით, არსებობა, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ ნიშნავს ნაწარმოების გამოქვეყნებას<sup>6</sup>. ლიტერატურული ნაწარმოები მაშინ წარსდგება საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე, მაშინ ჩაითვლება დამთავრებულად, როცა გაივლის განვითარების ყველა საფეხურს. იმისათვის, რომ ლიტერატურული ნაწარმოები ხელმისაწვდომი ვახდეს ადამიანთა აღქმისათვის, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული შინაარსი და ლიტერატურული ფორმა. სწორედ ასეთი ფორმის მიცემის შემდეგ იქნება შესაძლებელი ნაწარმოების საზოგადოების წინაშე წარდგენა, გამოქვეყნება. ამავე პოზიციიდან უნდა მივუდგეთ არქიტექტურული ნაწარმოების საავტორო სამართლის ობიექტად ცნობის საკითხს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უარყოფთ არქიტექტურულ პროექტებზე საავტორო უფლება. ვინაიდან კანონმდებელი ერთნაირ უფლებებს ანიჭებს ხელნაწერებსა და ნახაზებს, საფუძვლების 96-ე მუხლის თანახმად, საავტორო სამართლის მოქმედება ვრცელდება იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია ან არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით. ამ შემთხვევაში ნახაზების ფორმით. აქედან გამომდინარე, პროექტის ავტორს, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის მაგვარად, ენიჭება საავტორო უფლება შექმნილ პროექტზე. მაგრამ აქ როდი უნდა შეწყდეს არქიტექტორის მუშაობა, პროექტი ხელნაწერის მსგავსად ჭერ კიდევ დაუმთავრებელი ნედლი მასალაა, რომელიც საჭიროებს შემდგომ დამუშავებასა და დახვეწას. პროექტის შედგენა არქიტექტურული მოღვაწეობის პირველი ეტაპია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ ნაწარმოები გამოქვეყნდეს, შინაარსთან ერთად მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ფორმა. ფორმა საავტორო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტია. თ. იოფეს აზრით, ნაწარმოები, როგორც შინაარსისა და შინაგანი ფორმის ერთიანობა, საავტორო სამართლის ობიექტია, ხოლო მისი გარეგანი ფორმით განმტკიცება იურიდი-

<sup>3</sup> Н. А. Райгородский. Права советского архитектора. Вестник ЛГУ. 1961, № 11, ст. 98.

<sup>4</sup> М. В. Гордон. Советское авторское право. М., 1955, ст. 111.

<sup>5</sup> Б. С. Антимонов и Е. А. Флейшиц. Авторское право. М., 1957, ст. 97. В. И. Се-ребровский. Вопросы советского авторского права. М., 1956, ст. 56. О. С. Иоффе. Со-ветское гражданское право. Л., 1965, т. III, ст. 33.

<sup>6</sup> Н. А. Райгородский. Права советского архитектора. Вестник ЛГУ. 1961, № 11, ст. 99.

ული ფაქტია<sup>7</sup>. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ნაწარმოები და მისი ობიექტური ფორმა ერთმანეთისაგან გათიშულია. დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში ყოველგვარ საგანს, ყოველგვარ მოვლენას აქვს თავისი შინაარსი და ფორმა. შინაარსში იგულისხმება საგნის არსისათვის დამახასიათებელი განსაზღვრულობა, რომელიც ვლინდება მისი თვისებებითა და ნიშნებით, ფორმა საგნის არსებობის საშუალებაა, შინაარსი კი შინაგანი ორგანიზაციაა, ე. ი. ის, რაც შინაარსის ელემენტებს აერთიანებს და ურომლისოდაც შეუძლებელია შინაარსის არსებობა<sup>8</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ თუ გარკვეული ობიექტური ფორმა არ გააჩნია, ნაწარმოები შექმნილად ჩავთვალოთ, უფრო მეტიც — შეუძლებელია მისი ადამიანთა აღქმამდე დაყვანა.

ბეთხოვენი თავის მეათე სიმფონიას დამთავრებულად თვლიდა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ მისი ჩაწერა ვერ მოასწრო და, ამდენად, ეს ნაწარმოები კაცობრიობისათვის უცნობი დარჩა. ნაწარმოები შექმნილად ითვლება არა ადამიანის გონებაში მისი მომწიფების მომენტიდან, არამედ გარკვეული ფორმის მიცემის მომენტიდან. იურიდიული ფაქტი თვით ნაწარმოების შექმნის ფაქტია, რომელიც აერთიანებს როგორც ნაწარმოების შინაარსს ასევე გარეგან ფორმასაც — ობიექტურ ფორმას. ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ საავტორო სამართლის ობიექტად შენობის (ნაგებობის) ცნობის საკითხს. პროექტში არქიტექტორის გადაწყვეტილებათა და იდეათა კომპლექსი ესკიზის სახით არის გადმოცემული, რომელიც შემდგომ დამუშავებასა და დახვეწას მოითხოვს. პროექტის მიხედვით შენობის (ნაგებობის) აგება არქიტექტურული მოღვაწეობის მეორე, დამოუკიდებელი ეტაპია. ამ ეტაპზე პროექტში გამოხატული იდეებისა და გადაწყვეტილებათა კომპლექსი საბოლოოდ ხორცს იხსამს ნაგებობაში. მას შემდეგ, რაც ხუროთმოძღვარი შემოქმედებითად მიუდგება პროექტის შემუშავებისა და განხორციელების ყველა ეტაპს, დაწყებული პირველი მონახაზებიდან და ესკიზებიდან, რომელშიც ნაგებობის იდეა გადმოცემული, უკანასკნელ დეტალამდე, მონაწილეობას მიიღებს კონსტრუქციებისა და ნახაზების შერჩევაში, ხარჯთაღრიცხვისა და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების შედგენაში, განხორციელებს საავტორო ზედამხედველობას შენობაზე, ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრი მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს ობიექტურ გამოხატულობას, ადამიანის აღქმისათვის ხელმისაწვდომ დასრულებულ სახეს, რომელიც დამთავრებული ლიტერატურული ნაწარმოების მაგვარად შეიძლება წარსდგეს საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე — შეიძლება გამოქვეყნდეს. ამასვე ადასტურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 19 დეკემბრის დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ტექსტში ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში დამატებათა გამო, რომელშიც ნათქვამია, რომ „...სსრ კავშირის ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში ევალება: ...ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში მიანიჭოს განსაკუთრებით ნიჭიერი, მაღალი დეიური ნაწარმოებისათვის, ორიგინალური ეკონომიური არქიტექტურული ნაგე-

<sup>7</sup> О. С. Иоффе. Советское гражданское право. т. III, М., 1965, ст. 32.

<sup>8</sup> Большая советская энциклопедия т. 45, М., 1959, ст. 310.



ბობისათვის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის თეორიისა და ისტორიის დარგში ღრმა გამოკვლევისათვის“.

აღსანიშნავია, რომ დადგენილება ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გვერდით და მათ თანაბრად ასახელებს არქიტექტურულ ნაგებობას. და მართლაც, არქიტექტურული შენობები (ნაგებობანი) რომლებმაც წიგნზე ადრე და უკეთესად შემოინახეს და დღევანდლამდე მოიტანეს საუკუნეთა კულტურა, ვ. ჰიუგოს სიტყვებით რომ ვთქვათ, „სულ სხვა მკვრივს, ხანგრძლივსა და ამტან წიგნს წარმოადგენს“.

„ქვის ხუროთმოძღვრება, გრანიტის დამწერლობის აშკარა სიდიადე, ეს გიგანტური ანბანი, სვეტების მწკრივის, კარიბჭეების, ობელისკების სახით გამოხატული, ადამიანის ხელით აღმართული მთების მაგვარი, მთელი დედამიწის ზურგი რომ დაუფარავთ და წარსული შემოუხანავთ... შეუწყვეტილად უნდა ფურცლო ასევე და ისევე ხუროთმოძღვრების მიერ დაწერილი ეს წიგნი და თაყვანი სცე მას“<sup>9</sup>.

და განა გვაქვს უფლება, რომ ამ მარადისობისა და განუმეორებლობის შემქმნელთ არ მივანიჭოთ საავტორო უფლება მათ მიერ შექმნილ შენობებზე (ნაგებობებზე)?

საავტორო სამართლის ობიექტად უნდა ჩაითვალოს ისეთი შენობები და ნაგებობანი, რომლებსაც გააჩნიათ მშენებლობის ინდივიდუალური, ორიგინალური ნიშნები, პასუხობს იდეურ-მხატვრულ ამოცანებს, თანამედროვე-ტექნოლოგიურ მოთხოვნებს და აქვთ დამოუკიდებელი მხატვრული სახე.

საავტორო სამართლის ობიექტად ჩაითვლება აგრეთვე უტილიტარული ნაგებობანი, რომლებიც უპასუხებენ სამეურნეო დანიშნულებას, თანამედროვე ტექნოლოგიურ მოთხოვნებს და ამასთან ერთად ორიგინალური ეკონომიურ-არქიტექტურული ნაგებობებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე; უნდა დავასკვნათ, რომ საავტორო სამართლის ობიექტად ჩაითვლება, როგორც არქიტექტურული პროექტები, ასევე ამ პროექტის მიხედვით აგებული შენობები და ნაგებობანი.

არქიტექტურულ ნაწარმოებებს საავტორო სიმრავლის სხვა ობიექტთა მაგვარად უნდა ახასიათებდეს სიახლის ნიშნები.

როდესაც ნაწარმოების სიახლეზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას; მართალია, ჩვენი კანონმდებლობა არ მიუთითებს სიახლეზე, როგორც ობიექტის დამახასიათებელ ნიშანზე, მაგრამ ის, რომ სიახლის ნიშანს არ უარყოფს, ჩანს ჩვენი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 506 მუხლის პირველი პუნქტის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების შინაარსიდან, კერძოდ: „სხვისი გამოყენებული ნაწარმოების გამოყენება ახალი, შემოქმედებითად დამოუკიდებელი, ნაწარმოების შესაქმნელად...“ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, რომ კანონმდებელი ნაწარმოების სიახლის ნიშანთვისებას უყურადღებოდ არ ტოვებს.

ხელოვნების რა სახეც არ უნდა დავასახელოთ, არქიტექტურა, ფერწერა, სკულპტურა თუ სხვა, ყოველ მათგანში აღმოვაჩინოთ ორ მხარეს — ფორმასა და შინაარსს, რომელიც თავის მხრივ იყოფა სტრუქტურულ ელემენტებად. სწორედ ამ ელემენტებში უნდა ვეძიოთ ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი სიახლის ნიშნები.

<sup>9</sup> ვ. ჰიუგო. „პარიზის ღვთისშობლის ტაძარი“, თბ. 1971 წ. გვ. 228.

სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლებელია ხელოვნების ყველა სახის, ნაწარმოებისათვის ელემენტთა ერთიანი სტრუქტურის აგება. იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა სახის ნაწარმოებისათვის ერთსა და იმავე ელემენტს შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, ვფიქრობთ, ხელოვნების ნაწარმოების ისეთი სახისათვის, როგორც არის არქიტექტურა, სტრუქტურული ელემენტებია: თემა, იდეური და პრაქტიკული შინაარსი და არქიტექტურულ-მხატვრული სახე.

თემა არსებობს ობიექტურად, შემოქმედის ინტელექტისაგან დამოუკიდებლად, სწორედ მის გარშემო და მის თაობაზე იქმნება ესა თუ ის ნაწარმოები. შემოქმედის ინტელექტი თემას კი არ ქმნის, არამედ ეძებს. რევოლუციის პირველ წლებში, როცა განსაკუთრებით დიდი ადგილი დაეთმო სააგიტაციო ხელოვნებას, არქიტექტორთა დიდი უმრავლესობა მონაწილეობას იღებდა მხატვრულ გაფორმებებსა და მონუმენტების შექმნაში. ამ პერიოდში ლ. რუდნემა შექმნა „რევოლუციის მსხვერპლთა“ ძეგლი ა. ლენინის ტექსტის მიხედვით. 1919 წელს ვ. ტატლინის მიერ შექმნილ „მესამე ინტერნაციონალის“ ძეგლის პროექტის თემა კი პროლეტართა კლასობრივი გაერთიანებაა. ორივე ნაწარმოების თემა, როგორც კლასობრივი წინააღმდეგობა, ასევე პროლეტართა კლასობრივი გაერთიანება ობიექტურად არსებობს. სწორედ ამ თემის გარშემო და მისი გამოყენებით შეიქმნა ისტორიისათვის მანამდე უცნობი, ხელოვნების სრულიად ახალი სახის ნაწარმოები.

მხატვრული სახე ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სინამდვილის ამსახველი ფორმაა. იგი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სინამდვილის რეპროდუქცია.

არქიტექტურული ხელოვნება ბევრი სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა, იგი ქმნის ხელოვნურ მატერიალურ გარემოს ადამიანთა შრომისათვის, ყოფაცხოვრებისათვის, დასვენებისათვის, რაც თავისებურ დაღს ასვამს არქიტექტორის მოღვაწეობის ხასიათს და საფუძვლად ედება არქიტექტურულ შენობათა და ნაგებობათა პრაქტიკულ შინაარსს, კერძოდ, განსაზღვრავს არქიტექტურული ხელოვნების რომელ სახეს მიეკუთვნება იგი, საცხოვრებელ სახლსა თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობას. ეს უკანასკნელი კი თავის გამოხატულებას ჰპოვებს მხატვრული სახით. მხატვრული სახე ისტორიული კატეგორიაა. საბჭოთა არქიტექტურის განვითარების თითოეული ეტაპისათვის დამახასიათებელია თავისებური ესთეტიკური პრინციპები, რომლებიც გამოხატულებას პოულობს შენობათა და ნაგებობათა მხატვრული სახით. რევოლუციის პირველ წლებში ძმები ვესნინების მიერ შექმნილ შრომის სასახლის საკონკურსო პროექტში საზოგადოებრივი ტიპის შენობის ახალი ტიპის სოციალური შინაარსი ორიგინალურად არის დაკავშირებული თანამედროვე ფუნქციონალურ-ტექნიკურ საფუძვლებთან და არქიტექტურულ სახესთან. ამდენად, იგი უპასუხებს ახალ არქიტექტურულ სახეს.

მხატვრულ სახეში რეალისტური ყოველთვის გამოხატავს ტიპობრივს, საგნებისა და მოვლენებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელსა და გამომხატველ თვისებებს. იგივე ითქმის არქიტექტურული სახის შექმნის დროსაც. სახე ჯერ ვლინდება შენობათა და ნაგებობათა ცალკეულ ობიექტებში, როგორც ინდივიდუალური თვისებები, შემდეგ კი, საბოლოო ჯამში, ქმნის ამა თუ იმ სახის ნაგებობათა საერთო დამახასიათებელ ტიპს, რომელიც შემდეგ თავისი დროის ესთეტიკურ იდეალად იქცევა.

მხატვრული სახის მეშვეობით შეიძლება გავავლოთ ზღვარი საბჭოთა არქიტექტურასა და სხვა საზოგადოებრივი ფორმაციის არქიტექტურას შორის. ვ. ტატლინის მიერ 1919 წ. შექმნილი „მესამე ინტერნაციონალის“ ძეგლის პროექტი, რომელმაც მსოფლიო არქიტექტორთა საზოგადოების უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, იმ პერიოდისათვის ნამდვილად ნოვატორული პროექტი იყო გარეგანი სახის მკაფიოდ გამოხატული რომანტული სიმბოლოზმით. მან შესაძლებლობა მისცა მრავალ არქიტექტორს დაეძლიათ ფსიქოლოგიური ზღვარი კონსტრუქციების, თანამედროვე ნაგებობის არქიტექტურული სახის შექმნაში. სწორედ ამ ვაგებით, ტატლინის მიერ შექმნილ კომპლქს იმ პერიოდისათვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ეიფელის კომპლქს XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის<sup>10</sup>.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველი ახალი ეპოქა, ახალი საზოგადოებრივი მოვლენა, არქიტექტურულ-მხატვრული წარმოსახვის სახით ახალ ფურცელს წერს არქიტექტურის ისტორიაში და ასახავს მოცემული ეპოქის თუ პერიოდის საზოგადოების იდეოლოგიას, საზოგადოებისა და პირად მხატვრულ იდეალებს, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონეს. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს არქიტექტურული ნაწარმოების „არსებითი სიახლის“ ცნებასაც, რაც ნაწარმოების საავტორო სამართლის ობიექტად ცნობის ერთ-ერთი ნიშანთაგანია.

შენობებისა და ნაგებობების საავტორო სამართლის ობიექტად ცნობა დაიცავდა ავტორის როგორც ქონებრივ, ასევე პირად არაქონებრივ უფლებებს და, ამის გარდა, რაც საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, — კაცობრიობას შემოუწახავდა ხუროთმოძღვართა სახელებს. საზოგადოებას მიეცემოდა საშუალება ემსჯელა ხუროთმოძღვრის მხატვრულ იდეალებზე, სტილზე, მხატვრული დახასიათების თავისებურებებზე და ა. შ. ერთგვარად გაიზრდებოდა არქიტექტორთა და მშენებელთა პასუხისმგებლობაც, გაუმჯობესდებოდა არქიტექტურის ხარისხი და საპროექტო საქმიანობა, შესაძლებელი გახდებოდა დაგვეცვა შენობათა და ნაგებობათა პირვანდელი სახე. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა ცხოვრების ახლადამოცენებული მოთხოვნების შესაბამისად ანდა მხატვრული კრიტერიუმების შეცვლასთან დაკავშირებით მიმართავენ შენობისა და ნაგებობის ხელახალ გადაკეთებას, შემატებენ ახალ დეტალებსა და შტრიხებს, რაც არქიტექტურული ქმნილების დამახინჯებასთან ერთად ამახინჯებს აგრეთვე სტილს. არ შეიძლება, კვლავ ვ. ჰიუგოს სიტყვებით რომ ვთქვათ, რომ „ქვის სიმფონიას“ — „ადამიანისა და ხალხის ქმნილებას“ — კარგი გემოვნების საბაბით დაატყონ ხელი მოდებმა“, რომელიც ნამდვილი კეთრივით იწყებს ხელოვნების ნათელი სახის შთანქმას“. ასეთი დამახინჯების თავიდან აცილება კვლავ შენობაზე და ნაგებობაზე საავტორო უფლებათა აღიარებით შეიძლება.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საფუძვლების 98-ე მუხლის თანახმად ავტორს უფლება აქვს გამოაქვეყნოს, აღბეჭდოს და გაავრცელოს თავისი ნაწარმოები კანონით დაშვებული ყველა საშუალებით — საკუთარი სახელით, პირობით სახელით (ფსევდონიმით) ან სახელის აღუნიშნავად (ანონიმურად). აღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექ-

<sup>10</sup> А. М. Журавлев, С. О. Хан-Магомедов. Советская архитектура. М., 1968, стр. 6.



# რკინიგზის პასუხისმგებლობა ზვიკითის დაზიანებისათვის

ლ. ჩოგოლაშვილი

ტვირთის დაუცველობა, რომელსაც მოსდევს რკინიგზის პასუხისმგებლობა, შეიძლება გამოიხატოს ტვირთის გაფუჭებასა ან დაზიანებაში.

1954 წლამდე მოქმედი რკინიგზის წესდება ცალკე არ გამოყოფდა ტვირთის გაფუჭებას და ლიტერატურაშიც დაზიანება გაფუჭებასაც გულისხმობდა. 1954 წლიდან წესდებამ შემოიღო ეს ტერმინი.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-4 მუხლი და სამოქალაქო სამართლის კოდექსის 376 მუხლი აღნიშნავს მხოლოდ დაზიანებას, რომელშიც იგულისხმება გაფუჭებაც. წესდებამ როგორც სპეციალურმა საკანონმდებლო აქტმა დააკონკრეტა ეს საკითხი, განასხვავა დაუცველობის ეს ორი სახე, რომელიც რკინიგზის პასუხისმგებლობას წარმოშობს. მართალია ამ განსხვავების აღნიშვნა პრაქტიკის დიდი აუცილებლობით არ არის გამოწვეული, მაგრამ კანონმდებლობაში ორი განსხვავებული ცნების შემოტანა მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. ტერმინ „გაფუჭებაში“ ჩაქსოვილია სპეციალური, კონკრეტული აზრი, რომელიც უფრო ზუსტია ზოგიერთი სახის ტვირთის დაზიანების დროს, ვიდრე ტერმინი „დაზიანება“.

იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია დაზიანება და გაფუჭება.<sup>1</sup> დაზიანება გაგებულია როგორც ტვირთის მექანიკური ცვლილება, რომელსაც მოსდევს მისი ღირებულების შემცირება ანდა მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების შეუძლებლობა. გაფუჭება არის ტვირთის ქიმიური ან ბიოლოგიური ცვლილება, რომელსაც აგრეთვე მოსდევს მისი ღირებულების შემცირება ან მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების შეუძლებლობა.

დაზიანება და გაფუჭება შეიძლება შეეხოს მთელ ტვირთს ან მის ნაწილს. იგი შეიძლება შედეგი იყოს ტვირთის დასველების, გაჭუჭყიანების, გახეხვის, გატეხვის. ამასთან არ არის გამორიცხული, რომ ერთდროულად ტვირთი შეიძლება მოვიდეს დანაკლისით, აგრეთვე დაზიანების ან გაფუჭების ნიშნებით.

დანადგარების, დაზგების, აგრეატების და სხვა ერთიანი რთული ნივთების გადაზიდვის დროს ხშირად ადგილი აქვს შემადგენელი ნაწილების დაკარგვის შემთხვევას. ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნას დაკვალიფიცირებული ასეთი შემთხვევა, როგორც დანაკლისი, თუ დაზიანება. ამაზეა დამოკიდებული ანაზღაურების ოდენობის საკითხის გადაწყვეტა. ბ. ლ. ხასკელბერგის აზრით, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ისეთივე შედეგი გვაქვს, როგორც დანადგარის რომელიმე ნაწილის გატეხვის დროს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დაზიანებული ნაწილის შეცვლის შემდეგ, და მაშასადამე, საქმე გვაქვს ტვირთის ხარისხობრივ ცვლილებასთან, ასეთი შემთხვევა უნდა მივიჩნიოთ დაზიანებად და არა დანაკლისად. ნაწილების დაკარგვის გამო დაზგა, მანქანა უკომპლექტო ხდება და მისი დაკომპლექტების შეუძლებლობის შემთხვევაში იგივე შედეგები დგება, რაც დაზიანების დროს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Яйчков К. К. Договор железнодорожной перевозки грузов по Советскому праву, 1958 г., стр. 233, Хаскельберг Б. Л. Ответственность железных дорог за сохранность груза, 1966 г., стр. 20, Лукьянов Б. П. Несохранность груза как основание ответственности железной дороги, Ученые записки, 1967 г., Выпуск XV, Саратов, стр. 853.

<sup>2</sup> ბ. ლ. ხასკელბერგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17—18.



ძნელია დავეთანხმით ამ მოსაზრებას და პრაქტიკაშიც სხვანაირად წყდება ეს საკითხი. ის, რომ ერთგვაროვანი ტვირთის (ქვანახშირი, ხორცი და სხვა) დანაკლისის დროს ფაქტიურად მიღებული ნაწილი გამოიყენება პირდაპირი დაწინაურებით და გადამზიდავი პასუხს აგებს მოუსვლელი ტვირთის ღირებულების ნაწილში, არ იძლევა საფუძველს, რომ მანქანების და დანადგარების ნაწილების დაკარგვა არ ჩავთვალოთ დანაკლისად. ამ ნაწილებს თავისი ღირებულება აქვს და გადამზიდავი პასუხს აგებს ამ ღირებულების ნაწილში, წესდების 151-ე მუხლის მიხედვით. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამასვე მიუთითებს კ. კ. იაიჩკოვის მიერ მიღებული ტვირთის ნაწილობრივი დაკარგვის (დანაკლისის) განმარტება, რომლის მიხედვით დანაკლისი უნდა გავიგოთ როგორც გადამზიდავად მიღებულთან შედარებით ნაკლები ტვირთის გაცემა წონის, ზომის ან იმ საგნების რიცხვის შემცირება, რომელიც ერთიან სიდიდეს წარმოადგენს და ქმნის ერთ გზავნილს.<sup>3</sup>

თვით სიტყვა „დაზიანება“, რომელიც ნიშნავს გატეხვას, გაფუჭებას, არ შეიძლება გამოვიყენოთ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ნაწილობრივი დაკარგვა ხდება.

პრაქტიკაში ხშირად სადავოა საკითხი ტვირთის ტრანსპორტირების დროს ესა თუ ის დარღვევა უხარისხო პროდუქციის მიწოდებად უნდა მივიჩნიოთ თუ დანაკლისად. განსაკუთრებით ეს შეეხება განსხვავებას მტვრევასა და დაზიანებას შორის. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა 1958 წლის 26 იანვრის № ი-1-25 ინსტრუქციულ წერილში მოგვცა ამ საკითხის დაწვრილებითი განმარტება.

ტრანსპორტირების დროს დაზიანება ან გაფუჭება (გატეხვა, მტვრევა, გახეხვა და სხვ.) თუ იგი გამოწვეულია არასათანადო ტარით ან შეფუთვით ან არასწორი ჩაწყობის გამო, განხილულ უნდა იქნეს როგორც უხარისხო საქონლის მიწოდება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქცია თავისი ხასიათით მტვრევადია ან მოწოდებულია მტვრევად ტარაში (მინა, ფაიფური და სხვ.) და ტრანსპორტირების დროს დაიმტვრა, განადგურდა ან ხმარებისათვის უვარგისი გახდა ამ ნივთებზე აღმოცენებული დავა განხილულ უნდა იქნეს როგორც დანაკლისიდან გამომდინარე დავები.

ამ განმარტებაში არაპირდაპირ, მაგრამ მაინც არის პასუხი ზემოაღნიშნულ სადავო საკითხზე, ჩაითვალოს თუ არა დანადგარის ნაწილების დანაკლისი დაზიანებად. განმარტებაში დაზიანება და გაფუჭება გაგებულია როგორც გატეხვა, გახეხვა, ე. ი. თვით ტვირთის ნაწილების დაზიანება.

რკინიგზის წესდების 66 მუხლი და ტვირთის გაცემის წესების 25 პარაგრაფით დადგენილია, რომ დანაკლისის, გაფუჭების და დაზიანების ოდენობის და მიზეზების, აგრეთვე ზარალის თანხის დადგენის დროს, რკინიგზა თავისი ინიციატივით ან ტვირთის მიმღების მოთხოვნით მოიწვევს სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტებს, ხარისხის ინსპექციის, ვეტერინარულ-სანიტარულ ზედამხედველობის ან იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებს — სპეციალისტებს, რომლებიც მის სისტემაში არ შედიან. ექსპერტიზა, რომელიც ჩატარდა ტვირთის მიმღების მიერ სადგურის უფროსის, მოადგილის ან სატვირთო კარის უფროსის მონაწილეობის მიუღებლად, ბათილად მიიჩნევა.

ხშირად არასასურველი შედეგის დადგომის თავიდან აცილების მიზნით,

<sup>3</sup> К. К. Яйчков, Договор ж/д. перевозки грузов по Советскому прову, стр. 232.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკები თავს არიდებენ ექსპერტიზის აქტის შედგენაში მონაწილეობას, მაგრამ კანონი არ ითვალისწინებს თუ რა წესით უნდა იქნეს დადგენილი რკინიგზის მიერ აქტის შედგენაში მონაწილეობისაგან თავის არიდების ფაქტი.

ამ ხარვეზის შევსების მიზნით სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა 1968 წლის 29 მარტის ინსტრუქციული წერალის 30-ე პუნქტის ახალი რედაქციით განმარტა, რომ რკინიგზის წარმომადგენლის გარეშე შედგენილი ექსპერტიზის აქტი მიიღება როგორც მტკიცება იმ შემთხვევაში, თუ ტვირთის მიმღები დაამტკიცებს, რომ სადგურის უფროსს ან მის მოადგილეს დროულად წარედგინა მოთხოვნა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და მათ უსაფუძვლოდ უარყვეს ეს მოთხოვნა.

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, მიმღებს არ მოეთხოვება სადგურის უარის გასაჩივრების შესახებ მტკიცების წარდგენა.

მიუხედავად კანონის კატეგორიული მოთხოვნისა, რომ სათანადო წესის დარღვევით შედგენილი ექსპერტიზის აქტი არ წარმოადგენს მტკიცებას რკინიგზის პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის, როდესაც სარჩელის საფუძვლად წარმოდგენილია რკინიგზის სათანადო წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე შედგენილი ექსპერტიზის აქტი, მიმღების მიერ არ არის წაყენებული მოთხოვნა სადგურის მიმართ მიიღოს მონაწილეობა აქტის შედგენაში ან კომერციული აქტი შედგენილია, მაგრამ ზარალის ოდენობა არ არის დადგენილი, რადგან ექსპერტიზის აქტი შედგენილი არ ყოფილა.

„აზერსოფლტექნიკის“ ზაქათლის ბაზის სახელზე არმავირის ხელსაწყობების ქარხანამ გამოგზავნა 40 ცალი სასაქონლო სასწორი. სადგურ ნავთლულში, სადაც დადგინდა 3 სასწორის დაზიანება — მთელი კორპუსის გასწვრივ გაბზარვა, დაზიანების ოდენობის და ფაქტიური ზარალის დასადგენად ექსპერტიზის აქტი არ შეუდგენიათ. პრეტენზია და სარჩელი წარდგენილი იყო სამი სასწორის სრული ღირებულებიდან გამომდინარე. ვინაიდან წესდების 151-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად დაზიანების დროს რკინიგზა პასუხს აგებს იმ თანხის ოდენობით, რომლითაც შემცირდა ტვირთის ღირებულება, ხოლო მიმღებმა ვერ დაამტკიცა ზარალის ოდენობა, არ დაურთო საპრეტენზიო მასალებს სათანადო მოთხოვნების დაცვით შედგენილი ექსპერტიზის აქტი, საქმე წარმოებით იქნა მოსპობილი.<sup>4</sup>

როგორც აღვნიშნეთ, წესდების 151-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად დაზიანებისა და გაფუჭებისათვის რკინიგზა პასუხს აგებს იმ თანხის ოდენობით, რომლითაც შემცირდა ტვირთის ღირებულება; ამასთან როდესაც ტვირთის გამოყენება შესაძლებელია შეკეთების შემდეგ, ზარალის ანაზღაურება ხდება ტვირთის შეკეთებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით, რომელსაც მიმღები ადგენს. ზოგიერთი სახის ტვირთის დაზიანების ან გაფუჭების დროს (მანქანები, დანადგარები და სხვ.) ექსპერტიზა ვერ ადგენს ზარალის ზუსტ თანხას, ვინაიდან მისი გაანგარიშება დაკავშირებულია რთული კალკულაციის შედგენასთან, რომელიც რემონტის ჩამტკიცებელმა საწარმომ უნდა განსაზღვროს. ასეთი რემონტის ჩატარება უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ტვირთის გამომგზავნ საწარმოს შეუძლია.

მიუხედავად ამ ხასიათის დავების გადაწყვეტის სირთულისა, ძნელია დავეთანხმოთ ი. რუკასუევს, რომელიც ზედმეტი დავის თავიდან ასაცილებლად

<sup>4</sup> საქართველოს სახარბიტრაჟის საქმე № 5/660—72 აწ.

გვთავაზობს ისეთ წესს, რომლის თანახმად პრეტენზიის განმცხადებელს უფლება უნდა მიეცეს მოითხოვოს ტვირთის სრული ღირებულება თუ ექსპერტმა არ დაადგინა იმ თანხის ოდენობა, რომლითაც შემცირდა ტვირთის ღირებულება.<sup>5</sup> ჯერ ერთი, ეს მოთხოვნა პირდაპირ ეწინააღმდეგება რკინიგზის წესდების 151-ე მუხლის „გ“ პუნქტს და მეორეც, ტვირთის მიმღები, რომელსაც ეცოდინება, რომ რკინიგზა მაინც მიიღებს მის პრეტენზიას ტვირთის სრული ღირებულების მოთხოვნის შესახებ, არც დაინტერესდება დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ტვირთის დაზიანების ოდენობის განსაზღვრისა და რემონტის უმოკლეს ვადაში უზრუნველსაყოფად, რომლის უგულვებელყოფა არ შეიძლება, ვინაიდან პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მიმღებს დაზიანებული მანქანა-დანადგარი დროულად არ გააქვს სადგურიდან, თვლის რა, რომ თვითონ ბრალი არ მიუძღვის მის დაზიანებაში, ან სადგურიდან გატანის შემდეგ აქვს ღია ცის ქვეშ, სათანადო მოვლის გარეშე, ან საწარმოზე უკან გაგზავნის დროს არ იცავს შეფუთვის და ტვირთის დამაგრების ელემენტალურ წესებს, რასაც ტვირთის ხარისხის შემდგომი გაუარესება მოსდევს.

თუ ტვირთის დაზიანება ისეთი ხარისხისაა, რომ საწარმო უარს ამბობს მის შეკეთებაზე ეკონომიური მიზანშეუწონელობის ან ტექნიკური შეუძლებლობის გამო, რკინიგზა ვალდებულია გადაუხადოს მიმღებს ტვირთის სრული ღირებულება.

როგორც აღვნიშნეთ, ტვირთის გაცემის წესების 25-ე პარაგრაფის თანახმად, ექსპერტს იწვევს რკინიგზა თავისი ინიციატივით ან ტვირთის მიმღების მოთხოვნით. პრაქტიკაში დაისვა საკითხი: ხომ არ ნიშნავს, ეს, რომ თუ დანაკლისის, დაზიანების ან გაფუჭების ოდენობის ან მიზეზის დასადგენად ექსპერტიზის აქტი არ შემდგარა, პასუხისმგებლობა რკინიგზას უნდა დაეკისროს იმ მოტივით, რომ იგი ვალდებული იყო თვითონ მოეწვია ექსპერტი.

თბილისის გამომთვლელი მანქანების ექსპერიმენტულმა ქარხანამ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და მოსკოვის საწარმოს მიმართ აღძრა სარჩელი დაზიანებული დაზგის კაპიტალური შეკეთების ხარჯების ანაზღაურების შესახებ. დაზგის დაზიანება დადგენილი იყო კომერციული აქტით, რომლის მიხედვით კრებად ვაგონში დაზგა მიღებულ იქნა გადაყირავებული და აშკარად დაზიანებული. დაზგა მიღებული იყო ცენტრალიზებული გადაზიდვის წესით და მძლოლ-ექსპედიტორთან ერთად შედგა აქტი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო დაზგის დაზიანებული ნაწილები. ექსპერტიზის აქტი შედგენილი არ ყოფილა. სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა რკინიგზის ხარჯზე იმ მოტივით, რომ ექსპერტის გამოძახების მოვალეობა რკინიგზას ეკისრება. ვფიქრობთ, გადაწყვეტილების მოტივი უსწორია, ვინაიდან ტვირთის მიმღები ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, ე. ი. გამოიჩინოს ინიციატივა და მოითხოვოს ყველა დოკუმენტის შედგენა, რაც აუცილებელია სარჩელის დასაბუთებისათვის. ექსპერტიზის აქტის შეუდგენლად მიმღების სარჩელს აკლია ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, სახელდობრ, არ არის დადგენილი კაპიტალური რემონტის აუცილებლობა და ზარალის ოდენობა, ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი ცალმხრივი აქტი (ექსპედიტორი — მძლოლი ვერ ჩაითვლება კომპეტენტურად დაზგის ნაწილების დაზიანების ხარისხის დადგენისათვის) ამის მტკიცებად არ გამოდგება და, მაშასადამე, ტვირთის გაცემის წესების 25-ე პარაგრაფისა და სსრ კავშირის

ზემოაღნიშნული ინსტრუქციული წერილის 30-ე პუნქტის თანახმად, ასეთი ძიება რკინიგზის მიმართ ვერ დაკმაყოფილდება.

გადაწყვეტილება ამ საქმეზე, სხვა მოტივების არსებობის გამოც, გაუქმდა.

წესდების 63-ე მუხლი აღგენს ტვირთის მიმღების უფლებას უარი თქვას ტვირთის მიღებაზე, თუ გაფუჭების ან დაზიანების შედეგად მისი ხარისხი იმდენად შეიცვალა, რომ შეუძლებელია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება. აღსანიშნავია, რომ მოქმედი წესდების ამ მუხლით დაწესდა ტვირთის მიმღების ერთგვარი შეზღუდვა მანამდე მოქმედ წესდებასთან შედარებით, რომლის 85-ე მუხლი მიმღებს უფლებას აძლევდა უარი ეთქვა ტვირთზე, თუ შეუძლებელი იყო დანიშნულებისამებრ მისი გამოყენება. როგორც ვნახეთ, მოქმედი წესდების 63-ე მუხლი არ უშვებს მიმღების მიერ ტვირთის მიღებაზე უარის თქმას, თუ, შეუძლებელია პირველადი დანიშნულებისამებრ მისი გამოყენება, მაგრამ შესაძლოა მისი გამოყენება სხვა მიზნით. ამ ცვლილების შეტანის დროს კანონმდებელმა სახალხო მეურნეობის იმ ინტერესს ითვალისწინებდა, რომ დაზიანებული და გაფუჭებული ტვირთი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული, რაც ტვირთის მიმღებს უფრო შეუძლია, ვიდრე რკინიგზას, რადგან არ არის მიზანშეწონილი მას დაევალოს ტვირთის შეკეთება და შემდეგ გასაღება.

ამასთან, ამ ტვირთის მიმღები ვალდებულია მიიღოს იგი იმ შემთხვევაშიც, თუ შეკეთების შემდეგ მისი საჭიროებისათვის მაინც გამოუსადეგარია და შემდგომ იზრუნოს მისი რეალიზაციისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ცალკეული მითითებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ წესდების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფორმულირება მთლად ზუსტი არ არის, შეიცავს გარკვეულ წინააღმდეგობას რკინიგზის სხვა კანონმდებლობისა და პრაქტიკისადმი, რაც სწორად არის აღნიშნული რკინიგზის წესდების კომენტარებშიც.<sup>7</sup> მართლაც, ერთი მხრივ, ამ მუხლის თანახმად, მიმღებს უფლება აქვს უარი თქვას ტვირთზე თუ შესაძლებელია მისი ნაწილობრივი გამოყენება, მეორე მხრივ, ტვირთის მიმღები ვალდებულია მიიღოს ტვირთი, თუ არის თუნდაც ნაწილობრივი გამოყენების შესაძლებლობა, თუ ტვირთის ერთი ნაწილი გაფუჭდა, ხოლო მეორე ნაწილის გამოყენება შესაძლებელია. სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მითითებით, თუ ექსპერტი დაადგენს, რომ ტვირთის შეკეთება შესაძლებელია, მისი მიმღები ვალდებულია მიიღოს და გამოიტანოს ეს ტვირთი მაშინაც, როდესაც იგი უნდა შეაკეთოს მიმღებმა ან სხვა ორგანიზაციამ.<sup>8</sup> სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკით თუ დაზიანებულ ან გაფუჭებულ ტვირთს რაიმე, თუნდაც სულ უმნიშვნელო ეკონომიური ღირებულება აქვს მის პირველ ფასთან შედარებით, რკინიგზა უარს ამბობს მისი მთლიანი ღირებულების ანაზღაურებაზე.

ტვირთის გამოყენების შეუძლებლობის შესახებ აუცილებელია ექსპერტის აქტის არსებობა, რომელიც უნდა შედგეს ტვირთის გაცემის წესების 25-ე პარაგრაფის მოთხოვნათა დაცვით. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ტვირთის მიმღები უარს ამბობს გაიტანოს დაზიანებული ან გაფუჭებული ტვირთი და არ ზრუნავს, რომ სათანადო წესით გააფორმოს ასეთი ფაქტი, რაც მისთვის სავალალო შედეგით მთავრდება.

<sup>6</sup> საქართველოს სახარბიტრაჟის საქმე № 5/1233—71 წ.

<sup>7</sup> Комментарий к Уставу ж/д. СССР, 1971 г., стр. 117.

<sup>8</sup> Инструктивное письмо Госарбитража СССР от 29 марта 1968 г., за № 4-1-9, п. 29.

წესდების 63-ე მუხლის მეორე ნაწილით ტვირთის მიმღებზე უფლება აქვს უარი თქვას ტვირთის მიღებაზე, მიუხედავად იმისა, ვისი — გამომგზავნის თუ რკინიგზის ბრალით მოხდა ტვირთის დაზიანება და გაფუჭება; უფრო მეტიც, ტვირთის მიღებაზე უარის თქმის დროს არც არის საბოლოოდ გარკვეული და დადგენილი ვისი მიზეზით მოხდა დაზიანება. ბრალეულობის საკითხი შეიძლება საბოლოოდ გადაწყდეს რამდენიმე თვის შემდეგ (თუ გავითვალისწინებთ საპრეტენზიო და სასარჩელო ვადებს), ხოლო რკინიგზა მოვალეა ამ ხნის განმავლობაში იზრუნოს ტვირთზე (გაანადგუროს, ჩააბაროს ჭარბად და სხვ., რაც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული), რომლის გაფუჭებასა და დაზიანებაში მას შეიძლება არც მიუძღოდეს ბრალი. ეს იმ დროს, როდესაც რკინიგზის კანონმდებლობა ითვალისწინებს გაანთავისუფლოს რკინიგზის ტრანსპორტი მისთვის არადამახასიათებელი ფუნქციისაგან (შეკეთება, რეალიზაცია და სხვ.).

დავების განხილვის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად ტვირთის დაუცველობა გამოწვეულია მოძრავი შემადგენლობის უწყესიგრობით.

წესდების 46-ე მუხლით რკინიგზა ვალდებულია ჩასატვირთავად მიაწოდოს გამართული, მოცემული ტვირთის გადასაზიდად ვარგისი ვაგონები და კონტეინერები, რომლებიც გაწმენდილი იქნება ტვირთის ნარჩენებისა და ნაგვისაგან. ვაგონების წესივრული მდგომარეობის ქვეშ იგულისხმება, რომ ტექნიკურად და კომერციულად იგი უნდა გამართული იყოს. რკინიგზის წესდება და წესები არ იძლევა ამ ცნებების განმარტებას, მაგრამ ლიტერატურაში მოცემულია ვაგონების ტექნიკური და კომერციული წესივრული მდგომარეობის განმარტება.<sup>9</sup> ტექნიკურად გამართული ვაგონები უნდა აკმაყოფილებდეს სსრ კავშირის რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების მოთხოვნებს, ხოლო კომერციული წესივრული მდგომარეობა გულისხმობს ვაგონების ისეთ მდგომარეობას, რომელიც უზრუნველყოფს გადასაზიდავი ტვირთის დაცულობას. იქვე განმარტებულია კომერციული თვალსაზრისით მოცემული ტვირთის გადასაზიდავად მოძრავი შემადგენლობის ვარგისიანობის ცნება, რაზეც ლაპარაკია წესდების 46-ე მუხლის მე-5 აბზაცში და რაც ნიშნავს მოძრავი შემადგენლობის ისეთ ტექნიკურ და კომერციულ გაშართულებას, რომელზეც დამოკიდებულია მოცემული კონკრეტული ტვირთის დაცულობის უზრუნველყოფა.

ტექნიკური და კომერციული გამართულება არ ემთხვევა ერთმანეთს. შესაძლოა ზოგადი მოთხოვნები ტვირთის გადაზიდვის უზრუნველსაყოფად დაცული იყოს (სახურავის ვარგისიანობა, ნასვრეტების არარსებობა, ვაგონის მოძრავი ნაწილების მუხრუჭების და სხვ. ვარგისიანობა), კომერციული თვალსაზრისით კი არა. მაგალითად, კვების პროდუქტების გადაზიდვის დროს სხვა უცხო სუნის არსებობა. თუ ასეთი დეფექტი ცუდად იმოქმედებს ტვირთზე, გამგზავნი ვალდებულია თავიდან აიცილოს ეს დეფექტი ან უარი თქვას ასეთ მოძრავ შემადგენლობაზე, თუმცა იგი შეიძლება ტექნიკურად აბსოლუტურად გამართული და უდეფექტო იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტვირთის გაფუჭების რისკი მას დაეკისრება.

მაშასადამე, შესაძლებელია ტექნიკურად გამართული კონტეინერი კომერციულად უვარგისი იყოს და, პირიქით, ტექნიკური დეფექტების მქონე კონტეინერი მოცემული კონკრეტული ტვირთის გადასაზიდავად კომერციულად ვარგისი გამოდგეს; მაგალითად, კონტეინერში, რომლის კარები მჭიდროდ არ

<sup>9</sup> Комментарий к Уставу железных дорог СССР, Москва 1971 г., стр. 85.

იხურება, შეიძლება ჩაიტვირთოს მინის ტარის ჭურჭელი, რომელიც დასველებით არ ფუჭდება.

ზემოაღნიშნული 46-ე მუხლის თანახმად, კომერციული თვალსაზრისით მოცემული ტვირთის გადასაზიდავად მოძრავი შემადგენლობის ვარგისიანობას განსაზღვრავს ტვირთის მიმღები, თუ ვაგონებში ჩატვირთვა ხდება მისი სახსრებით. ხოლო კონტეინერების, ცისტერნების და ბუნკერული ნახევარვაგონების ვარგისიანობას ყველა შემთხვევაში გამგზავნი განსაზღვრავს. თუ ვაგონებში ჩატვირთვას რკინიგზა ახდენს, — ვაგონის ვარგისიანობასაც, მოცემული ტვირთის გადასაზიდავად, კომერციული თვალსაზრისით რკინიგზა განსაზღვრავს. მაშასადამე, ვაგონების ვარგისიანობის განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მიერ მოხდა ჩატვირთვა. ახალი წესდებით გაიზარდა ტვირთის გამგზავნის პასუხისმგებლობა, რომელიც ვალდებულია მეტი ყურადღებით მოეციდოს ტვირთის ჩატვირთვას, შეამოწმოს მოძრავი შემადგენლობის ვარგისიანობა მოცემული ტვირთის გადასაზიდავად. ტვირთის გამგზავნის პასუხისმგებლობის გაზრდა გამომდინარეობს ტვირთის დაცულობის ინტერესებიდან, ვინაიდან გამგზავნისათვის უფრო იოლია განსაზღვროს მისი ტვირთის გადასაზიდავი მოძრავი შემადგენლობის ვარგისიანობა, ვინაიდან მან უკეთ იცის ამ ტვირთის თვისებები და შემადგენლობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1968 წლის 29 მარტის № 1-9 ინსტრუქციული წერილის 35-ე პუნქტის თანახმად, თუ რკინიგზის მიერ ჩასატვირთავად მოწოდებული ვაგონი ან კონტეინერი თავისი ტექნიკური მდგომარეობით ან კომერციული თვალსაზრისით ვერ უზრუნველყოფს ტვირთის დაცულობას გადაზიდვის დროს, ტვირთის გამგზავნი ვალდებულია უარი თქვას ასეთ მოძრავ შემადგენლობაში ტვირთის ჩატვირთვაზე. ტვირთის მიმღების მიერ ასეთი პირობის დაუცველობისას ტვირთის დაკარგვის, დანაკლისის, დაზიანებისა და გაფუჭების დროს, რომელსაც ადვილი ჰქონდა მოძრავი შემადგენლობის უწესიერო მდგომარეობის ან მოცემული ტვირთის გადასაზიდავად მისი კომერციული თვალსაზრისით უვარგისობის გამო, პასუხისმგებლობა გამგზავნს უნდა დაეკისროს.

პრაქტიკულად სადავოა მხოლოდ ტექნიკურად გაუმართავი მოძრავი შემადგენლობის მიწოდების დროს რკინიგზასა და გამგზავნს შორის პასუხისმგებლობის განაწილების საკითხი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული ტვირთის გადასაზიდავად მოძრავი შემადგენლობის ვარგისიანობას, კომერციული თვალსაზრისით, გამგზავნი ამოწმებს და ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ყველა შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამგზავნს ეკისრება.

კომერციული თვალსაზრისით მოცემული ტვირთის გადასაზიდავად მოძრავი შემადგენლობის ვარგისიანობის და ტვირთის გამგზავნისა და რკინიგზას პასუხისმგებლობის გამიჯვნის თვალსაზრისით დამახასიათებელია საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის შემდეგი საქმე: ოჩამჩირის საკონსერვო ქარხანამ თელავის საკონსერვო ქარხანას გაუგზავნა ერთი ვაგონი კონსერვის მინის ქილები, რომელიც ჩაწყობილი იყო ხის ყუთებში. გზაში, სადგურ ხაშურში ხანძრის შედეგად ტვირთი ძირითადად განადგურდა. აქტის მიხედვით, ხანძარი ვაგონის გატეხილი იატაკიდან მოხვედრილმა ნაპერწკალმა გააჩინა. რკინიგზამ უარყო სარჩელი ტვირთის გამგზავნის პასუხისმგებლობის მოტივით, რომელმაც ქილები ჩატვირთა გაუმართავ ვაგონში, მაგრამ რკინიგზის მოსაზრება გაზიარებულ არ იქნა, ვინაიდან ტვირთის გამგზავნს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა და თავი-

ვიდან აეცილებინა ვაგონის იატაკზე ერთი ნაპერწკლით ცეცხლის გაჩენა. საქმეში არ არის მითითება გამგზავნის ბრალზე, ხოლო გადასაზიდავ ტვირთს არ გააჩნდა რაიმე განსაკუთრებული თვისება, რაც ხანძარს გააჩენდა. მინის ქილები გადაზიდვის ნორმალური პირობების დროს არ შეიძლებოდა დაზიანებულიყო ვაგონის იატაკზე ან სახურავზე ნასვრეტების არსებობით, ვინაიდან არც ტემპერატურას, არც ნალექებს მისი დაზიანება არ შეეძლო. მაშასადამე, ვაგონის კომერციული ვარგისიანობა საექვო არ იყო, ხოლო ხანძრის თავიდან აცილება გადაზიდვის მოვალეობა გახლდათ, რომელიც, წესდების 46-ე მუხლის თანახმად, ვალდებულია მიაწოდოს გამართული, ტვირთის გადასაზიდავად ვარგისი ვაგონები.<sup>10</sup>

ზემოაღნიშნული ინსტრუქციული წერილის მიხედვით გაუმართავი მოძრაობის შემადგენლობით ტვირთის გადაზიდვისათვის პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყვეტილია იმის მიხედვით, თუ რა სახის დეფექტები გააჩნია მოძრავ შემადგენლობას. როდესაც ტექნიკურ უწყესიგრობას ფარული ხასიათი აქვს ან წარმოიშვა გადაზიდვის მსვლელობის დროს, პასუხისმგებლობა რკინიგზას უნდა დაეკისროს, ხოლო თუ ზარალი წარმოიშვა იმის გამო, რომ ვაგონს ან კონტეინერს ფარულ და გადაზიდვის დროს წარმოქმნილ უწყესიგრობასთან ერთად გააჩნდა აშკარა ხასიათის დეფექტებიც, რომელთა გამომყდვენება შეიძლებოდა ჩატვირთვამდე, დგება როგორც რკინიგზის, ისე გადაზიდვის პასუხისმგებლობაც.

კონტეინერით გადაზიდვის დროს დეფექტების ხასიათის მიხედვით პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის შესახებ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ არაერთხელ იყო მითითებული (1960 წლის 29 ივნისის № 1-34 ინსტრუქციული წერილი, ცალკეულ კონკრეტულ საქმეებზე მითითებანი და სხვ.). საკითხის ასე გადაწყვეტის დროს სახელმწიფო არბიტრაჟი იქედან გამომდინარეობდა, რომ რკინიგზა ვალდებულია მიაწოდოს ჩასატვირთავად გამართული კონტეინერები, თვით ტვირთის გამგზავნი ვალდებულია ჩატვირთვამდე დაათვალიეროს კონტეინერი და დაადგინოს მოცემული ტვირთის გადასაზიდავად მისი ვარგისიანობა. რაიმე დეფექტის შემჩნევისას, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ტვირთის დაცულობაზე, გამგზავნი ვალდებულია შეაკეთოს ან უარი თქვას ასეთ კონტეინერში ჩატვირთვაზე. რკინიგზა გამგზავნისაგან ჩატვირთულ კონტეინერს იღებს გარეგანი დათვალიერებით და რაიმე უწყესობის აღმოჩენის შემთხვევაში (სახურავის გატეხვა ან დაზიანება და სხვ.), უფლება აქვს უარი თქვას ასეთი კონტეინერის მიღებაზე. მაშასადამე, კონტეინერის ტექნიკური გამართულობა ვალდებულია შეამოწმოს როგორც რკინიგზამ, ისე გამგზავნმა და პასუხისმგებლობა ამ ვალდებულების დამრღვევს უნდა დაეკისროს.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1968 წლის 29 მარტის ინსტრუქციული წერილის 35-ე პუნქტში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, შენარჩუნებულია მოძრავი შემადგენლობის ფარული და აშკარა დეფექტების მიხედვით პასუხისმგებლობის გამიჯვნის წესი, ხოლო ამ წერილში ეს წესი გავრცელებულია ვაგონებზეც.

ფარული და აშკარა დეფექტების მიხედვით ტვირთის გადაწყვეტა მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მოძრავი შემადგენლობის დეფექტის გარ-

<sup>10</sup> საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის საქმე № 3/133—1971 წ.

კვევა (მიეკუთვნება იგი ფარულ თუ აშკარა ხასიათის დეფექტებს) რთულად, დეფექტების შეფასება ზოგჯერ სპეციალურ ცოდნასაც მოითხოვს.

ამასთან, ისიც შეიძლება, რომ დეფექტების უმრავლესობა, რომელსაც მიუთითებს ტექნიკური აქტები (ნასვრეტები, ნაპრალები, ნაკერების არასათანადოდ შედგენა და სხვ.), შეიძლებოდა წარმოშობილიყო გზაში, რკინიგზის მიერ კონტინერის გადატვირთვა-ჩატვირთვის დროს, ხოლო კონტინერის ერთი თვის და ზოგჯერ უფრო მეტი ხნის განმავლობაში გზაში ყოფნის პერიოდში ყოველგვარმა დეფექტმა შეიძლება მიიღოს ძველი წარმოშობის სახე. ერთადერთ მტკიცებას დეფექტების შესახებ წარმოადგენს ტექნიკური აქტი, რომელიც სადგურის მუშაკების მიერ დგება და, მაშასადამე, არ არის დაცული უწყებრივი ტენდენციებისაგან — გაათავისუფლოს რკინიგზა მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან, რაც კიდევ პოულობს გამოსახულებას აქტების შედგენის დროს, ვინაიდან თითქმის ყველა აქტში სრულიად დაუსაბუთებლად არის მითითება, რომ დეფექტი ტვირთის გამგზავნის შეეძლო შეემჩნია გავზავნის დროს.

ასეთი დავების გადაწყვეტის დროს ყოველ არბიტრს გადაწყვეტილება გამოაქვს მოძრავი შემადგენლობის დეფექტების თავისი შეფასებიდან გამომდინარე, რაიმე მყარ კრიტერიუმზე დაუყრდნობლად, რაც (და აგრეთვე, ყველა შემოადინებული მიზეზები) იმის საფუძველია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში არ არის ერთიანი პრაქტიკა და ყოველთვის როდი ისჯება უშუალოდ ამ დარღვევის დამშვები.

ამის დადასტურება საარბიტრაჟო პრაქტიკის სამეცნიერო პრაქტიკულ კომენტარებში მოთავსებული ო. ნ. სადიკოვის წერილი, რომელიც აღნიშნავს, რომ მოსკოვის და ლენინგრადის სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ განხილულ საქმეთა მიხედვით, კონტინერის უწყისიგრობა უმეტეს შემთხვევაში ფარულად მიიჩნევა და ტვირთის დაუცველობისათვის პასუხისმგებლობა გადაშიდავს ეკისრება.<sup>11</sup> საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკის მიხედვით შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დავათა უმრავლესობა ტვირთის გამგზავნის პასუხისმგებლობის ცნობით მთავრდება.

ო. ნ. სადიკოვს მოჰყავს ლენინგრადის სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ვაგონის ძველი სახურავის ნაკერებს შორის 2X250 მმ დაშორების გამო ტვირთის დასველებით მიყენებული ზარალი რკინიგზას დაეკისრა, რადგან გამგზავნის არ შეეძლო ამ დეფექტის აღმოჩენა.<sup>12</sup> საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკის თანახმად ასეთი ზომის დაშორება მიიჩნევა აშკარა დეფექტად და პასუხისმგებლობა გამგზავნის ეკისრება.

ცეკავშირის ზუგდიდის ბაზამ აღძრა სარჩელი ომსკის სატელევიზიო ქარხნიდან მიღებული ტელევიზორების დასველების გამო ზარალის ანაზღაურებაზე. ორ ტელევიზორს არ ჰქონდა გამოსახულება, დანარჩენი 22 მუშაობდა, მაგრამ კორპუსი და პასპორტები დასველებული აღმოჩნდა. მაძიებელი მოითხოვდა ტელევიზორების სრული ღირებულების ანაზღაურებას. ტექნიკური აქტით კონტინერის სახურავი ძველი, დაქანებული აღმოჩნდა, 9 ადგილზე ძველი წარმოშობის წვრილი ნასვრეტები ჰქონდა. ტექნიკურ აქტში აღნიშნულია, რომ გამგზავნის შეეძლო შეემჩნია აღნიშნული დეფექტები. ტექნიკური აქტის

<sup>11</sup> Научно-практический комментарий арбитражной практике № 1, стр. 32.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 34.

ეს მითითება, როგორც ყოველთვის, არაფრით არ არის დასაბუთებული, დაუნგვა შეიძლებოდა ვზაში წარმოშობილიყო, ხოლო ნასვრეტების წარმოშობა, სიძველის მიზეზი იყო თუ არა, სპეციალისტის დასკვნის გამოუტანლად ძნელი გასარკვევია. საეჭვოა არბიტრაჟის მიერ პასუხისმგებლობის გამგზავნისათვის დაკისრება.<sup>13</sup>

ლიტერატურაში არაერთხელ იყო მითითებული მოძრავი შემადგენლობის ფარული და აშკარა დეფექტების მიხედვით პასუხისმგებლობის განაწილების უსწორობაზე, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ე. ოლზონს და ს. გედიხს, რომელთა აზრითაც პასუხისმგებლობის განაწილების ასეთი მეთოდი ეწინააღმდეგება ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპს, რომელიც დადგენილია სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 74-ე მუხლით. მართლაც, — აღნიშნავენ უსწორობაზე. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ე. ოლზონს და ს. გედიხს, რომელთა პასუხს აგებს ფარული დეფექტებით კონტეინერის მიწოდებისათვის, თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან აშკარა დეფექტიანი კონტეინერის მიწოდებისათვის. კონტეინერების ფარული და აშკარა დეფექტების გამიჯვნა სწორედ მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ გამართულებას მიეკუთვნება, რომლის შემოწმება რკინიგზას ევალება, როგორც ამ შემადგენლობის მესაკუთრეს. ამიტომ თუ ტვირთი დაზიანდა ტექნიკურად გაუმართავი კონტეინერის მიწოდების გამო, იგულისხმება რკინიგზის ბრალი და იგი ვალდებულია დაამტკიცოს თავისი ბრალის არარსებობა.<sup>14</sup>

რკინიგზის წესდების 46-ე მუხლი, აგრეთვე უნივერსალურ კონტეინერებში ტვირთის გადაზიდვის წესების მე-10 პარაგრაფი ტვირთის გამგზავნს აკისრებს მოვალეობას განსაზღვროს მოცემული ტვირთის გადასაზიდავად კონტეინერის ვარგისიანობა მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით, ტექნიკური ვარგისიანობა კი რკინიგზის მიერ მოწმდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წესდებამ და წესებამ არ განმარტა ეს ცნებები. მაგრამ ზემოაღნიშნული ინსტრუქციული წერილის 35-ე პუნქტი, განმარტავს, რა მოცემული ტვირთის გადასაზიდავად მოძრავი შემადგენლობის კომერციული თვალსაზრისით გამართულებას როგორც ამ შემადგენლობის, ისეთ ტექნიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთის დაცულობას გადაზიდვის დროს, გადამზიდავის და რკინიგზის პასუხისმგებლობის გამიჯვნის დროს ლაპარაკობს გამგზავნის ვალდებულებაზეც მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური გამართულობის გამო.

მაშასადამე, ტექნიკურად გაუმართავ კონტეინერში ტვირთის ჩატვირთვისათვის პასუხისმგებელია როგორც რკინიგზა, ისე გამგზავნი, რომელმაც არ განაცხადა უარი ასეთი კონტეინერის მიღებაზე. ამიტომ უფრო სწორი იქნება, ფარულ დეფექტების დროს პასუხისმგებლობა რკინიგზას დაეკისროს როგორც მესაკუთრეს; ხოლო აშკარა, შესამჩნევი დეფექტების დროს პასუხისმგებლობა განაწილდეს გამგზავნსა და რკინიგზას შორის, რომლის მთლიანად განთავისუფლება აშკარად უვარგისი მოძრავი შემადგენლობის მიწოდების გამო პასუხისმგებლობისაგან, არ შეესაბამება საბჭოთა კანონმდებლობით დადგენილი ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპს.

<sup>13</sup> საქართველოს სსრ არბიტრაჟის საქმე № 5/362—72 წ.

<sup>14</sup> «Советская юстиция», № 7, 1971 г., стр. 17—18.

# ღამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოების გაკაშე ჩადენილი გვკვდილობის ზოგნიერთი სახე

## 3. ჩხეიძე

ღამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოების გარეშე ჩადენილი მკვლელობის სახეებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია მკვლელობა ექვინობისა და შურისძიების ნიადაგზე.<sup>1</sup> შურისძიებით მკვლელობასთან ახლოს დგას მკვლელობა ხანგრძლივი მტრული ურთიერთობის ნიადაგზე. მკვლელობა აქაც განპირობებულია მძაფრი მტრობით, რაც იწვევს დამნაშავეში მისწრაფებას მიაყენოს დაზარალებულს მაქსიმალური ბოროტება. მაგრამ ამ შემთხვევაში მკვლელობა არ ჩანს როგორც სამაგიეროს გადახდის აქტი დაზარალებულის კონკრეტულ მოქმედებაზე. მკვლელობის ამ სახის განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატება, რომ დანაშაულის გამომწვევი კონკრეტული სიტუაცია აღმოცენდება და ვითარდება მეტნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში. დამნაშავესა და დაზარალებულს შორის მტრული ურთიერთობა, იმისგან დამოუკიდებლად თუ რა მიზეზით აღმოცენდება ის, თანდათან აძლიერებს სიძულვილს, რაც დანაშაულის ძირითადი მოტივი ხდება.

მტრული გრძნობების თანდათანობით ზრდას, მიყვავართ იქამდის, რომ მკვლელობის ჩადენისათვის საკმარისი ხდება მხოლოდ გარეგნული ბიძგი. ზოგჯერ ასეთ როლს ასრულებს დაზარალებულის ისეთი მოქმედება, რომელიც სხვა სიტუაციაში ფრიად უმნიშვნელოდ ჩაითვლებოდა შურისძიებისათვის.

ამიტომ სწორად იქცევიან ის სასამართლოები, რომლებიც განაჩენში აღნიშნავენ, რომ მკვლელობა ჩადენილია „ინტიმური ურთიერთობის ნიადაგზე“, „ოჯახური უთანხმოების გამო“. „მძიმე პირად ურთიერთობასთან დაკავშირებით“ და ა. შ. ამ სიტყვებით ხასიათდება ის ვითარება, რომელშიც ჩადენილია დანაშაული და არა მოტივი, რამაც გამოიწვია სიძულვილი, შეურაცხყოფა, გაბოროტება და ა. შ.

ასეთი მძიმე გარემოება ყალიბდება ჩვეულებრივად, მტრულად დამოკიდებული ადამიანების ყოველდღიური ახლო ურთიერთობით, ხშირად ცოლქმარსა ან სხვა ახლო ნათესავებს შორის, იშვიათად — მეზობლებს შორის. როდესაც მტრული ურთიერთობა გამოიხატება ებოზოდურ უსიამოვნებასა და ჩხუბში, მაშინ მაპროვოცირებელი ფაქტორი (მკვლელობის მიზეზი) შეიძლება მორიგი კონფლიქტი იყოს.

ძმები ვ-ბი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩხუბობდნენ სახლის გაყოფაზე. 1969 წლის 23 სექტემბერს დაუდგენელი მიზეზით მათ სახლს გაუჩნდა ხანძარი. ვ. ვ-ს ეჭვი შეეპარა ნ. ვ-ზე. ამასთან დაკავშირებით მათ შორის ატყდა ჩხუბი, რა დროსაც ნ. ვ-მ თოფი ესროლა ვ. ვ-ს, ხოლო შემდეგ ძმებმა დანე-

<sup>1</sup> იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1973 წ., № 4, გვ. 37—45.

ბით მიიწიეს ერთმანეთისკენ, რა დროსაც ნ. ვ-მ გულში დანა ჩაართყა ვ. ვ-ს.<sup>2</sup> მტრული ურთიერთობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის მიზეზი შეიძლება გახდეს დაზარალებულის ისეთი მოქმედება, რომელიც თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ ან სერიოზულ ამორალურ საქციელად. ასეთმა საქციელმა შესაძლოა მხოლოდ მაპროვოცირებელი ფაქტორის როლი შეასრულოს უკვე ჩამოყალიბებულ მტრულ ურთიერთობათა ფონზე.

ცოლ-ქმარ ბ. და გ. შორის ხშირად იყო უსიამოვნება და ჩხუბი. მუდმივი უსიამოვნების გამო მათ შორის მტრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. 1968 წლის 3 აპრილს, დილით, როდესაც ბ-ს ეძინა, გ-მ ამოაცალა მას ჯიბიდან 20 მან., იყიდა ღვინო და თავის ამხანაგ ქალებთან ერთად დალია. გაიგო რა ეს, გაჯავრებული ბ. მივარდა ცოლს და დაუწყო ცემა ფეხებითა და ჯოხით. სხეულის დაზიანებისაგან გ-ვი გარდაიცვალა. ბ-ვი გაასამართლეს საქართველოს სსრ სსკ 105-ე მუხლით, ოჯახური უსიამოვნების გამო მკვლელობისათვის.<sup>3</sup>

როგორც პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, ხანგრძლივი მტრული ურთიერთობის ნიადაგზე მკვლელობა ხდება უეცარი, განუსაზღვრელი კონფლიქტის ვამწვავების დროს. ამასთან, ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას წინასწარი განზრახვითაც, როდესაც მძიმე სიტუაციის გავლენაში მყოფი დამნაშავე შეგნებულად ეძებს გამოსავალს მკვლელობაში. ასე მაგ. საქულველი მეუღლის მოკვლა მისგან თავის დაღწევის მიზნით.

ამ სახის მკვლელობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შეფასებისას უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებების მთელი სიტუაცია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს სსრ სსკ 38-ე მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა რიცხვს მიაკუთვნებს „დანაშაულის ჩადენას მძიმე პირობებში ან ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო“. საჭიროა შეფასდეს ის გარემოებანი, რომლებიც მკვლელობას დაედო საფუძვლად, გათვალისწინებულ იქნას დაზარალებულის ბრალი. დაბოლოს, აუცილებელია განვიხილოთ მტრული დამოკიდებულების წყარო, დადგინდეს რამდენად დამნაშავეა მათს აღმოცენებაში თვით მკვლელი.

ბ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მტრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა თავის სიდედრ მ-სთან. 1969 წლის 2 მაისს ბ. ნასვამი დაბრუნდა სახლში და ცოლს კიდევ მოსთხოვა ღვინო. ცოლმა უარი უთხრა. მ. მიემხრო თავის ქალიშვილს და საყვედურები დაუწყო სიძეს სიმთვრალის გამო. ხ-მ ხელი დაავლო გრაფინს და რამდენჯერმე ჩაართყა მ-ს, რისგანაც ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. როგორც საქმის განხილვისას გამოირკვა დამნაშავეს მტრული დამოკიდებულება დაზარალებულთან გამოწვეული იყო ხ-ის სისტემატური ლობობით, რაც გაითვალისწინა სასამართლომ.<sup>4</sup>

დაზარალებულის არასწორი მოქმედება ხშირად პრესებით როლს თამაშობს დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენაში. ეს საშუალებას იძლევა გამოვეყოთ დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე მკვლელობის დაზარალებულის მხრივ პროვოცირებული მკვლელობა. ამასთან, მკვლელობაში არა გვაქვს

<sup>2</sup> მარნეულის რაიონის სახ. სასამართლოს არქივი, 1970 წ.

<sup>3</sup> ზუგდიდის რაიონის სახ. სასამართლოს არქივი, 1968 წ.

<sup>4</sup> ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახ. სასამართლოს არქივი, 1970 წ.

მკვლელობა ჩადენილი უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს, რადგანაც ეს დანაშაული კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 106 და 107 მუხლებით. ლაპარაკია ისეთ მკვლელობაზე, სადაც არ არის აუცილებელი მოგერიების და ძლიერი სულიერი აღელვების ნიშნები ან ძლიერი სულიერი აღელვება არ არის გაპირობებული 106-ე მუხლში აღნიშნული გარემოებებით.

დაზარალებულის მხრივ პროვოცირებული მკვლელობა ხასიათდება ორი აუცილებელი ნიშნით: ჯერ — ერთი, მკვლელობა მიზეზობრივ კავშირშია დაზარალებულის ქცევასთან, წარმოადგენს საპასუხო საზოგადოებრივ საშიშრეაქციას დაზარალებულის განსაზღვრულ ქცევაზე ან მისი მოქმედების რაიმე ელემენტებზე; მეორეც, დაზარალებულის ქცევით გამოწვეული დანაშაული ატარებს არამართლზომიერ ან ამორალურ ხასიათს. მხოლოდ აღნიშნული ნიშნების არსებობისას შეიძლება ვილაპარაკოთ ჩადენილი მკვლელობის საზოგადოებრივი საშიშროების შედარებით ნაკლებ ხარისხზე.

სხვა მსგავს შემთხვევებში ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება მით უფრო ნაკლებია, რამდენაც დიდი როლი შეასრულა დაზარალებულის ქცევამ დანაშაულის განზრახვის ფორმირებასა და განხორციელებაში და რამდენადაც უფრო მეტი იყო ამ ქცევის საზოგადოებრივი საშიშროება.

დაზარალებულის უარყოფითი ქცევა, რომელიც ხელს უწყობს მკვლელობის ჩადენას, ჩვეულებრივად გამოიხატება ძალმომრეობით მოქმედებაში ან დამნაშავეს ან მისი ახლობლების შეურაცხყოფაში. დაზარალებულის მხრივ პროვოცირებული მკვლელობის მოტივი ყოველთვის ემოციური ხასიათისაა: დამნაშავე მოქმედებს რისხვის, შეურაცხყოფის, სიძულვილის და ა. შ. გრძობების გამოვლენით. მართალია, დამნაშავეს ემოციური მდგომარეობა არ აღწევს აფექტამდე, მაინც დანაშაულის ჩამდენი პირის თვითკონტროლის შესუსტება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

დაზარალებულის მხრივ პროვოცირებული მკვლელობის მოტივის შინაარსს საერთო აქვს შურისძიებით მკვლელობის მოტივის შინაარსთან — დაზარალებულის კონკრეტულ ქცევაზე სამაგიეროს მიზნა. ამასთან ეს მოტივი მოკლებულია ქვენა გრძობის შინაარსს. ეს შურისძიებაც არ არის, ეს უფრო პატივისა და ღირსების დაცვაა დაზარალებულის მხრივ ხელყოფისაგან.

დაზარალებულის მხრივ პროვოცირებული მკვლელობის მოტივის შინაარსს საერთოდ არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი მოცემულ შემთხვევაში განისაზღვრება არა იმდენად მოტივით, რამდენადაც დაზარალებულის უარყოფითი ქცევის მამოძრავებელი როლით დანაშაულის წარმოქმნაში.

დაზარალებულის უარყოფით ქცევასთან დაკავშირებული მკვლელობა შესაძლოა ჩადენილ იქნას როგორც უეცარი, ისე წინასწარი განზრახვით. წინასწარგანზრახული მკვლელობა გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც თვით დაზარალებულის პროვოცირებული ქცევა ატარებს არა ერთდროულ, არამედ ხანგრძლივ ხასიათს.

ა-ვები 20 წლის ცოლ-ქმარი იყვნენ და ჰყავდათ სამი შვილი. უკანასკნელ წლებში ცოლ-ქმარი ხშირად ჩხუბობდა. ა-ვი სვავდა და ნასვამ მდგომარეობაში ხშირად სცემდა მეუღლეს. ერთი ასეთი ცემის შემდეგ, ქმარისგან შეურაცხოფილმა ა-ვამ გადაწყვიტა მისი მოკლა. როგორც კი ა-ვმა დაიძინა, ა-ვამ ნა-

ჯახი სამეგრ ჩაარტყა მას თავში, დადო ურემზე და მდინარეში ჩააგდო.<sup>5</sup> მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით მოხდა, ეს არ ცვლის მის ხასიათს, როგორც დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით პროვოცირებულ მკვლელობას.

სასამართლო პრაქტიკა ჩვეულებრივად ითვალისწინებს სასჯელის განსაზღვრისას დაზარალებულის „ბრალს“ თუმც ამ გარემოებაზე, როგორც შემამსუბუქებელ გარემოებაზე, მითითება იშვიათად გვხვდება განაჩენებში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ „საფუძვლების“ 33-ე მუხლს (საქართველოს სსრ სსკ 38-ე მუხლი) პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა დავვატყოს— „დანაშაულის ჩადენა, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი და ამორალური მოქმედებით“ და ამ ფორმულირებით უნდა შეიცვალოს „საფუძვლების“ 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი (საქართველოს სსრ სსკ 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი), სადაც ნათქვამია — „დანაშაულის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით“.

ჯერ ერთი, ჩვენ ფორმულირება, როგორც უფრო განვრცობითი, შეიცავს შემთხვევას, როდესაც არამართლზომიერმა მოქმედებამ გამოიწვია ძლიერი სულიერი აღელვება, მეორეც, ძლიერი სულიერი აღელვება, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, გათვალისწინებულია პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ პრივილეგირებულ დანაშაულის შემადგენლობაში, სადაც ამ გარემოებას აქვს არსებითი მნიშვნელობა (საქართველოს სსრ სსკ 106 და 113 მუხლები).

სასამართლო პრაქტიკაში დაზარალებულის არამართლზომიერ ქცევას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად თვლიან. სსრ კავშირის პროკურატურის საერთო-საკავშირო ინსტიტუტის მიერ სასამართლო-პროკურატურის მუშაკთა დიდ ჯგუფთან ჩატარებულმა გამოკითხვამ დაგვანახა, რომ მათგან 84 პროცენტი პროვოცირებული დანაშაულისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვალისწინებს დაზარალებულის არამართლზომიერ და ამორალურ საქციელს, თუნდაც მის მოქმედებას არ გამოეწვია ძლიერი სულიერი აღელვება.<sup>6</sup>

ამასთან ჩვენ ვერ დავეთანხმებით პრესაში გამოთქმულ მოსაზრებას დაზარალებულის აშკარა არამართლზომიერი მოქმედებით გამოწვეულ მკვლელობისათვის სპეციალური ნორმის შექმნაზე.<sup>7</sup>

აღნიშნული შემადგენლობის გამოყოფა პრივილეგირებულ ხარისხში კრიმინოლოგიურად დაუსაბუთებელია და დამატებით სიძნელეებს შექმნის სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისას, როდესაც დაზარალებული პროვოცირებულ მკვლელობას ჩაიდენს კვალიფიციური ნიშნების არსებობისას (განსაკუთრებული სისასტიკე, განმეორებით, წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა და ა. შ.).

დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოების გარეშე ჩადენილ მკვლელობას მიეკუთვნება აგრეთვე შემთხვევითი უსიამოვნების ან ჩხუბის დროს ჩადენილი მკვლელობა. ეს ხასიათდება ჯერ-ერთი არაპროვოცირებით და

<sup>5</sup> გურჯაანის რაიონის სახ. სასამართლოს არქივი, 1970 წ.

<sup>6</sup> იხ. В. С. Минская. Криминологическое и уголовно-правовое значение поведения потерпевших, «Вопросы борьбы с преступностью», вып. 16, М., 1972, стр. 22.

<sup>7</sup> იხ. С. С. Степичев, Г. Н. Мудьюгин, М. Ф. Комаров. Ответственность за умышленное убийство в свете криминологических исследований, «Советское государство и право», 1968, № 3, стр. 85.

მეორეც უსიამოვნების ან ჩხუბის შემთხვევითი ხასიათით, და როგორც ამის შედეგი — უეცარი განზრახვით.

არაპროვოცირებული მკვლელობა არ გამოიხატება როგორც დამნაშავეს უშუალო რეაქცია ან შურისძიება დაზარალებულის არამართლზომიერ მოქმედებაზე.

უსიამოვნების ან ჩხუბის შემთხვევითი ხასიათი განასხვავებს ამ სახის მკვლელობას ექვიანობის ან ხანგრძლივი მტრული ურთიერთობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობებისაგან. თუ უსიამოვნება ან ჩხუბი აღმოცენდება არა შემთხვევით, არამედ სპეციალურად მკვლელობის ჩადენისათვის, მაშინ ჩადენილი დანაშაული კვალიფიცირდება მოტივის (შურისძიება, ანგარება, ხულიგნური ქვენაგრძნობა და ა. შ.) და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

ამრიგად, იმ ფაქტის დადგენა, რომ მკვლელობა ჩადენილია უსიამოვნების ან ჩხუბის დროს, თავისთავად არაფერს ლაპარაკობს მკვლელობის მოტივზე, რამდენადაც უსიამოვნება და ჩხუბი ახასიათებს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ვითარებას.

შემთხვევითი ჩხუბის დროს მკვლელობის მოტივს ჩვეულებრივად წარმოადგენს რისხვის, შეურაცხყოფის, გაღიზიანების ან წყენის ძლიერი გრძნობა. ჩხუბის ინიციატორი შეიძლება იყოს როგორც დაზარალებული, ასევე დამნაშავე.

ლიტერატურაში სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული მოსაზრება, რომლის თანახმად უსიამოვნების ან ჩხუბის დროს მკვლელობის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებისას და აგრეთვე მკვლელობის კვალიფიკაციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება „მოთავის“ დადგენას.<sup>8</sup>

ზოგჯერ ჩხუბის დაწყებისათვის საკმარისია მხოლოდ უმნიშვნელო საბაბი, ის შეიძლება გამოიწვიოს სამართლიანმა ან უწყინარმა შენიშვნამ და თუნდაც უხეირო რეპლიკამ. ამიტომ ჩხუბის დამწყებად რომ დაზარალებული ჩაითვალოს, ეს არ იძლევა საფუძველს ასეთი მკვლელობა პროვოცირებულ მკვლელობათა რიცხვს მივაკუთვნოთ. ჩხუბის „მოთავის“ დადგენა არც ისე ადვილია, რადგანაც ურთიერთწყენითა და შეურაცხყოფით გართული მხარეები ხშირად იგონებენ ჩხუბის დაწყების საბაბს და არაფრით არ შეიძლება ზღვარის დადგენა ჩხუბის მიზეზსა და მკვლელობის მიზეზს შორის.


ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მ-ქემ დაინახა თუ როგორ შედიოდნენ მსუბუქი ყოფაქცევის ქალების ოთახში ა. და ჭ., რომლებიც აგრეთვე ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ. მ-ქემ ჰკითხა მათ რატომ შედიხართ ისეთ ქალებთან, რომლებსაც ვენერიული დაავადება სპირთო. ამის საპასუხოდ ჭ-მ ხელი აუქნია მ-ქეს, რის შემდეგ მ-ქემ სილა გაართყა ჭ-ს. დაიწყო ჩხუბი, რა დროსაც ა-ქემ მოინდომა დანა ჩაერთყა მ-ქისთვის. წაართვა რა დანა, მ-ქემ დაუწყო მის ცემა, დაჭრა ა-ქე და შემთხვევის ადგილზე მისული ა-ვი, ხოლო შემდეგ ა-ქეს ორი ჭრილობა მიაყენა გულის არეში, რის გამოც ის გარდაიცვალა.<sup>9</sup>

აქ, უმნიშვნელო საბაბით აღმოცენებული უსიამოვნება გადაიზარდა ჩხუბში, რომელსაც მკვლელობა მოჰყვა.

გ-ვს, რომელიც ადრე რამდენჯერმე იყო ნასამართლევი ქურდობისათვის,

<sup>8</sup> С. В. Бородин. Квалификация убийства по действующему законодательству, стр. 120; М. К. Аниану. Ответственность за преступления против жизни, стр. 119.

<sup>9</sup> ქ. რუსთავის სახ. სასამართლოს არქივი, 1970 წ.



ქუჩაში შეხვდა ნაცნობი მ-ლი შრომა-გასწორებითი კოლონიიდან. მან მ-ლი დაპატიჟა სასადილოში, რათა „აღენიშნა“ შეხვედრა. სმის დროს ვ-მ სომხურად დაიწყო ლაპარაკი, რაც არ მოეწონა მ-ლს და შენიშვნა მისცა. ამის შემდეგ მ-მა შეწყვიტა სმა და გარეთ გამოვიდა. მისი ქცევით უკმაყოფილო ვ. გამოეკიდა მას ქუჩაში, აუტეხა ჩხუბი, ამოაძრო დანა და მ-ს მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობა მკვლელობის მიზნით.<sup>10</sup>

ობიექტურად ჩხუბი გამოიხატება ურთიერთცემასა და სხეულის დაზიანებაში. ჩხუბის დროს შესაძლოა განზრახვი მკვლელობა რაიმე არსებითი მოტივის გარეშე, არაპირდაპირი განზრახვით, როდესაც დამნაშავე ცდილობს თავის დაცვას და მოწინააღმდეგის დაძლევას, რა დროსაც გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს გათვალისწინებული სასიკვდილო შედეგის დადგომისადმი. ჩხუბი არ გამოირიცხავს გაუფრთხილებლობით მკვლელობასაც, აგრეთვე — მკვლელობას გათვალისწინებულს საქართველოს სსრ სსკ 106-ე და 107-ე მუხლებით.

ჩხუბის დროს მომხდარი მკვლელობის კვალიფიკაციისას აუცილებელია ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური მხარის სწორი გარკვევა საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ შემთხვევითი უსიამოვნებისა და ჩხუბის დროს მკვლელობას ჩადიან უმეტესად ის პირნი, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში არიან. ჩვენს მიერ შესწავლილ მკვლელობის ასეთი საქმეებიდან 96 პროცენტი ჩადენილია ნასვამ და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ, დაზარალებულთა 38 პროცენტი ასევე იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში.

ეს გარემოება აიხსნება არა მარტო იმით, რომ ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა აადვილებს მკვლელობის განზარხვის ჩამოყალიბებას, არამედ იმიტაც, რომ თვით უსიამოვნება და ჩხუბი ადვილად აღმოცენდება ნასვამ მდგომარეობაში მყოფთა შორის, ზოგჯერ სულ უმნიშვნელო საბაბითაც. სწორედ სიმთვრალეში შეუძლია ადამიანს გააზვიადოს ნამდვილი ან მოჩვენებითი წყენის მნიშვნელობა.

**ჩვილის მკვლელობაც** დამამჩიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი მკვლელობის ერთ-ერთი სახეა. მასში იგულისხმება დედის მიერ თავისი ახალდაბადებული ბავშვის მკვლელობა მშობიარობისას ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ. ასეთი ან მსგავსი სახითაა ფორმულირებული ჩვილთა მკვლელობა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში, სადაც ეს დანაშაული გამოყოფია ცალკე შემადგენლობად.<sup>11</sup>

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, ისევე როგორც რსფსრ, ბსსრ, სომხეთისა და ყაზახეთის სსკ-ებში, არ არის მოცემული ჩვილთა მკვლელობის განსაკუთრებული შემადგენლობა.<sup>12</sup> ეს დანაშაული კვალიფიცირდება სა-

<sup>10</sup> გურჯაანის რაიონის სახ. სასამართლოს არქივი, 1970 წ.

<sup>11</sup> ესტონეთის სსრ, ლატვიის სსრ, ლიტვის სსრ, უკრაინის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები.

<sup>12</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ჩვილის მკვლელობა სპეციალურ შემადგენლობად იყო გამოყოფილი საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 98-ე მუხლში. აღნიშნულ საკითხზე საინტერესო პოლემიკა გაიმართა პროფ. ბ. ფურცხვანიძესა და ვ. მაყაშვილს შორის. იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1960 წელი, № 1, გვ. 47—48; № 2, გვ. 42—43.

ქართველოს სსრ სსკ 105 მუხლით იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს 104 მუხლში ჩამოთვლილი დამამძიმებელი გარემოებები.

მკვლელობის ამ სახეს ორი ძირითადი ნიშნით განასხვავებენ: პირველი, სუბიექტი (ახალდაბადებული ბავშვის დედა) მეორე, მკვლელობის პირობები (მშობიარობის პროცესი). თუ ახალდაბადებულს ჰკლავს არა დედა, არამედ სხვა პირი (მამა, ბებიაქალი და სხვ.) ჩადენილი ქმედობა არ განიხილება როგორც ჩვილის მკვლელობა.

კ-მ მოჰკლა ჩვილი, რომელიც ეყოლა მის გასათხოვარ შვილს. კ. მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსკ 105 მუხლით და მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა.<sup>13</sup>

დანაშაულის ჩადენის პირობები (უშუალოდ მშობიარობისას ან უშუალოდ მის შემდეგ) შედის ჩვილთმკვლელობის ცნებაში იმიტომ, რომ სწორედ ამ პირობებში ვლინდებიან ის ფაქტორები, რომლებიც უფრო მეტად ამსუბუქებენ ბრალდებულის პასუხისმგებლობას.

ამ ფაქტორთა რიცხვს პირველ რიგში მიეკუთვნება განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა, რომელშიც არცთუ იშვიათად აღმოჩნდება ქალი მშობიარობისას. ფსიქიატრიაში დადგენილია, რომ ფეხმძიმობამ და მშობიარობამ შესაძლოა არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს ქალის ფსიქიკაზე.<sup>14</sup>

ჩვილთმკვლელობის დამოუკიდებელ სახედ გამოყოფის მომხრენი თავის ამ აზრს ამაგრებენ მშობიარე ქალის პათოლოგიურ მდგომარეობაზე მითითებით.<sup>15</sup> მაგრამ ეს არგუმენტი ვერ ჩაითვლება დამაჯერებლად, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ ქალის ფსიქიკის პათოლოგიური ცვლილებები ყოველთვის როდია ჩვილთმკვლელობის მიზეზი. ცალკეულ შემთხვევებში ქალები ახალდაბადებულის მკვლელობას სჩადიან წინასწარი განზრახვით, ჯერ კიდევ მშობიარობამდე დიდი ხნით ადრე ემზადებიან ამისთვის. ამ მიზნით ქალი არ უმხელს ჯანდაცვის ორგანოებს თავის ორსულობას, შეგნებულად ამბობს უარს სამედიცინო დახმარებაზე ორსულობისას და მშობიარობისას, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს შეუფერხებლად მოუსპოს სიცოცხლე არასტაციონარში დაბადებულ ბავშვს. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევებს „მშობიარე ქალის განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობაზე“ მითითება უსაფუძვლოა.<sup>16</sup>

მშობიარე ქალის ფსიქიკურ მდგომარეობას, რასაკვირველია, აქვს შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა, მაგრამ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ჩვილთმკვლელობის მიზეზი იყო სწორედ ქალის ემოციური მდგომარეობა გამოწვეული სიკვდილის შიშით, ფიზიკური ტკივილით, ბავშვის, როგორც წამების წყაროს სიძულვილით და სხვ. „ქალი მშობიარობის მომენტში და ერთ ხანს მშობიარობის შემდეგ, — წერს ვ. მაყაშვილი, — სავსებით ვერ ფლობს თავის თავს, მას უსუსტდება თავისი მოქმედებისათვის კონტროლის გაწევის უნარი. სხვადასხვა მოტივებს — გაჭირვებას, სირცხვილის გრძობას

<sup>13</sup> ხულოს რაიონის სახალხო-სასამართლოს არქივი, 1969 წ.

<sup>14</sup> იხ. **М. Я. Калашнин. Судебная психиатрия**, М., 1961, стр. 276.

<sup>15</sup> იხ. **მ. კ. ანინცი, დასახ. შრომა, გვ. 129-130; ე. ლ. პოტევაილო, დასახ. შრომა, გვ. 162; 1962;**

<sup>16</sup> ამავე აზრს იზიარებს ს. ვ. ბრატოდინიცი (დასახ. შრომა, გვ. 114) მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მის მოსაზრებას, რომ ჩვილის მკვლელობა ამ შემთხვევაში საერთოდ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას შემამსუბუქებელი გარემოებებისას ჩადენილად. შემამსუბუქებელ გარემოებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მკვლელ შემთხვევებშიც, მაგრამ ეს უნდა გთვალისწინებული იქნეს სისჯელის ინდივიდუალიზაციისას.

ქორწინების გარეშე ბავშვის დაბადების გამო, ყალბ წარმოდგენებს „ქალის ღირსებაზე“ და ა. შ. ქალის ფსიქიკა ველარ უწყევს სათანადო წინააღმდეგობას. მოტივი, რომელიც საკმარისი არ იქნებოდა დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მისაღებად ჩვეულებრივ მდგომარეობაში, იმავე ქალისათვის შეიძლება საკმაო აღმოჩნდეს დანაშაულის განზრახვის აღსაძვრელად მშობიარობის დროს ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ. ამიტომ ქალი, რომელიც ამ მომენტში ჩაიდენს დანაშაულს, არ შეიძლება დაისაჯოს იმგვარადვე, როგორც ჩვეულებრივ მდგომარეობაში ასეთივე დანაშაულის ჩადენი პიროვნება, ვინაიდან მისი ბრალის ხარისხი შედარებით მცირეა.“<sup>17</sup>

ეს გარემოება, ისევე როგორც სხვა გარემოებები (მაგალითად, მძიმე ოჯახური და პირადი მდგომარეობების დამთხვევა), შესაძლოა და კიდევ უნდა იქნეს გათვალისწინებული სასჯელის ზომის განსაზღვრისას. ჩვილთმკვლელობის განსაკუთრებულ, პრივილეგირებულ შემადგენლობად გამოყოფა ხელს არ შეუწყობს სასჯელის ინდივიდუალიზაციას, რამდენადაც საშუალებას არ იძლევა გათვალისწინებულ იქნეს მთელი მოცულობით ჩვილთმკვლელობის ნომეტრული საზოგადოებრივი საშიშროება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში: ქვენა გრძნობით, განსაკუთრებული სისასტიკით, განმეორებით და სხვ. იმ შემამსუბუქებელ გარემოებათა შორის, რომლებზეც მიუთითებენ ჩვილთმკვლელობის განსაკუთრებული ნორმის მომხრენი (მძიმე მატერიალური და საბინაო პირობები, ბავშვის საბავშვო დაწესებულებაში მოწყობასთან დაკავშირებული სიძნელეები,<sup>18</sup> ჩვილის მამის მიერ ბავშვის მკვლელობაზე წაქეზება<sup>19</sup> და სხვ.) არ არიან სპეციფიურნი მშობიარობისას ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ მკვლელობისათვის, რამდენადაც ამ ფაქტორთა ზეგავლენა შესაძლოა შემდეგში გამოვლინდეს.

ჩვილთმკვლელობის პრივილეგირებულ შემადგენლობად შემოღებამ, შეიძლება დააქვეითოს ამ დანაშაულთან ბრძოლის საერთო პრევენციული, აღმზრდელი მნიშვნელობა. ჩვილთმკვლელობა ამჟამად ძალზე იშვიათად გვხვდება და იწვევს საზოგადოების უარყოფით შეფასებას, რამდენადაც მკვლელად წარმოგვიდგება დედა. განსაკუთრებით უარყოფითად ფასდება, წინასწარ განზრახული ჩვილთმკვლელობა, რომლის მოტივია ანგარება ან უბრალოდ მისწრაფება თავიდან მოიშოროს ბავშვი.

**დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი მკვლელობის სხვა სახეები** საკმაოდ იშვიათად გვხვდება. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ მკვლელობათა ჯგუფი ე. წ. ალტრუისტული მიზეზებით (თანაგრძნობით, სიბრალულით, თხოვნით, მეგობრული გრძნობით და სხვ.) როდესაც ჩადენილი დანაშაული არ ემთხვევა მკვლელობის სხვა სახეების ნიშნებს, მაგალითად მკვლელობას ჩხუბის დროს ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას.

რამდენადაც არავითარი ალტრუისტული გრძნობით არ შეიძლება ესოდენ მძიმე დანაშაულის გამართლება და ახსნა, სწორი იქნებოდა ეს ქმედობა ცრუ-ალტრუისტული გრძნობით გამოწვეულ მკვლელობად მიგვეჩინა.

<sup>17</sup> ვ. შაჟაშვილი, „მისაღებია თუ არა დოცენტ ბ. ფურცხვანიძის წინადადებანი?“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1960, № 2, გვ. 42—43.

<sup>18</sup> ს. ს. სტეპიჩოვი, გ. ნ. მუდიუგინი, მ. თ. კომაროვი; დასახ. შრომა, გვ. 86.

<sup>19</sup> ე. თ. პობეგაილო, დასახ. შრომა, გვ. 160.



იგივე შეიძლება ითქვას მკვლელობის ძალზედ იშვიათ შემთხვევაზე როგორცაა — უიმედო ავადმყოფის ან სასიკვდილოდ დაჭრილი ადამიანის მკვლელობა მისი თხოვნისა და თანხმობის შემთხვევაშიც კი. ამ უკანასკნელმა გარემოებამ, კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით, ადგილისა და დროის გათვალისწინებით (მაგალითად, საომარი მოქმედებისას, უკაცურ ადგილებში და სხვ.) შეიძლება შეამციროს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, მაგრამ არ შეცვალოს მისი სამართლებრივი შეფასება.

ცოცხალ ადამიანებზე სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარებისას არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი მკვლელობის მიზეზები საერთოდ საჭიროებენ უფრო ზუსტ სამართლებრივ მოწესრიგებას. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს დაზარალებულის თანხმობა სიცოცხლისათვის საშიშ ექსპერიმენტზე.<sup>20</sup>

დამამძიმებელი გარემოების გარეშე კვალიფიცირდება მკვლელობა ჩადენილი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის არასწორი გაგების დროს.

მაგალითად, ც. იცავდა რა კოლექტივის ბაღს, დააკავა გ. რომელმაც ცოლთან და მეზობელთან ერთად მოთიბა ორი ტომარა ბალახი ბაღის ტერიტორიაზე მდებარე ხევში. ფ-მ მოითხოვა ბალახის ჩაბარება, ხოლო, როდესაც ფ-მ უარი განუცხადა, ც. მოკვლით დაემუქრა მას. რამდენადაც გ. არ დაემორჩილა ც-ს, მან თოფით მოჰკლა იგი.

როდესაც მკვლელობა ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ ძალაუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისას, ჩადენილი ქმედობა კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 105 და 187 მუხლის მე-3 ნაწილის ერთობლიობით.

ასე დააკვალიფიცირეს მილიციონერ ფ-ს ქმედობა, რომელმაც მოსთხოვა გამყიდველ ჩ-ს დაეხურა ჯიხური გვიანი ღამის გამო, ხოლო როდესაც მათ ლაპარაკში ჩაერია გამვლელი ი-ი, მილიციონერმა პისტოლეტიდან შვიდი გასროლით მოჰკლა იგი.

მოცემულ შემთხვევაში ზემოაღნიშნული მუხლების ერთობლივად შეფარდება განპირობებულია იმით, რომ ჯერ-ერთი მკვლელობას იდენს თანამდებობის პირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და მეორეც, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობის გამოყენებით არ მოიცავს მკვლელობის შემთხვევას.

ასეთია დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი მკვლელობის ძირითადი სახეები, რომლებიც კვალიფიცირდება საქართველოს სსრ სსკ 105 მუხლით.

<sup>20</sup> იხ. С. В. Курляндский, Д. О. Хан-Магомедов. Естественные науки и уголовно-правовое, «Соц. законность», 1972, № 2, стр. 77.

# ქანონიკების უკანასკნელი დანახა—დანახაულოვის ლიკვიდაციის სანიღარი

## 5. პროგნოზი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი,  
საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, სამართლებრივი ნორმების სრულყოფას, რაც აწესრიგებს სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ აღმზრდელობით მუშაობას, ხელს უწყობს საზოგადოებისა და პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას.

სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპი გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მიერ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების ზუსტ და განუხრელ შესრულებას.

პარტია და მთავრობა გამუდმებით სრულყოფენ სამართლებრივ ინსტიტუტებს, სასამართლო სისტემას, აფართოებენ დემოკრატიულ პრინციპებს სახელმწიფოს ყველა ორგანოს საქმიანობაში, მშრომელთა ფართო მასებს აბამენ მართლმსაჯულების განხორციელებაში, გადამწყვეტ ყურადღებას აქცევენ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას.

ამ ბოლო ხანს მიღებულია მთელი რიგი ახალი კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისხლის სამართლის საქმეების ყოველმხრივ და ობიექტურ გამოძიებასა და განხილვას, დანაშაუვით მიმართ სასჯელის ღონისძიებათა სწორ შეფარდებას. ზოგიერთი დანაშაულისათვის კანონით დაწესებულია გაძლიერებული პასუხისმგებლობა.

მართლმსაჯულების ორგანოების მიზნები და ამოცანები სავსებით გარკვეულია, მაგრამ, როგორც ამის შესახებ სამართლიანად არის აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ დადგენილებებში, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის მოღუტნების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში სერიოზული დარღვევების, მუშაობის მანკიერი მეთოდების, ფორმებისა და სტილის დანერგვის, კადრების არააწორი აღზრდისა და განაწილების შედეგად ბევრ სამინისტროში, უწყებაში, საწარმოთა და ორგანიზაციაში დაშვებულ იქნა სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევები, რამაც დიდი ზიანი მიაყენა არამარტო რესპუბლიკის ეკონომიკას, არამედ ადამიანთა ფსიქიკასა და მსოფლმხედველობას.

დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების, გამოძიების მეთოდების სრულყოფის, მოწინავე სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შედეგად უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში გამოქვანდნენ მსხვილი მქართა-

მეგზი, თაღლითები, ქურდები, სპეკულანტები, კომბინატორებისა და სოციალისტური საკუთრების გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფები, აგრეთვე თანამდებობის პირები, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ ნდობას, სამსახურებრივ მდგომარეობას და სჩადიდოდნენ დანაშაულს.

მსჯავრდადებულთა შორის არიან თბილისის კვების მრეწველობის კომბინატის „საქკონსერვხილოსტნეულის“ ყოფილი მუშაკები არეშიძე, გეგეშიძე და სხვ., რომლებმაც 232.024 მანეთი გაიტაცეს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ყოფილი მუშაკები ლაზიშვილი, ჭეიშვილი და სხვ., რომლებმაც 687.000 მანეთი გაიტაცეს, საქართველოს სსრ ყრუმუნჯთა საზოგადოების ყვარლის სასწავლო-საწარმოო კომბინატის ყოფილი მუშაკები პაპისმედოვი, ნანიტაშვილი და სხვ., რომლებმაც 170.466 მანეთის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა გაიტაცეს და სხვ.

მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულნი არიან „აჭარომომარაგების“ სამმართველოს მუშაკი კონცელიძე, რუსთავის მეტალოკონსტრუქციის ქარხნის მუშაკი მალრაძე და სხვ., „საქხილოსტანვაჭრობის“ მუშაკები დუგლაძე, თავხელიძე, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების მუშაკები მახარაშვილი, ფარულავა და სხვ., თბილისის № 2 მაცივრის თანამშრომლები დეკანოზიშვილი, ჯღარკავა და სხვ.

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა ჯერ კიდევ იშვიათი როლია მექრთამეობის, გაფლანგვა-გატაცების, უყიარათობის, სპეკულაციის, ქურდობის, ხულიგნობის, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ფაქტები. ზოგიერთი დანაშაულობანი, კერძოდ ხულიგნობა, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები, ქურდობა ჩადენილია ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ.

რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა მართლმსაჯულების ორგანოებისგან მოითხოვს დარაზმონ მთელი ძალები პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანის — დამნაშავეობისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისა და ლიკვიდაციის წარმატებით შესასრულებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათე პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის დონე არ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს და რომ ასობით და ათასობით წერილსა და საჩივარში მშრომელები ედავებიან სასამართლო განაჩენებს, შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას.

ეს სამართლიანი საყვედური იურისტებმა უნდა აღიქვან, როგორც განაწესი, როგორც მართლწესრიგისა და კანონიერების შემდგომი განმტკიცების პროგრამა.

დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერება, მისი თავიდან აცილება, დამნაშავეთა აქტიური მხილება მოიძიოვს, რომ სასამართლო წარმოების დროს განუხრელად იქნეს დაცული ბრალდებულის კანონიერი უფლებები და ინტერესები, პროცესუალური გარანტიები. არცერთი უდანაშაულო ადამიანი არ უნდა დაზარალდეს, ხოლო დამნაშავე აუცილებელია დაისაჯოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. ამასთან სრულიად მოუთმენელია მძიმე ან განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირებისადმი მოწყალე, ლიბერალური დამოკიდებულება. ასევე დაუშვებელია შეგურიგდეთ მეორე უკიდუ-

რესობას — მკაცრი სასჯელის დანიშვნას ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას.

სასამართლო სტატისტიკის მონაცემებით ბევრი განაჩენი საჩივრდება. 1971 წელს მხოლოდ საკასაციო წესით გასაჩივრდა გამოტანილ განაჩენთა 31,1 პროცენტი, 1972 წელს — 29,8 პროცენტი, 1973 წელს (ცხრა თვის განმავლობაში) — 33,1 პროცენტი.

არ შეიძინევა კასაციის წესით განაჩენის შეცვლისა და გაუქმების მნიშვნელოვნად შემცირების ტენდენცია. ასე მაგალითად, 1971 წელს გასაჩივრებულ განაჩენთა საერთო რიცხვიდან გაუქმდა განაჩენთა 8,8 პროცენტი, 1972 წელს — 6,2 პროცენტი, 1973 წელს (ცხრა თვის განმავლობაში) — 8,8 პროცენტი; 1971 წელს შეიცვალა განაჩენთა 10 პროცენტი, 1972 წელს — 11,8 პროცენტი, 1973 წელს (ცხრა თვის განმავლობაში) — 12,4 პროცენტი.

ცალკეულ სახალხო სასამართლოებში ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია.

თუ ამასთან გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე, პრეზიდიუმსა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაზე თითქმის ამავე რაოდენობის განაჩენები უქმდება და იცვლება, მაშინ სრულიად ნათელი ხდება, რომ სასამართლო ორგანოების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს იმ გაზრდილ მოთხოვნილებებს, რომელსაც მათ უყენებს პარტია და ხელისუფლება.

სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ თავის 1963 წლის 18 მარტის დადგენილებაში „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას კანონიერების განუხრელად დაცვის შესახებ“ 1969 წლის 30 ივლისის დადგენილებაში „მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ“ და მთელ რიგ სხვა სახელმძღვანელო დადგენილებებში,<sup>1</sup> ხაზი გაუსვა სასამართლოების მუშაობის დონის ამაღლებისა და თითოეული საქმის განხილვისას კანონიერების უმკაცრესი დაცვის აუცილებლობას. მაგრამ ეს მითითებები ჯეროვნად არ სრულდება.

სასამართლოების მუშაობის და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღემდე არ არის აღმოფხვრილი სასამართლოზე გადაცემის სტადიაში საქმის მასალების ზერელე შესწავლის შემთხვევები, მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ერთპიროვნული, არასრული და ზოგჯერ არაობიექტური ჩატარებაც. საკასაციო ინსტანციები ყოველთვის არ იღებენ ზომებს სასამართლო შეცდომების გამოსასწორებლად, ხოლო ზოგჯერ სერიოზულ შეცდომებსაც კი უშვებენ ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას. ამის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმები იძულებული არიან გამოასწორონ სასამართლო კოლეგიების შეცდომები, ხოლო ამას იქამდე მიყვავართ, რომ პრეზიდიუმის ინსტიტუტი გამონაკლისად კი არა, ჩვეულებრივ

<sup>1</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები „სასამართლო განაჩენის შესახებ“ (1969 წლის 30 ივნისი), „სასამართლო პროცესების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მათი ჩატარების კულტურის ამაღლებისა და სასამართლო საქმიანობის აღმზრდელი ზემოქმედების განმტკიცებას შესახებ“ (1967 წლის 25 თებერვალი), „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო წესით განხილვის პრაქტიკის შესახებ“ (1971 წლის 17 დეკემბერი) და სხვ.

ინსტიტუტად იქცევა. ზემოთქმულიდან შეგვიძლია გავაკეთოთ უდავო დასკვნა, რომ სახალხო სასამართლოები და საკასაციო ინსტანციები ჯერ კიდევ არ არიან ის რგოლები, სადაც სისხლის სამართლის საქმე საბოლოოდ წყდება. განაჩენთა გაუთავებელი შეცვლა და გაუქმება იწვევს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და განხილვის სრულიად გაუმართლებელ გაჭიანურებას, საჩივართა ნაკადი საკასაციო და საზედამხედველო წესით კი — სახელმწიფო სახსრების ხარჯვას და მოქალაქეთა, (რომლებიც სასამართლოს ესწრებიან როგორც მოწმეები, ექსპერტები, საზოგადოებრივი დამცველები, საზოგადოებრივი ბრალმძებლები და სხვ. აღარაფერი რომ ვთქვათ ბრალდებულის ნათესავ-მეგობრებზე) საიუშაოდან მოცდენას. თვით ასეთი პროცესების ეფექტურობაც მნიშვნელოვნად მცირდება.

მართლმსაჯულების სწორად განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან განაჩენს წარმოადგენს სამსჯავრო სხდომისათვის მოსამზადებელი მოქმედებანი და სამართალში მიცემის ინსტიტუტი. შესწავლილი საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ პირის სამართალში მიცემას ფორმალური ხასიათი აქვს, ირღვევა კანონის მოთხოვნები, რის შედეგადაც არც ისე იშვიათად სასამართლოები წარმოებაში იღებენ უხარისხოდ გამოძიებულ საქმეებს, რომლებიც შემდგომში სასამართლო სხდომიდან დამატებით გამოძიებაში იგზავნება. ამავე დროს ადგილი აქვს სასამართლოების მიერ საქმეთა დამატებით გამოძიებაზე უსწოროდ დაბრუნებასაც.

1971 წელს დამატებით გამოძიებას დაუბრუნდა საქმეთა 3,9 პროცენტი, 1972 წელს — 2,8 პროცენტი, 1973 წელს (ცხრა თვის განმავლობაში) — 3,8 პროცენტი.

მხოლოდ 1972 წლის პირველ ნახევარში დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულ საქმეთა საერთო რიცხვიდან კერძო პროცესტი დაიწერა საქმეთა 35,8 პროცენტზე. აქედან პროკურატურამ თვითონ მოხსნა განხილვიდან პროცესტი საქმეთა 27,7 პროცენტზე, 28,6 პროცენტს უარი ეთქვა, ხოლო დანარჩენი დაკმაყოფილდა. ამრიგად, სისხლის სამართლის საქმეთა 43,7 პროცენტი უსაფუძვლოდ იქნა დაბრუნებული დამატებით გამოძიებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ზუსტად განსაზღვრავს დამატებით გამოძიებაზე საქმეთა დაბრუნების საფუძველს, სასამართლოები, როგორც შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეებიდან ჩანს, ხშირად ფორმალური, გამოგონილი მოტივებით აგზავნიან საქმეებს დამატებით გამოძიებაზე, განჩინებებში არ მიუთითებენ თუ რა საგამოძიებო მოქმედება უნდა შესრულდეს.

აი რამდენიმე მაგალითი:

საბრალდებო დასკვნის მიხედვით ი. ღვინიაშვილს ბრალი ედებოდა მასში, რომ 1972 წლის 5 ნოემბერს № 31 ავტობუსში მოქ. ჯღარკავას ამოაცალა საფულე, რომელშიც 1 მან. იყო.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ საქმე დამატებით გამოძიების ჩასატარებლად დააბრუნა მძღოლისა და იმ მგზავრთა დასაკითხად, რომლებიც აღნიშნული შეჩხვევის დროს ავტობუსში იმყოფებოდნენ.

საქმიდან ჩანდა, რომ მგზავრები ვერ დაადგინა გამოძიებამ და ამიტომ, ბუნებრივია, სასამართლოს მითითება ვერ შესრულდებოდა, ხოლო მძღოლის დაკითხვა სასამართლოს ინიციატივას წარმოადგენდა. სასამართლო კოლეგიამ აღნიშნული განჩინება გააუქმა და საქმე დაუბრუნა სასამართლოს განსახილველად.

ქ. ჭიათურის სახ. სასამართლომ შ. ჩხეიძის ბრალდების საქმე (ბრალი ედებოდა საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლის მესამე ნაწილით) დააბრუნა დამატებით გამოძიებაზე ბუხპალტერ-რევიზორის კაჰკაჭიშვილის დასაკითხად და შემნახველ სალაროში შ. ჩხეიძის სახელზე რიცხული პირადი ბარათის გადასასინჯად.

სასამართლო კოლეგიამ, გააუქმა რა ეს განჩინება, სასამართლოს მიუთითა, რომ მას უფლება ჰქონდა დაეკითხა ბუხპალტერ-რევიზორი კაჰკაჭიშვილი და თავისივე ინიციატივით გამოეთხოვა შემნახველი სალაროდან პირადი ბარათი გადასასინჯად.

1971—1972 წლებში განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა ერთი ნაწილის შესწავლამ დაგვანახვა, რომ აღნიშნულ საქმეებზე განაჩენები გაუქმდა იმის გამო, რომ:

ა) სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტიური გარემოებებით არ იყო დასაბუთებული (2,8 პროცენტი),

ბ) მტკიცებულებანი ურთიერთსაწინააღმდეგო იყო (15 პროცენტი),

გ) არ იყვნენ დაკითხული პირები, რომელთა ჩვენებასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმისათვის, არ იყო გამოთხოვილი და გადასინჯული საჭირო დოკუმენტები (26,1 პროცენტი),

დ) სასამართლოს დასკვნები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო, ხოლო ეს განაჩენის დასაბუთებულობაზე, დანაშაულის კვალიფიკაციასა და სასჯელის ღონისძიებებზე ახდენდა გავლენას (29,0 პროცენტი),

ე) არ იყო შესწავლილი ბრალდებულის პიროვნება (2,3 პროცენტი),

ვ) უხეშად იყო დარღვეული კანონი (10,2 პროცენტი),

ზ) არასწორად იყო შეფასებული მტკიცებულობანი (13,7 პროცენტი).

1973 წელს განხილული რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის შესწავლამ გვიჩვენა, რომ საკასაციო წესით განაჩენები გაუქმდა შემდეგი საფუძვლებით:

ა) პროცესუალური კანონმდებლობის უხეში დარღვევის გამო (საქმის განხილვა თარჯიმნის, ადვოკატის გარეშე, ბრალდებულისათვის საბრალდებო დასკვნის არადროული ჩაბარება, სამართალში მიცემულისათვის საბოლოო სიტყვის მიუცემობა) 47,4 პროცენტი,

ბ) არ იყვნენ დაკითხული მოწმეები, რომელთა ჩვენებასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, არ გამოითხოვეს საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები (21,1 პროცენტი),

გ) არასწორად იყო შეფარდებული ბრძანებულება ამნისტიის შესახებ (7,0 პროცენტამდე),

დ) უხარისხოდ იყო ჩატარებული წინასწარი გამოძიება, არ იყვნენ გამოვლენილი დანაშაულის ყველა მონაწილენი (8,8 პროცენტი),

ე) ლმობიერი სასჯელის დანიშვნისათვის (12,3 პროცენტი),

ვ) კანონის არასწორი შეფარდებისათვის (3,4 პროცენტი).

ეს ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასამართლოს ზოგიერთ მუშაკს ბოლომდე არა აქვს დაძლეული კანონის მნიშვნელობის შეუფასებლობა, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ურყევი საფუძველი. სასამართლო შეცდომათა უმეტესობა გამოწვეულია უყურადღებობით, ხოლო ზოგჯერ საქმის მასალების ზერელე შესწავლით, როდესაც არ სურთ ჩასწვდენს საქმის არსს და კანონის აზრს.

ამის დასამტკიცებლად შესაძლოა მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:



საბრალდებო დასკვნის მიხედვით მჭედლიძეს ბრალი ედებოდა მასში, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა თავის სახლში გაანადგურა 5 გრ. აბრეშუმის პარკი, რომელიც მის ცოლს ჰქონდა ჩაბარებული გამოსაყვანად.

ერთი თვის შემდეგ მჭედლიძეს ბრალად წაუყენეს აბრეშუმის ჭიის განზრახ განადგურება (შსს ორჯონიკიძის რაიგანყოფილების გამომძიებელი ჭიპაშვილი, პროკურორი მდინარაძე).

საქართველოს სსრ შსს საგამომძიებო სამმართველომ მჭედლიძის ქმედობა არ ჩათვალა სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემის საკმარის საფუძვლად. გამომძიებელს მიეცა შემდეგი წერილობითი მითითება: „მჭედლიძის დაპატიმრება 3 მან. და 78 კაპ. აბრეშუმის პარკის განადგურებისათვის სოციალისტური კანონიერების დარღვევას წარმოადგენს. თქვენ არა გქონდათ საფუძველი მისთვის ბრალდების წაყენებისა, მით უმეტეს ასე დაგვიანებით. მჭედლიძის ქმედობა შეიცავს მხოლოდ დანაშაულის ფორმალურ ნიშნებს და მცირემნიშვნელობის გამო ის არ შეიძლება მიცემულ იქნას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში. შეცვალეთ აღკვეთის ღონისძიება და საქართველოს სსრ სსკ მე-8 მუხლის თანახმად საქმე წარმოებით შეწყვიტეთ. შემდგომში ასეთი უხეში დარღვევისათვის, მკაცრად დაისჯებით. შენიშვნებზე მოახსენეთ პროკურორს...“

ამას მოჰყვა პროკურორ მდინარაძის შემდეგი რეზოლუცია — „...ამხ. ჭიპაშვილს. მითითება სწორია. სანქციის მიცემისას ჩვენ ეს მხედველობიდან არ გამოგვპარვია, მაგრამ იმის გამო, რომ რაიონში ამ სახის დანაშაულს მასობრივი ხასიათი აქვს და რომ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს მსგავსი დანაშაულის დასჯადობა, გაფრთხილების მიზნით ეს საქმე სასამართლოს გამსვლელმა სესიამ უნდა განიხილოს“.

ორჯონიკიძის რაიონის სახ. სასამართლომ საქმე დამატებით გამოძიებაზე დააბრუნა ზიანის „ზომისა“ და ბრალდებულის პიროვნების დასაზუსტებლად. ამ განჩინებაზე რაიონის პროკურორმა კერძო პროტესტი დაწერა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს განჩინება გააუქმა და საქმე წარმოებით შეწყვიტა.

მჭედლიძე უკანონოდ იყო დაპატიმრებული სამი თვე. ეს ფაქტი გვიჩვენებს თუ რამდენად უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ გამოძიებისა და სასამართლოს მუშაკები ადამიანის ბედის გადაწყვეტას და როგორ პრიმიტიულად ესმის ზოგიერთ იურისტს დანაშაულის პროფილაქტიკა.

ასპინძის რაიონის სახ. სასამართლომ არტენიანი დამნაშავედ ცნო მასში, რომ მუშაობდა რა ის „სომსოფლტექნიკის“ გაზ-53 ავტომანქანის მძღოლად, ნდობის ბოროტად გამოყენებისა და გამორჩენის მიზნით 1973 წლის 28 ივლისს ლენინგორიდან სოფ. უდემში 1139 ცალი თუნუქი გადაზიდა და 200 მან. მიიღო გასამრჯელოდ.

სასამართლო კოლეგიამ არტენიანის მიმართ გამოტანილი განაჩენი გააუქმა და საქმე წარმოებით შეწყვიტა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 5 ივნისის ბრძანებულების „საქართველოს სსრ სსკ 173—2 მუხლის დამატების შესახებ...“ მიხედვით „მძღოლის მიერ მისთვის სამსახურებრივად მინდობილი სატრანსპორტო საშუალების გამოყენება მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის სისხლის სა-

მართლის პასუხისმგებლობას იწვევს, თუ ასეთივე ქმედობისათვის ადრე დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული სასჯელი“.<sup>2</sup>

არტენიანმა ტვირთი გადაზიდა ზემოაღნიშნული ბრძანებულების გამოცემამდე და ამავე დროს ანალოგიური ქმედობისათვის მას ადრე დადებული არ ჰქონდა ადმინისტრაციული სასჯელი.

ცხინვალის რაიონის სახ. სასამართლომ არასრულწლოვანი შოშიტაშვილი დამნაშავედ ცნო მაწანწალობისათვის და მიუსაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა, თუმც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის ბრძანებულების „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და არ უნდათ მუშაობა“ პირველი მუხლით ის როგორც არასრულწლოვანი არ უნდა ყოფილიყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახ. სასამართლომ ბეკოევის, ლაპარტყავას, ქუხარევის სისხლის სამართლის საქმის განხილვისას უხეშად დაარღვია საქართველოს სსრ სსსკ 352 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის მოთხოვნები. კერძოდ, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა: „...ლაპარტყავა და კუხარევი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლის მეორე ნაწილით“, ხოლო „ბეკოევი სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლით (მკვლელობისათვის)“ და შემდეგ საქართველოს სსრ სსკ 188 მუხლის მეორე ნაწილით (დაუდევრობისათვის) ბეკოევს შეუფარდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. ლაპარტყავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 188 მუხლის მეორე ნაწილით და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ სსკ 108 მუხლით (გაუფრთხილებლობით მკვლელობა) სასჯელის მოხდისაგან, თუმც ასეთი ბრალდება მას არ ჰქონდა წაყენებული. დაბოლოს, განაჩენის აღწერილობით ნაწილში მიუთითა, რომ ქუხარევი ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 188 მუხლის მეორე ნაწილით. ამასთან განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითებული კანონი, რომლითაც სასამართლომ მას სასჯელი დაუწინა.

ამ დასხვა საფუძვლების გამო სასამართლო კოლეგიამ განაჩენი გააუქმა და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის.

ტყიბულის რაიონის სახ. სასამართლომ უ. სოფრომაძე და ს. დემერჩიევა სამართალში მისცა საქართველოს სსრ სსკ 150 მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო შემდეგ ისინი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 150 მუხლის მეორე ნაწილით და უ. სოფრომაძეს შეუფარდა ორი, ხოლო ს. დემერჩიევას წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლო კოლეგიამ საქართველოს სსრ სსსკ 255 მუხლის მოთხოვნის დარღვევის გამო განაჩენი გააუქმა და საქმე გაავაზვნა ხელახალი გარკვევისათვის.

თერჯოლის რაიონის სახ. სასამართლომ განაჩენის აღწერილობით ნაწილში დადგენილად ცნო, რომ გ. ნიკოლაძემ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით გაიტაცა საზოგადოებრივი ქონება, ხოლო განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა, რომ გ. ნიკოლაძემ ჩაიდინა პირადი ქონების ქურდობა და საქართველოს სსრ სსკ 150 მუხლის მეორე ნაწილით მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

<sup>2</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1971, № 7, მუხ. 94.



კანონის არასწორი შეფარდების გამო განაჩენი გ. ნიკოლაძის მიმართ გაუქმდა და საქმე გაიგზავნა ახალ სასამართლო გარჩევისათვის.

მრავალი განაჩენი უქმდება საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევის გამო.

სასამართლო კოლეგიამ გააუქმა ჩოხატაურის რაიონის სახ. სასამართლოს განაჩენი შ. კალანდაძის მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არ ჩანდა ბრალდებულისათვის საბრალდებო დასკვნის ასლის ჩაბარება. ამის გარდა, სასამართლო სხდომაზე მონაწილეობდა სახელმწიფო ბრალმდებელი, მაშინ როდესაც შ. კალანდაძე არ იყო უზრუნველყოფილი დაცვით.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახ. სასამართლომ ა. ქინქლაძე და ლ. კარჩევსკი გაასამართლა საქართველოს სსრ სსკ 150 მუხლის მეორე ნაწილით და თითოეულს მიუსაჯა წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როდესაც მსჯავრდებულები სამართალში არ იყვნენ მიცემულნი. ამის გარდა ა. ქინქლაძე არ იყო უზრუნველყოფილი თარჯიმნით. საქმიდან კი ჩანს, რომ მან არ იცოდა ქართული ენა.

გარდაბნის რაიონის სახ. სასამართლომ ვ. ზემლიანსკის და ი. მარგაზინსკის ბოროტი ხულიგნობისათვის სხვადასხვა ვადით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როდესაც ისინი სამართალში არ იყვნენ მიცემული.

ამავე სასამართლოს მიერ ა. ა. მამედოვს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 91 მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა ორწელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა. მამედოვი არ იყო უზრუნველყოფილი არც თარჯიმნით და არც დაცვით.

სასამართლო კოლეგიამ გააუქმა ხაშურის რაიონის სახ. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ა. მახარაშვილის მიმართ (მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 175 მუხლის მეორე ნაწილით) იმის გამო, რომ დაჯილდოვებულ იქნა საქართველოს სსრ სსკ 299 მუხლის მოთხოვნები და სამართალში მიცემულს არ მისცეს საბოლოო სიტყვა.

ქედის რაიონის სახალხო სასამართლომ ს. კობალაძე გაასამართლა საქართველოს სსრ სსკ 169 მუხლის პირველი ნაწილით და მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლები; აღკვეთა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულების „თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯისა და შრომითს საქმიანობაში მსჯავრდებულის სავალდებულო ჩაბმის შესახებ“ შესაბამისად ის მიამაგრეს სამუშაოდ.

აღნიშნული განაჩენი გაუქმდა იმის გამო, რომ სამსჯავრო გამოძიებაში მონაწილეობდა საზოგადოებრივი ბრალმდებელი, სამართალში მიცემული კი უზრუნველყოფილი არ იყო დაცვით. ამის გარდა საქმეში არ იყო ცნობა ს. კობალაძის ჯანმრთელობის შესახებ, ხოლო ამ ცნობის გარეშე სასამართლოს არ უნდა ემსჯელა კობალაძისათვის ამ ბრძანებულების შეფარდების შესახებ.

ქ. თბილისის რენინის რაიონის სახ. სასამართლომ ნ. თურქოშვილი სამართალში მისცა საქართველოს სსრ სსკ 238-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ამ საქმის მოსმენა სამჯერ გადაიდო, ხოლო შემდეგ განსახილველად გადაეგზავნა ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს. ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლომ კი იმის მაგივრად, რომ საქმე არსებითად განეხილა, მოსამზადებელ სხდომაზე განიხილა და წარმოებით შეწყვიტა.

სასამართლო კოლეგიამ ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენება გააუქმა და საქმე დააბრუნა ახალი სასამართლო განხილვისათვის.

სასამართლო კოლეგიამ გააუქმა საგაზეჯოს რაიონის სახ. სასამართლოს განჩენი გ. დავლიანიძისა და მ. ჯაფარიძის მიმართ, გასამართლებულნი საქართველოს სსრ სსკ 241 მუხლის მესამე ნაწილით, იმასთან დაკავშირებით, რომ განჩენი არ იყო ხელმოწერილი სხდომის თავმჯდომარის მიერ.

სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის გამო სასამართლო კოლეგიამ გააუქმა ლავოდების რაიონის სახალხო სასამართლოს განჩენი ნ. გიქორაშვილის მიმართ, რომელიც მსჯავრდებული იქნა საქართველოს სსრ სსკ 17—150 მუხლის მეორე ნაწილით.

სასამართლო სხდომის ოქმები არ იყო ხელმოწერილი თავმჯდომარეების მიერ გ. ჯანელიძის საქმეზე (ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოში), ვ. ბოლოთაევის საქმეზე (ქ. თბილისის კაროვის რაიონის სახალხო სასამართლო). სამსჯავრო სხდომის ოქმი კი განჩენთან ერთად წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სასამართლო დოკუმენტს.

ამის გარდა, უწიგნურად არის შედგენილი ზოგიერთი სხდომის ოქმი, რომ არაფერი ვთქვათ მისი არადროულად გაფორმებაზე, სასამართლო სხდომის ოქმებში უმეტესად სრულად არ არის ჩამოყალიბებული საქმის გარემოებანი, გვხვდება წანაშლები, ხარვეზები, რაც დაუშვებელია.

„სასამართლო, — ამბობდა მ. ი. კალინინი, — არსებითად მესამე პირია მხარეთა შორის და ბუნებრივია, იმისთვის, რომ მესამე პირს პატივს სცემდნენ, რომ ადამიანს, რომელიც მსჯავრდებულია ან გამართლებულია, ჰქონდეს ეს პატივისცემა, საჭიროა შიდა პროცესუალური ფორმები ისე იყოს დაყენებული, რომ ამ მხარეებს თავიანთი ინტერესების დაცვა შეეძლოთ“.<sup>3</sup>

სამწუხაროდ, ზოგიერთ მოსამართლეს სასამართლო წარმოების საპროცესო ნორმების დარღვევა კანონის უმნიშვნელო გადახვევად მიაჩნიათ და ავიწყდებათ, რომ საპროცესო კანონმდებლობის აღსრულება საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღების საწინდარია. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი უზრუნველყოფს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და ამიტომ სწორად ორგანიზებული სასამართლო პროცესი გამოირიცხავს სასამართლო შეცდომებს.

ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მოახდინონ თავიანთი საქმიანობის კოორდინირება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ორგანოებთან, სისტემატურად შეიმუშაონ და განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებანი სასამართლოების მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

აუცილებელია ამაღლდეს მოსამართლეთა პერსონალური პასუხისმგებლობა. უხეში სასამართლო შეცდომები უნდა განხილულ იქნას, როგორც საგანგებო შემთხვევა, გადაუდებელი ზომები უნდა განხორციელდეს მათ გამოსასწორებლად. ამ მიზნით იუსტიციის სამინისტროს შესაბამისმა განყოფილებამ უმაღლესი სასამართლოს სათანადო კოლეგიებთან ერთად კვარტალში ერთხელ მაინც უნდა განხილოს სასამართლოს შეცდომები.

აუცილებელია გადაისინჯოს დებულება მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ და მოწესრიგდეს მათი პასუხისმგებლობა.

ზოგიერთი ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი კანონმდებლობაში. კერძოდ, როცა სახალხო მსაჯული ან მოსამართლე არ ეთანხმება განჩენს და რჩება გან-

<sup>3</sup> Вторая сессия ЦИК СССР 2 созыва, стенограф. отчет, М., 1924, стр. 432.

საკუთრებულ აზრზე, სისხლის სამართლის საქმე განსაკუთრებულ აზრთან ერთად განსახილველად უნდა გადაეგზავნოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს (ამჟამად სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეებს გამოაქვთ საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე).

თუ საკასაციო ან საზედამხედველო წესით საქმის განხილვისას დადგინდება, რომ განაჩენი უკანონოა (ლაპარაკია სასჯელის გაძლიერებისა ან უფრო მკაცრი კანონის გამოყენებაზე დაზარალებულის საჩივრის ან პროტესტის არარსებობისას), საჭიროა დაიწეროს არა წარდგინება, არამედ პროტესტის პროექტი. ეს მნიშვნელოვნად განტვირთავს უმაღლეს სასამართლოს წევრებს ზედმეტი მუშაობისაგან.

აუცილებელია სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადების გახანგრძლივება, როგორც სამართალში მიცემის სტადიაში, ასევე სასამართლო სხდომის განხილვისას.

საქართველოს სსრ სსსკ 224-ე მუხლის თანახმად საკითხი სამართალში მიცემის შესახებ, როგორც წესი, უნდა გადაწყვიტოს მოსამართლემ სასამართლოში საქმის შემოსვლის მომენტიდან — არა უგვიანეს ხუთი დღე-ღამისა, ხოლო განმწესრიგებელ სხდომაზე — არა უგვიანეს შვიდი დღე-ღამისა.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის უმაღლეს სასამართლოებში შედის მრავალტომიანი, მრავალეზიზოდიანი განსაკუთრებული სირთულის საქმეები. ამ საქმეების ზედმიწევნით შესწავლა და ბრალდებულთა სამართალში მიცემის საკითხის დროული გადაწყვეტა შეუძლებელია კანონით დადგენილ ვადაში. ამიტომ საქმეების უმეტესობა ნაჩქარევად მიღება წარმოებაში, ეს კი იწვევს სასამართლო შეცდომებს და საქმეთა განხილვის გაჭიანურებას და ასეთ საქმეებზე აუცილებელია სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის ვადა განმწესრიგებელ სხდომაზე 20 დღემდე გაგრძელდეს. ეს სასამართლოს შემადგენლობის (მხედველობაში გვყავს სახალხო მსაჯულებიც) შესაძლებლობას მისცემს გულდასმით შეისწავლოს საქმის მასალები, შეადგინოს უფრო გააზრებული წერილობითი გეგმა სასამართლო გამოძიების ჩასატარებლად, შეიმუშაოს საჭირო ტექნიკური მეთოდები და ხერხები მტკიცებულობათა შესამოწმებლად, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო შეცდომათა თავიდან აცილებას.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მიზნით აუცილებელია საქართველოს სსრ სსსკ 321 მუხლს (სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლებსაც) დაემატოს ერთი ნაწილი და ეს ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: თუ შესაბამისი ორგანიზაციის, დაწესებულების, საწარმოს ხელმძღვანელი ერთი თვის განმავლობაში არ აცნობებს სასამართლოს კერძო განჩინებაზე მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ ან ვასცემს ფორმალურ პასუხს, სასამართლოს უფლება უნდა მიეცეს დააყენოს საკითხი ზემდგომ ინსტანციაში თანამდებობის პირის დისციპლინარულ პასუხისმგებლობის შესახებ.

ყველა ეს ღონისძიება უზრუნველყოფს სასამართლო საქმიანობისა და სასამართლო წარმოების კულტურის დონის ამაღლებას.

# მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის

## მ. კოვახიძე

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი, ადვოკატურის,  
ნოტარიატისა და მმჩის ორგანოების სამმართველოს უფროსი

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის მეტად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე ეკლესიის კომპეტენციიდან საბჭოების ხელში გადავიდა.

საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა 1921 წლის 28 აპრილს მიიღო დეკრეტი № 28 „მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების შესახებ“, რომლის პირველ პარაგრაფში ვკითხულობთ: „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებს აწარმოებენ მხოლოდ საერთო დაწესებულებები, რომლებიც იმყოფებიან თემის, მაზრის და ქალაქის (რევკომთან) აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან მმართველობის განყოფილებებთან“. ამავე დეკრეტის მეორე პარაგრაფში ნათქვამია — „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილებები არსდებიან: ცენტრალური — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განყოფილებასთან, ადგილობრივ — თემის, მაზრის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებთან (რევკომებთან)“.

სრულიად საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1930 წლის 21 იანვრის დადგენილებით დაამტკიცა საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსი, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულ იქნა 1930 წლის 1 მაისიდან.

შინაგან საქმეთა ორგანოებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მოწესრიგებაში, 35 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ ამ საქმეს.

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 11 დეკემბრის № 710 დადგენილების შესაბამისად, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ფუნქციები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობიდან გადაეცა მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 დეკემბრის № 751 დადგენილებით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დაეკისრა მმჩის ორგანოებისა და მმჩის არქივების მუშაობის ორგანიზაცია და მათი საქმიანობის ხელმძღვანელობა, რისთვისაც სამინისტროში 1957 წლის 1 იანვრიდან მოეწყო მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების განყოფილება. ამასთან მმჩის ცენტრალური არქივი დაექვემდებარა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.



საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ ამ ორგანოების თვისებაში მიღების პირველსავე წელს მოამზადა ინსტრუქციები: „საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მმართველ ბიუროებში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ და „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მდივნების მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“, რომლებიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 558 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 თებერვლის № 141 დადგენილებით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გაუქმებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო, რომელსაც დაევალა რესპუბლიკის მმართველ ორგანოებისადმი საერთო ხელმძღვანელობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 სექტემბრის № 664 დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ბიურო მმართველ რესპუბლიკურ არქივთან ერთად გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას.

1971 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს აღდგენის შემდეგ, იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმართველ ორგანოების სამმართველო, რომელიც ახორციელებს რესპუბლიკის მმართველ ორგანოების საერთო ხელმძღვანელობას.

მმართველ ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1968 წლის ივნისში „ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების“ მიღებას, რომელიც სამოქმედოდ შემოღებულ იქნა 1968 წლის 1 ოქტომბრიდან. საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლებმა ძირითადი ცვლილებები შეიტანა მმართველ ორგანოების საქმიანობაში. გაიზარდა მმართველ ორგანოების დატვირთვა-მოქმედების სფერო. საფუძვლებმა დააწესა ახალი ინსტიტუტი — მამობის დადგენის აქტის რეგისტრაცია; განქორწინებაც შეიძლება მოხდეს მმართველ ბიუროში იმ შემთხვევაში, თუ ორივე მეუღლე თანახმაა განქორწინებაზე და არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი. სახელისა და გვარის გამოცვლას დაემატა მამის სახელის გამოცვლა და სხვა. საფუძვლების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ 1970 წლის ივნისში მიიღო „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი“.

მნიშვნელოვანი აქტი, რომელიც გამომდინარეობს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებიდან და აწესრიგებს მმართველ ორგანოების საქმიანობას არის „ძირითადი დებულებანი მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერებში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანის, სააქტო ჩანაწერების აღდგენის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის სარეგისტრაციო წიგნების შენახვის ვადებისა და სახელმწიფო არქივში მათი გადაცემის წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 2 ივნისის № 410 დადგენილებით.

დებულება განსაზღვრავს მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანა-

წერებში შესწორებების შეტანისა, მოქალაქეობრივი მდგომარეობის საექტო ჩანაწერების აღდგენის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო და მეტრიკული წიგნების შენახვის წესებს. დებულების მე-20 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 მარტის № 129 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „საქართველოს სსრ მმაჩის ორგანოებში სამოქალაქო მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო დავთრებისა და მეტრიკული დავთრების შენახვის პირობები, აგრეთვე სახელმწიფო არქივში შესანახად ამ დავთრების გადაცემის წესი“.

გარდა ამისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 9 მარტის № 133 დადგენილებით დამტკიცებულია „ინსტრუქცია საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“. მისი მიღების შედეგად გაუქმებულ იქნა წინათ მოქმედი ინსტრუქციები. ამ დებულების მე-15 პუნქტის შესაბამისად სამმართველომ მოამზადა პროექტი „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლისა და აღდგენის წესები“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1972 წლის 14 თებერვლის № 64 დადგენილებით.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 26 მარტს მიიღო ბრძანებულება „სსრ კავშირის მოქალაქეთა შიერ გვარის, სახელის და მამის სახელის გამოცვლის წესის შესახებ“. ამის შედეგად გაუქმდა სსრ კავშირის საჯომსაბჭოს 1940 წლის 7 აპრილის № 468 დადგენილება მოქალაქეთა მიერ სახელის და გვარის გამოცვლის წესის შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1971 წლის 20 აგვისტოს № 587 დადგენილებით დაამტკიცა „დებულება სსრკ მოქალაქეთა მიერ გვარის, სახელისა და მამის სახელის გამოცვლის თაობაზე შუამდგომლობათა განხილვის წესის შესახებ“.

ძირითადი სიახლე, რაც ამ დებულებამ გაითვალისწინა, არის მამის სახელის გამოცვლა. გარდა ამისა, დებულებაში მოცემულია მიზეზთა ჯგუფი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლას. დებულებაში ხაზგასმულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი და შინაგან საქმეთა ორგანოების მკვიდრო კონტაქტის აუცილებლობა მოქალაქეთა სახელის, მამის სახელის და გვარის გამოცვლის დროს. დებულება განსაზღვრავს აგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრებ სსრ კავშირის მოქალაქის სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლის წესს.

დიდი მოვლენა იყო ქ. თბილისში, 1964 წელს ქორწინების სახლის გახსნა, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენს რესპუბლიკაში ქორწინების აქტების სახეი-მო ვითარებაში ჩატარებას.

ქ. თბილისის მაგალითს მიჰბაძეს ქალაქებმა, სოხუმმა, ქუთაისმა, ფოთმა და რუსთავმა, ზესტაფონის და საგარეჯოს რაიონებმა, სადაც მმაჩის ბიუროებისათვის ააგეს სპეციალური შენობები. აქ ყველა პირობაა შექმნილი ქორწინებისა და დაბადების აქტების სახეი-მო ვითარებაში რეგისტრაციისათვის. უფრო მეტიც გაკეთდა: მშრომელთა დეპუტატების ჩუმლაყის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ინიციატივით, სასოფლო საბჭოს ცენტრში აგებულია ქორწინების სახლი. უახლოეს დროში ექსპლოატაციაში შევა ბათუმის მმაჩის ბიუროს ახალი შენობა.

რესპუბლიკის მმაჩის ორგანოებს (86 საქალაქო და რაიონული მმაჩის

ბიურო, მმაჩის საქალაქო და რესპუბლიკური არქივები, ქორწინების სასწრაფო ემსახურება 150 თანამშრომელი. მათ შორის ქალი — 142, სკკპ წევრი — 48, უმაღლეს განათლებით, — 20, მათ შორის უმაღლესი იურიდიული განათლებით — 14.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით ამაღლდა მმაჩის ორგანოების მუშაკების პასუხისმგებლობა, როგორც მთხოვნელთა, ისე მოსახლეობის მომსახურების საქმეში. ჩვენი რესპუბლიკის 11 ქალაქში: თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ფოთში, თელავში, ყვარელში და ჭიათურაში, მმაჩის ბიუროები მოსახლეობას ემსახურებიან შაბათობითაც. მმაჩის ბიუროს თანამშრომლები პერიოდულად ატარებენ საუბრებს მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესისა და ვადების შესახებ, მონაწილეობენ ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში, გამოდიან რადიოთი, განსაკუთრებით თბილისის, რუსთავის, ტყებულის, ახალციხის, მცხეთის, ცხაკაიას და სხვა ქალაქებისა და რაიონების მმაჩის ბიუროები.

მმაჩის ორგანოების მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებული დადგენილებით 1972 წლის ივლისში გამოცხადდა დათვალიერება — კონკურსი საუკეთესო რაიონული და საქალაქო მმაჩის ბიუროს წოდებისათვის, დათვალიერება — კონკურსი მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს. დათვალიერება — კონკურსი ჩატარდა 1972 წლის მე-4 კვარტალში, შედეგები შეჯამდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე 1973 წლის 22 მარტს. ამავე გაერთიანებული სხდომის დადგენილებით 1973 წელსაც გრძელდება დათვალიერება — კონკურსი საუკეთესო რაიონული და საქალაქო მმაჩის ბიუროს წოდების მოსაპოვებლად. 1972 წელს ჩატარებულ დათვალიერება-კონკურსში პირველ ადგილზე გამოსული მცხეთის რაიონის მმაჩის ბიურო (გამგე თ. შალიკაშვილი) შეტანილია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საპატიო დაფაზე, გადაეცა გამარჯვებულის ვიმპელი და დაჯილდოვდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით.

მეორე ადგილზე გამოვიდა ჭ. თბილისის 26 კომისრის რაიონის მმაჩის ბიურო (გამგე ზ. ლაზარევა), ხოლო მესამე ადგილზე — ქედის რაიონის მმაჩის ბიურო (გამგე მ. ზაქარაძე).

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საუკეთესო რაიონული (საქალაქო) მმაჩის ბიუროს წოდების მინიჭებისათვის დათვალიერება — კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, სამსახურებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის მმაჩის ბიუროების 16 გამგე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით.

დათვალიერება — კონკურსის შედეგები 1973 წლის 29 აპრილს განხილულ

იქნა აგრეთვე მმაჩის ორგანოების თანამშრომელთა ოთხ ზონალურ საერთო კრებაზე — თბილისში, გორში, ქუთაისში და გურჯაანში.

რესპუბლიკის მმაჩის ბიუროების ნორმალურ საქმიანობას ხელს უშლის ის, რომ აღნიშნული ბიუროები არ არის დაკომპლექტებული საკმაო სამტატო ერთეულებით, მათ არა აქვთ კეთილმოწყობილი ბინები. დაბადების და ქორწინების აქტების რეგისტრაცია, კანონით, მმაჩის ბიუროებში უნდა ხდებოდეს განსაზღვრულ საათებში, საზეიმო ვითარებაში, მაგრამ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ზოგჯერ ქორწინების აქტების რეგისტრაციას ემთხვევა გარდაცვალებისა და განქორწინების აქტების რეგისტრაციაც.

მმაჩის ორგანოების არქივსაცავში შესვლა უცხო პირთათვის აკრძალულია, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მმაჩის ბიუროს სამუშაო ოთახში განლაგებული საარქივო ფონდი, რის გამოც მთხოვნელებს მთელი დღის განმავლობაში უხდებათ მიმოსვლა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა 1973 წლის მაისში ქ. თბილისის რაიომასკომებს დაავალა, რათა მმაჩის ბიუროებს გამოუყონ შესაფერისი და სათანადო კეთილმოწყობილი ბინები. ამის მიუხედავად ჯერჯერობით მდგომარეობა უცვლელია.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ წინ წამოწეული მოთხოვნა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების შესახებ, მთლიანად და სავსებით შეეხება იუსტიციის ყველა ორგანოს, მათ შორის მმაჩის ორგანოებსაც.

მმაჩის ბიუროს გამგე კანონის ისეთივე პრობანდისტი უნდა იყოს, როგორც იუსტიციის სხვა ორგანოს მუშაკი. ამის გამო დღის წესრიგში დაისვა საკითხი, რომ მმაჩის ბიუროს გამგეს ჰქონდეს იურიდიული განათლება.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს ნუსხაში თუ რა თანამდებობები რა განათლების მქონე პირებით უნდა იყოს დაკომპლექტებული, გარკვევითაა ნათქვამი, რომ მმაჩის ბიუროს გამგეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, უფრო მეტიც: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 თებერვლის № 76 დადგენილებით გაფართოებულია იმ თანამდებობების ნომენკლატურა, რომლებიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებს უნდა ეკავოთ. ამ დადგენილებით რაიონის, ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, დაევალიათ, რომ სხვა თანამდებობათა შორის მმაჩის ბიუროების გამგეებად, ადგილის გათავისუფლებისას, დააწინაურონ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირები. მაგრამ ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა მმაჩის ბიუროს გამგედ დანიშნა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი ლ. კაცბა, გულრიფშის აღმასკომმა — საშუალო განათლების მქონე კ. ჩიბირი, ხოლო ვალის აღმასკომმა — უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე ზ. კორშია.

იმის გამო, რომ მმაჩის ბიუროების გამგეებს არ აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება, ზოგჯერ ადგილი აქვს დარღვევებს ამა თუ იმ აქტის რეგისტრაციის დროს. საბჭოთა საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც წესი, ქორწინება მიზნად უნდა ისახავდეს საბჭოთა ოჯახის შექმნას, მომავალი თაობის აღზრდას. ამ კეთილშობილურ საქმეში უაღრესად დიდია მმაჩის ორგანოების როლი.



ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ქ. თბილისის კიროვის რაიონის მმაჩის ბიუროს გამგის ა. შონიას მცდარი, ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა მოქალაქეთა ქორწინების რეგისტრაციაში გატარების საქმეში. ა. შონიამ ქორწინების რეგისტრაციაში გაატარა 78 წლის მამიკე ავადმყოფი ვ. თუხარელი, რომელიც დაქორწინდა მეორე ჯგუფის ინვალიდ 60 წლის მ. ნემსიწვერიძეზე. სინამდვილეში მოქ. მ. გ. ნემსიწვერიძე არ ფიქრობდა და არც შეეძლო მოქ. თუხარელთან შეექმნა ოჯახი. ქორწინების რეგისტრაციიდან თვენახევრის შემდეგ მოქალაქე ვ. თუხარელი გარდაიცვალა და სწორედ ამის შემდეგ გადავიდა მ. გ. ნემსიწვერიძე საცხოვრებლად ხსენებულ ვ. თუხარელის ბინაში და შეეცადა ორთახიანი ბინის შენარჩუნებას.

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მ. ნემსიწვერიძე გამოასახლეს აწ გარდაცვლილ ვ. თუხარელის ბინიდან და ბინა გადაეცა მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის კალინინის რაისაბჭოს აღმასკომს. ამასთან გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მ. ნემსიწვერიძის ვ. თუხარელთან ქორწინების რეგისტრაციაში გატარება ფიქტიური ხასიათისა იყო და ოჯახის შექმნა კი არ ელო საფუძვლად, არამედ ბინაზე უფლების მოპოვება. სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. ა. შონიამ ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის მმაჩის ბიუროში, ქორწინების რეგისტრაციაში გაატარა აგრეთვე 77 წლის ავადმყოფი (პარალიზებული) რ. ვართანოვი, 40 წლის გ. გასანზადესთან, „მათი ოჯახის“ შემოწმების დროს რ. ვართანოვის ერთოთახიან ბინაში აღმოჩნდა მხოლოდ ვ. გასანზადე.

მმაჩის რესპუბლიკურ არქივში არქივარიუსებმა ლ. ლომიძემ, მ. ბაწელაშვილმა და დ. სირაძემ ლავოდების რაიონში მცხოვრებ ექვს მოქალაქეს შეუქმნეს ყალბი დაბადების ჩანაწერი და მათ საფუძველზე გასცეს დაბადების მოწმობა, რის წყალობითაც ისინი 1968 წლიდან უკანონოდ იღებდნენ სახელმწიფო პენსიას. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით არქივარიუსების მიმართ მასალები 1973 წლის მაისის თვეში გადაეცა საქართველოს სსრ პროკურატურას, ხოლო არქივის გამგე გ. აღნიაშვილი არქივარიუსების მუშაობისადმი უკონტროლობისა და სუსტი ზედმძღვანელობისათვის განთავისუფლდა თანამდებობიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ პროკურატურის დავალებით ამ საქმეზე გამოძიებას აწარმოებს ქ. თბილისის კალინინის რაიონის პროკურატურა, რატომღაც გამოძიება 1973 წლის დეკემბერშიც არ იყო დამთავრებული. უფრო მეტიც, ამ საქმეში თანამონაწილე ლავოდების რაიონის მმაჩის ბიუროს გამგე გ. დონდოლაძე დღესაც განაგრძობს მუშაობას.

მმაჩის ორგანოების მუშაობაში არის სხვა ნაკლოვანებებიც, მაგრამ რესპუბლიკის მმაჩის ორგანოების მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა უმოკლეს დროში აღმოფხვრან ისინი და ამით თავიანთ წველილს შეიტანენ იუსტიციის ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

## საკავშირო მუშაობა ახალი მოთხოვნების ღონეზე

### 6. ნასარძიე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო  
არბიტრაჟის მთავარი არბიტრის მოადგილე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1973 წლის 17 ოქტომბრის № 758 დადგენილებით დაამტკიცა დებულება საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ პრეტენზიების წარდგენისა და განხილვის სამეურნეო ხელშეკრულებებზე უთანხმოებათა მოწესრიგების წესის შესახებ.

ასეთი საერთო საკავშირო ნორმატიული აქტი, რომელიც იძლევა პრეტენზიების წარდგენისა და განხილვის ვადებისა და წესის რეგლამენტაციას და აწესებს მათი შეუსრულებლობისათვის სამართლებრივ შედეგს, პირველად არის გამოცემული, „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 დეკემბრის № 1025 დადგენილების შესაბამისად.

დებულების ამოცანაა სწრაფად აღადგინოს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დარღვეული უფლებები, მოაწესრიგოს მათ შორის სამეურნეო ხელშეკრულებათა გაფორმებისას წარმოშობილი უთანხმოებები, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეურნეო საქმიანობაში, სოციალისტური კანონ ერების, სახელმწიფო დისციპლინის მკაცრი დაცვის საფუძველზე, გამოავლინოს და აღმოფხვრას საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის მიზეზები და პირობები, უყიარათობისა და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევები, განამტკიცოს სამეურნეო ანგარიში, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, დამნაშავე პირთა ხარჯზე მოახდინოს და გააუმჯობესოს მუშაობა სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასა და შესრულებაში.

დებულება ყველა საწარმოს და ორგანიზაციისათვის ადგენს პრეტენზიების წარდგენისა და განხილვის ერთიან წესს, ნაცვლად აქამდე მოქმედი სხვადასხვა წესებისა, რომლებიც მოცემული იყო მრავალრიცხოვან ნორმატიულ აქტებში. დებულება სავალდებულოა სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, რომელ უწყებსაც არ უნდა ექვემდებარებოდნენ ისინი.

აღნიშნული დებულება არ ვრცელდება:

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი წარდგენილ პრეტენზიებზე, რომლებიც გამომდინარეობს ტვირთის გადაზიდვიდან და კავშირგაბმულობის მომსახურების გაწევის ოპერაციებიდან;

პრეტენზიებზე, რომლებიც წარმოიშობა დამკვეთსა (საგარეო ვაჭრობის გაერთიანებისა და სხვა ორგანიზაციების) და მიმწოდებელს შორის ექსპორტისათვის მისაწოდებელ საქონელზე, დამკვეთსა და იმპორტული საქონლის მიმღებსა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებას შორის, რომლებიც ასრულებენ დამკვეთს საქონლის იმპორტისათვის, ამავე დროს იმ პრეტენზიებზე, რომლებიც გამომდინარეობს საზღვარგარეთული გადაზიდვებიდან და უცხოური დაზღვევებიდან;

იმ მოთხოვნებზე, რომლებიც გამომდინარეობს კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობათა შორის ორგანიზაციებსა და სახელმწიფო კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ურთიერთობიდან;

საქსოფლტექნიკის ორგანიზაციათა პრეტენზიებზე, რაც დაკავშირებულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოთა მიერ შეძენილ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთებაზე გაწეული დანახარჯის ანაზღაურებასთან, რომლებიც მწყობრიდან გამოვიდა საგარანტიო ვადის გასვლამდე ქარხანა-დამამზადებლის ბრალით.

დებულებაში ხაზგასმულია საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობა საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში საპრეტენზიო მუშაობის მდგომარეობისათვის. დებულებით დადგენილი პრეტენზიების წარდგენისა და განხილვის წესების და უტყველობა სახელმწიფო დისციპლინის დარღვევად ითვლება და დამნაშავე თანამდებობის პირნი პირადად არიან პასუხისმგებელნი, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

დებულება ითვალისწინებს საპრეტენზიო ვადების უნიფიკაციას: ხარისხზე კომპლექტურობასა და დანაკლისზე წარმოშობილ დავებზე პრეტენზიის წარდგენის ერთთვიან ვადას, ხოლო დანარჩენი სახის დავებზე წარმოშობილ პრეტენზიებზე — ორთვიან ვადას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის ურთიერთობიდან გამომდინარე პრეტენზიებზე, აგრეთვე უკიდურესი ჩრდილოეთისა და მასთან გათანაბრებული რაიონების საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი წარდგენილ პრეტენზიებზე დადგენილია რამდენადმე დიდი ვადები, ხოლო პრეტენზიების განხილვისათვის, შესაბამისად დადგენილია ერთი და ორი თვე.

დებულებით პრეტენზიების წარდგენის ვადის დარღვევისათვის დადგენილია მატერიალური პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით, საძიებო თანხის 2 პროცენტის რაოდენობით. აღნიშნული ჯარიმა არ უნდა იყოს 10 მანეთზე ნაკლები და 1000 მენეთზე მეტი. ჯარიმა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ასეთი ჯარიმის გადახდევინების უფლება მინიჭებული აქვს არბიტრაჟს ან სამედიატორო სასამართლოს, რომლებიც განიხილავენ მოცემულ სამეურნეო დავას. ასეთივე საჯარიმო სანქციებია გათვალისწინებული პრეტენზიის განხილვის ვადის დარღვევისათვის ან მისი უპასუხოდ დატოვებისათვის.

დებულებით მინიჭებული უფლება — ბანკის საშუალებით უდავოდ ჩამოწეროს პრეტენზიის შედეგად აღიარებული თანხა — მნიშვნელოვნად გაუადვილებს საწარმოებსა და ორგანიზაციებს მუშაობას და ამავე დროს არბიტრაჟშიც შემცირდება საქმეთა შემოსვლა.

უდავო წესით უსაფუძვლოდ თანხის ჩამოწერის შემთხვევაში დამნაშავე მხარე მეორე მხარეს ჯარიმას უხდის ამ თანხის 5 პროცენტის რაოდენობით.

როდესაც მხარე პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარს განაცხადებს ან დროულად არ ვასცემს პასუხს, მეორე მხარეს შეუძლია სარჩელი წარადგინოს სახელმწიფო არბიტრაჟში ან სხვა ორგანოში, რომელსაც ექვემდებარება მოცემული დავა.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ იხმარონ ზომები პრეტენზიის განხილვისას გამოძედიანებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ხოლო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისა და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების დადგენის შემთხვევაში შეატყობინონ გამოძიების ორგანოებს.

დებულების მეოთხე თავი ეძღვნება სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების, შეცვლისა და გაუქმების დროს წარმოშობილ უთანხმოებათა მოწესრიგებას. დებულებით დადგენილი წესებისა და ვადების მკაცრი დაცვა ხელს შეუწყობს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სამეურნეო ხელშეკრულებათა დროულად დადებისა და შესრულების გაუმჯობესებას.

დებულებით დადგენილია, რომ უთანხმოება, რომელიც წარმოიშობა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის ხელშეკრულების დადების, შეცვლისა და გაუქმებისას, უნდა განიხილოს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, მათმა მოადგილეებმა ან საამისოდ უფლებამოსილმა პირებმა. დებულებით დადგენილია ხელშეკრულების პირობებზე უთანხმოების მოწესრიგების, უთანხმოების ოქმის გაგზავნისა და მეორე მხარის მიერ უთანხმოების ოქმის არბიტრაჟში ან სხვა ორგანოში განსახილველად წარდგენის ერთიანი ვადები. განსაკუთრებული ვადებია დადგენილი ხელშეკრულების შეცვლის ან გაუქმების წინადადების წარსადგენად, მასზე პასუხის გაცემისა და მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მისი სათანადო ორგანოსათვის გადასაცემად.

ამ წერილის ამოცანა არ არის დებულების ყველა პუნქტის გადმოცემა და განხილვა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 17 ოქტომბრის № 758 დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს ავალებს სამინისტროებსა და უწყებებს სათანადო განმარტებები მისცეს აღნიშნული დებულების გამოყენების შესახებ.

პრეტენზიების წარდგენისა და განხილვის წესების შესახებ ახალი დებულება ძალაში შედის 1974 წლის 1 იანვრიდან. ამასთან დაკავშირებით ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშაკები, რომლებიც საპრეტენზიო მუშაობას ემსახურებიან, განსაკუთრებით სამართლებრივი და საბუღალტრო დარგის მუშაკები, ვალდებული არიან ღრმად შეისწავლონ დებულება პრეტენზიების წარდგენისა და განხილვის წესის შესახებ. რომ შემდგომში არ დაუშვან დადგენილი საპრეტენზიო წესის დარღვევა. მათ კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ ასეთი დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირადი და მატერიალური პასუხისმგებლობა.


სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც ეკისრებათ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საპრეტენზიო მუშაობაზე ხელმძღვანელობა, მოვალენი არიან მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს ჩაუტარონ სათანადო ინს-



ტრუქტაჟი, მოამარაგონ ისინი დებულებით, უზრუნველყონ პრეტენზიების წარდგენისა და განხილვის ვადების მკაცრი დაცვა და სამეურნეო ხელშეკრულებათ დადების, შეცვლისა და გაუქმებასთან დაკავშირებით წარმოშობილ უთანხმოებათა დროული მოწესრიგება.

დებულების მე-6 პუნქტის თანახმად სამინისტროები და უწყებები ვალდებული არიან სისტემატური კონტროლი გაუწიონ დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, თუ როგორ იცავენ ისინი დებულების მოთხოვნებს, ნაკლოვანებებისა და დარღვევების გამომჟღავნების შემთხვევაში იხმარონ ქმედითი ღონისძიებანი.

საპრეტენზიო მუშაობის ახალი დებულება დიდ მოთხოვნებს უყენებს საწარმოო დაწესებულებების ხელმძღვანელებს და საპრეტენზიო დარგის მუშაკებს, ამასთანავე გარკვეულ სანქციებს აწესებს მისი ცალკეული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში. ამიტომ საპრეტენზიო წესის მკაცრი დაცვა თვითეული საწარმოს და დაწესებულების ხელმძღვანელისა და საპრეტენზიო დარგის მუშაკთა პირველი რიგის სამსახურებრივი მოვალეობაა.



## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ დ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების შეტანის შესახებ

„საპერო ტრანსპორტით ფეტქებადი ან ადვილაალებადი ნივთიერებების, სხვა საშიში ტვირთის ან საგნების უკანონო გადაზიდვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს შემდეგი შინაარსის 248<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 248<sup>1</sup>. საპერო ხომალდით ფეტქებადი ან ადვილაალებადი ნივთიერებების უკანონო გადაზიდვა

მგზავრის მიერ საპერო ხომალდით ფეტქებადი ან ადვილაალებადი ნივთიერებების გადაზიდვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

ოვივე ქმედობა, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე“.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 248<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მეოთხე ნაწილს ციფრის „248“ შემდეგ დაემატოს ციფრი „248<sup>1</sup>“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ქოჩენიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჭავაძე**.

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ დ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 238-ე მუხლის შეცვლის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 102-ე მუხლის მეორე ნაწილის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 233-ე მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ. № 6, მუხ.

118) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 233. დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო

დახმარებას ორსულობისა და მშობიარობის გამო ვასცემენ ორსულობისა და მშობიარობისათვის აღებული მთელი შევებულების განმავლობაში სრული ხელფასის ოდენობით“.

2. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ იქნეს შემოღებული 1973 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ქოჩენიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამჭავაძე**.

თბილისი. 1973 წლის 29 ნოემბერი.

## მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის სსკმეების განხილვის ვალების დარღვევის შესახებ

გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მორიგი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრები, სამინისტროს აპარატის მუშაკები, ზოგიერთი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეები და სახალხო მოსამართლეები.

კოლეგიამ მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის აკ. პაიჭაძის მოხსენება „საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის სასამართლოში სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის საქმეების განხილვის ვადების დარღვევის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლოების მუშაობაში ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქონების ქურდობის საქმეთა გარჩევის კანონით დადგენილი ვადების დარღვევა, რაც საგრძნობლად ამცირებს სახალხო დოჯანის დაცვისათვის ბრძოლის ეფექტიანობას. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ვადები უხეშად ირღვევა ქ. თბილისის 26 კომისიის, ორჯონიძის და კიროვის სასამართლოებში, აგრეთვე გარდაბნის, ცხაკაიას და ხაშურის სასამართლოებში. მიმდინარე წლის 9 თვეში მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქონების ქურდობის საქმეთა 25,7 პროცენტი ვადის დარღვევითაა განხილული ქ. თბილისის 26 კომისიის სასამართლოში, 15,8 პროცენტი — კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოში, 28,6 — ცხაკაიას რაიონის სასამართლოში. სახელმწიფო ქონების გატაცების საქმეთა 50 პროცენტი ვადის დარღვევითაა განხილული ხაშურის რაიონის სასამართლოში, 46,7 პროცენტი — გარდაბნის რაიონის სასამართლოში, ხოლო ცხაკაიას რაიონის სასამართლოში ამ კატეგორიის ორი საქმეა განხილული და ორივეზე დარღვეულია ვადები.

გარდაბნის რაიონის სასამართლოს (თავმჯ. დ. იაშვილი) 1972 წლის 22 ნოემბერს გადაეცა განსახილველად ს. თაგრიანიანისა და რ. გელაშვილის ბრალდების საქმე, დაკვილიფიცირებულ საქართველოს სსრ სსკ 91 მუხლის მე-2 ნაწილით. სასამართლო პროცესის მოუმზადებლობის გამო ეს საქმე განიხილეს 1973 წლის 22 იანვარს.

ხაშურის რაიონის სასამართლოს (თავმჯ.

ნ. ყვარელაშვილი) 1972 წლის 24 თებერვალ დაუბრუნდა განსახილველად რ. ყვარელაშვილი ბრალდების საქმე საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოდან. აღნიშნულ საქმის განხილვა სასამართლო პროცესის მოუმზადებლობის გამო 4 თვე ვაჭიანურდა.

ქ. თბილისის 26 კომისიის სასამართლოში (თავმჯ. ა. გეგვა) 2 თვისა და 20 დღის შემდეგ განიხილეს ა. ამოევის ბრალდების საქმე. ამ ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრას უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ გარდაბნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე დ. იაშვილი, ქ. თბილისის 26 კომისიის სახალხო მოსამართლე ო. ჯაფარიძე, ხაშურის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ყვარელაშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი მ. გიორგობიანი, კადრების განყოფილების უფროსი დ. იანჯოჯი და სხვ.

კოლეგიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კოლეგიამ მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პრობლემათა განდის სამმართველოს უფროსის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის შ. პაპიძის ინფორმაცია „საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და უმაღლეს სასამართლოში შესრულების შემოწმებასა და კონტროლის მდგომარეობაზე ჩატარებული მუშაობის შესახებ“.

ინფორმაციის თაობაზე აზრი გამოთქმეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა მ. კომახაძემ, იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსმა ე. მეტრეველმა და სხვ.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მიმდინარე წლის 9 თვეში საკონტროლო დაგეგმვათა შესრულება მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა განყოფილების უფროსი დ. იანჯოჯი.

კოლეგიის მუშაობის შედეგები შეჯამა აშ. აკ. პაიჭაძემ.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ პროკურორის პირველმა მოადგილემ გრ. ბიჭაძემ.

# ენციკლოპედია

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

1973 წლის 29 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ აკ. კარანაძემ.

მოხსენებით — „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 27 ნოემბრის დადგენილებების „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ უსრულების მიმდინარეობა“ — გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ლორია.


საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, — აღნიშნა მომხსენებელმა, — მეტად პრინციპული და უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გამოსწორებისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, დამნაშავეობასთან, მათ შორის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. დიდი ამოცანები დგას ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის უმაღლესი სასამართლოს წინაშე სახელმწიფო ქონების გატაცების საქმეების განხილვის ორგანიზაციის, დასჯითი პოლიტიკის განხორციელების, პროფილაქტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისა და გაუმჯობესების დარგში. ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ამ სახის დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობაზე. რიგი სასამართლოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეების სამსჯავრო სხდომისათვის სათანადოდ მომზადებას, რის გამოც ადგილი აქვს საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის შემთხვევებს.

მაღალია ვადების დარღვევის მაჩვენებელი რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოშიც, თუმცა ამ მდგომარეობას აქვს თავისი ობიექტური მიზეზებიც. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან

ნად იმატა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით განხილულ როგორც საერთოდ სისხლის სამართლის საქმეთა, ასევე ვაფლანგვა-გატაცების კატეგორიის საქმეთა რაოდენობამ. მაგრამ მისი გამართლება მაინც არასწორია. რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობამ შეისწავლა ეს საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადების დარღვევა უმთავრესად გამწესრიგებელი და სამსჯავრო სხდომების არასათანადო ორგანიზაციის, პროცესების ჩატარების დაბალი კულტურის, მოსამართლეთა მიერ სამუშაო დროის არარაციონალურად გამოყენების შედეგია. მუშაობაში არსებული ამ ხარვეზების გამოსასწორებლად უმაღლესი სასამართლო მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს. პატიმართა ეტაპირების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით, პროცესის მონაწილეთა დროულად გამოცხადების უზრუნველყოფით, სხდომის დარბაზების მომატებით და სხვა ღონისძიებებით ამჟამად მთლიანად აღმოფხვრილია პროცესების დავიანებით დაწყების და ამ მიზეზებით მოსამართლეთა სამუშაო დროის მოცდენის შემთხვევები. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება პროცესის კულტურის ამაღლებისათვის. სასამართლო სისტემის ძირეულ რგოლებთან დაახლოების, მათთან უშუალო კონტაქტის უზრუნველყოფის და მოსამართლეთა შორის შესასრულებელ სამუშაოთა რაციონალური განაწილების მიზნით შექმნილია ზონალური პრინციპის მიხედვით სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ხუთი შემადგენლობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ზონების მიხედვით როგორც პირველი ინსტანციის, ისე საკასაციო ინსტანციის საქმეთა განხილვის სწორი ორგანიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ღონისძიებანი ჯერ მხოლოდ განხორციელების პროცესშია გარკვეული შედეგები უკვე გვაქვს. თუ 1973 წლის პირველ ნახევარში ვადის დარღვევით განხილულია ვაფლანგვა-გატაცების საქმეთა 55 პროცენტი, მესამე კვარტალში ეს მონაცემი შემცირდა 32 პროცენტამდე.

ვაფლანგვა-გატაცებასთან ბრძოლის ეფექტურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქ-



მეთა გამოძიების ხარისხს: 1972 წელს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნეს ამ კატეგორიის 102 სისხლის სამართლის საქმე. ეს რასაკვირველია, ვაგლენას ახდენს საქმეთა სამსჯავრო განხილვის ხარისხზეც. არის შემთხვევები, როცა სასამართლო იღებს გამოძიებაში წლობით გაკინაურებულ საქმეს, რის გამოც გარკვეულ ვითარებისა და გარემოებების შეცვლის შედეგად მისი სამსჯავრო განხილვა მთელ რიგ სიძნელეებს აწყდება.

საქმეთა დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნებას ხშირად შედეგად ის მოსდევს, რომ არ არის მზიებული გატაცების მონაწილე ყველა პირი, სწორად არ არის დაანგარიშებული გატაცებული თანხების ოდენობა, ბრალდება დაფუძნებულია მხოლოდ დანაკლისის გამოვლინების ფაქტზე, არ არის გამოკვლეული გატაცების ფორმები, ხერხები და სხვა გარემოებები, რომლებზეც დამოკიდებულია დამნაშავეს პასუხისმგებლობის საკითხის და მისი მოქმედების იურიდიული კვალიფიკაციის სწორი გადაწყვეტა.

სამწუხაროდ, გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საქმეს დამატებით გამოძიებისათვის გადასცემენ დაუსაბუთებლად, სრულყოფილი სამსჯავრო გამოძიების ჩატარების და საქმის ყველა გარემოების სათანადო ანალიზისა და გარკვევის გარეშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1973 წლის 8 იანვრის განჩინება, რომლითაც დამატებითი გამოძიებისათვის იქნა დაბრუნებული მ. აჯიაშვილის ბრალდების საქმე.

პრეზიდიუმმა ცნო, რომ სასამართლო კოლეგიამ ნაადრევად დააბრუნა საქმე დამატებით გამოძიებაში. სამართალში მიცემულის პიროვნების მონაცემების შემოწმებას და საქმის მოსმენის შესაძლებლობის შესახებ პროცესის მონაწილეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ კოლეგიამ ყოველგვარი სამსჯავრო გამოძიების ჩატარების გარეშე საქმე დააბრუნა დამატებით გამოძიებაში. კოლეგიამ არ გაარკვია გამოძიების ხარვეზების სამსჯავრო პროცესზე შეცვლების შესაძლებლობის საკითხი, არ მისცა შეფასება წინასწარი გამოძიების დროს დაშვებულ ხარვეზებს. საქმის უსაფუძვლოდ დაბრუნებამ კი, ბუნებრივია, მისი გაკინაურება გამოიწვია.

როგორც სასამართლო პრაქტიკის განვითარებისას ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლამ და საკასაციო და სახელმძღვანელო წარმოების ანალიზმა ცხადყო გაფლანგვა-გატაცების საქმეებზე განაჩენების გაუქმებისა და შეცვლის ძირითადი მიზეზია სასამართ-

ლოების მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე კანონის და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოების სახელმძღვანელო მითითებათა დარღვევა, რაც უპირველესად აისახება დაუდასტურებელ მტკიცებულებათა ვითარებაში გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის, ჩანადრად არასწორი კვალიფიკაციის, დამნაშავეისათვის მისი პიროვნების და ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შეუსაბამო მკაცრი ან ლობიერი სასჯელის დანიშვნის, არსებითი ხასიათის პროცესუალური დარღვევების და სხვა შემთხვევით. სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს დანაშაულის, ჩანადრად დაკვალიფიკირებას.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლომ 1972 წლის 22 ნოემბერს განიხილა ვ. ჭყიძის, მ. ბარამიძისა და სხვათა ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სსკ 961 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. სასამართლომ იმ მოტივით, რომ დამნაშავეებიდან თითოეულმა ცალკეულად თავის წილად მიიღეს 10.000 მანეთზე ნაკლები თანხა, უსაფუძვლოდ დააკვალიფიკირა მათი მოქმედება საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლის მესამე ნაწილით.

გერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების მათ შორის განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისთვისაც კი, ისეთი პირების მსჯავრდების ფაქტები, რომელთა ბრალი დადასტურებული არ არის, ან რომელთაც ბრალი მიუძღვით სამსახურებრივ მოვალეობათა დაუღვერად შესრულებაში.

ასე მაგ., საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით ა. ნ. თიბილოვა სხვებთან ერთად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 961 მუხლით.

დადგენილია, რომ რუსთავის სარემონტო მექანიკურ ქარხანაში დამნაშავეთა მოქმედი ჯგუფი დამკვეთი ორგანიზაციის წარმომადგენელთან შეთანხმებით ადგენდა ყალბ საბუთს ე. წ. ფორმა № 2, რის საფუძველზეც დგებოდა ყალბი განრიგები და უწყისები და ხდებოდა სახელმწიფო თანხების მითვისება.

ა. ნ. თიბილოვა მუშაობდა აღნიშნულ ქარხანაში ბუხალტრად და მისი მოვალეობა იყო შეემოწმებინა განრიგში ნაჩვენები მუშები გაფორმებული იყვნენ თუ არა ქარხანაში, რასაც ის ასრულებდა და, როგორც დადგენილია, განრიგში შეტანილი ყველა მუშა გაფორმებული იყო ქარხანაში დირექტორის სათანადო ბრძანებით. საქმეში არ იყო არც სხვა რაიმე მტკიცება გატაცებაში ა. თიბილოვას მონაწილეობისა, რის გამოც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მას მოუხსნა სა-

ქართველოს სსრ სსკ 96<sup>1</sup> მუხლით წარდგენილი ბრალდება და იგი ამ ბრალდებაში გამართლებულად სცნო.

ამასთან შეიმჩნევა, რომ სასამართლოები შედარებით ნაკლებად უშვებენ შეცდომებს დანაშაულის იურიდიული კვალიფიკაციის საკითხში და განაჩენების გაუქმების ძირითადი მიზეზია არასაკმარისი მტკიცებულება, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და შეცვლის მიზეზი კი არის სასჯელის ღონისძიებათა არასწორად შეფარდება. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ განაჩენთა შეცვლის დიდი ნაწილი მოდის ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხდება სასჯელის ღონისძიების შემცირება კვალიფიკაციის შეუცვლელად. ასე მაგალითად, 1972 წელს კვალიფიკაციის შეუცვლელად სასჯელის შემცირებით განაჩენის შეცვლის მაჩვენებელია შეადგინა 14,2 პროცენტი, მაშინ როდესაც მთლიანად შეცვლის მაჩვენებელი 20,3 პროცენტს უდრიდა, 1971 წელს — 13,6 პროცენტი მთლიანად 19,4 პროცენტიდან.

საკიროა განაჩენთა გაუქმებისა და შეცვლის მიზეზების ღრმად შესწავლა და გაანალიზება, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად საქირო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, რათა რესპუბლიკაში გაფლანგვა-გატაცების საქმეებზე იყოს ერთიანი და სტაბილური დასჯითი პრაქტიკა, რაც აღნიშნული სახის დანაშაულთან ბრძოლის წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

სასამართლო პრაქტიკის მონაცემების ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგები გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს სწორად აქვთ ვაგებული ამ დანაშაულის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება და ძირითადად სწორად და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად იყენებენ სასჯელს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებაში დამნაშავე პირთა მიმართ. სასამართლო ორგანოები უფრო მკაცრ სასჯელის ღონისძიებებს იყენებენ თავისუფლების აღკვეთის უფრო ხანგრძლივი ვადით შეფარდების სახით იმ პირთა მიმართ, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ხასიათდება მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით და რომლებიც მათი პიროვნებისა და საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით არ იმსახურებენ კანონით გათვალისწინებულ შეღავათების გავრცელებას.

დასჯითი პრაქტიკის სერიოზულ ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გამოტაცებულთა მიმართ საქართველოს სსრ სსკ 45 მუხლის გამოყენების ხშირი შემთხვევები. კვლავ არასახარბილო მდგომარეობაა

სასჯელის დამატებითი ღონისძიებების გამოყენების მხრივ.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მსჯავრდებულ პირთაგან მომავალში მსგავსი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის დამატებითი ღონისძიების — გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის გამოყენებას.

სასამართლო სტატისტიკის მონაცემების ანალიზი გვარწმუნებს, რომ სასამართლოების მუშაობა ამ მხრივ აშკარად არაადაამკაყოფილებელია. არასასურველი და დამაფიქრებელი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლის შესაბამისად ნაწილობრივ მსჯავრდებულ პირთა მიმართაც, როცა კანონი ამ სახის დამატებითი სასჯელის სავალდებულო გამოყენებას მოითხოვს. უკეთესი ვითარება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების შემთხვევაში სასჯელის ამ სახის დამატებითი ღონისძიების გამოყენების მხრივ.

მართალია, საქართველოს სსრ სსკ 96<sup>1</sup> მუხლი სასჯელის დამატებითი ღონისძიების სახით არ ითვალისწინებს მსჯავრდებულისათვის გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, მაგრამ რამდენადაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება უმეტეს შემთხვევაში ხდება სწორედ დაკავებული თანამდებობის ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, სასამართლოები აღნიშნული სახით დამატებითი ღონისძიებას იყენებენ საქართველოს სსრ სსკ 29 მუხლის საფუძველზე.

როგორც ჩანს ზოგიერთი სასამართლო სათანადო ყურადღებას არ აქცევს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოების პლენუმების დადგენილებათა მითითებებს იმის შესახებ, რომ თუ კანონი, რომლითაც მსჯავრს ადებენ სამართალში მიცემულს, სასჯელის დამატებითი ღონისძიების სახით ითვალისწინებს ქონების კონფისკაციას ან გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის სავალდებულო შეფარდებას, სასამართლო ვალდებულია განაჩენში მოიტანოს მოტივები, რომელთა გამო მან შეესაძლებლად მიიჩინა არ გამოყენებინა მსჯავრდებულთა მიმართ ეს ღონისძიებანი.

სასამართლო პრაქტიკის განვითარებამ გვიჩვენა, რომ სასამართლოები ხშირად არ იცავენ ამ სავალდებულო მოთხოვნას.

ზოგიერთი სასამართლო შემადგენლობა არასწორად თვლის, რომ სასჯელის დამატებითი ღონისძიებების შეფარდება სავალდებულო არ არის



თუ განაჩენის გამოტანის დროისათვის მსჯავრდებულს არ გააჩნია ქონება, რომელზეც შეიძლება მიქცეული იქნეს კონფისკაცია ან თუ იგი უკვე მოხსნილია დაკავებული თანამდებობიდან. როგორც ცნობილია, გამოძიებისა და სასამართლო წარმოების პროცესში ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად გატარებულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამო დამნაშავენი ხშირად ახერხებენ ვადამაღონ ქონება, რომელიც შემდეგ განაჩენის აღსრულების პროცესში შეიძლება აღმოჩენილ და კონფისკაციამქონილი იქნეს. გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა კი იმის საწინდარია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ მიეცეთ მატერიალურ ფასეულობათა მომსახურების სფეროში მუშაობის საშუალება პირებს, რომლებიც არ იმსახურებენ ნდობას.

დასჯითი პრაქტიკის განხორციელებაში არსებული აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან ამის გარეშე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა შეუძლებელია.

ჭერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებები შეინიშნება გამსვლელი სესიების ორგანიზაციაში, რაც უპირველესად იმაში ბოლობს თავის გამოხატულებას, რომ ზოგიერთ სასამართლოს არასწორად აქვს გაგებული გამსვლელი სესიების მიზანი და დანიშნულება, რის გამოც სტატისტიკური მაჩვენებლების გაზრდის მიზნით გატაცების საქმეებს განიხილვენ არა აქ, სადაც პროცესს შეიძლება ჰქონდეს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, არამედ სადაც მოხვდებათ, ოღონდ სასამართლოს შენობაში არა.

ასე მაგალითად: ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ სურმაკას და სხვათა ბრალდების საქმე, რომლებმაც ხის დამმუშავებელი ფაბრიკიდან გაიტაცეს ხის მასალა, განიხილა სავიაციო ქარხნის კლუბში, ხოლო თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ მალაზის გამყიდველის ვ. კახაძის საქმე, რომელმაც გაიტაცა 9.767 მანეთის ღირებულების სახელმწიფო ქონება, — სახლმმართველობის წითელ კუთხეში.

ცხადია, ასეთი გამსვლელი სესიები არ პასუხობენ თავის მიზანს და დანიშნულებას.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების პრესის, რადიოს, ტელევიზიის მეშვეობით გაშუქებაზე, სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესებაზე, კერძო განჩინებათა

როლზე გაფლანგვა-გატაცების წარმოშობი მიზეზებისა და ხელშეწყობი პირობების აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე აღინიშნა, რომ — თქვა მოხსენების დასასრულს ამხ. დ. ლორიაშვილი, — ახლა როცა ხორციელდება კანონის ყოველგვარი დარღვევის აღმოფხვრის კურსი სახელმწიფო დოვლათზე ხელყოფის აღმამოფოთებელი ფაქტები სულ უფრო მოუთმენელი ხდება. ეს სასამართლო ორგანოებს ავალბებს ვარდაქმნან მუშაობის სტილი და მეთოდები, შეუსაბამონ თავიანთი საქმიანობა თანამედროვე მოთხოვნებს, იღვწენ პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების მკაცრად დაცვისათვის პარტიის მიერ გაჩაღებულ ბრძოლის ავიანარდობა.

აღნიშნულ საკითხზე თანამოხსენებებით გამოვიდნენ:

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დ. კურასქუა: პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გატაცება-გაფლანგვისათვის ადრე გასამართლებული პირები შემდგომში დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორებად გვევლინებიან და დანაშაულებრივ ქმედობაში იზიდავენ უნებისყოფო პირებს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია „საქსორცკარაქეთეზგაკრობის“ ტყვარჩელის მაცივრის საქმე. აქაურ მუშაკთა დიდმა ჯგუფმა ამავე მაცივრის ღირებულების ნ. თოდუას თოსნობით და აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის პალატის აფხაზეთის განყოფილების სავაჭრო ექსპერტის ბიუროს ექსპერტის შ. ძაძამიას ხელის შეწყობით სამი წლის განმავლობაში გაიტაცა 120.000 მანეთზე მეტი სურსათი. აქ განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ შ. ძაძამია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა ფასეულობის აღრიცხვაზე ლანძარების გაწევა, ადგენდა ფიქტიურ აქტებს, ეხმარებოდა დამნაშავეებს შენიღბვაში.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ შ. ძაძამია ადრე ორჯერ იყო გასამართლებული ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთით თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის.

მეჭრთამიანისა და სიყაბისათვის იყო ადრე გასამართლებული აგრეთვე მაცივრის უფროსი მეკუქნავე ყირვან ოლი.

დამახასიათებელია, რომ რევიზორ პ. გურჩინაძეს, რომლის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა დანაშაულის გახსნა და თავიდან აცილება, უფრო მსუბუქად რომ ვთქვათ, გულგრილად მოეკიდა თავის მოვალეობას და არაერთხელ ჩატარებულ რევიზიების შედეგად დრო-

ულად არ გამოავლინა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დიდი ოდენობით დანაკლისი.

როგორც ზემოთქმული და ასევე რიგი სხვა საქმეებისა გვიჩვენებს, ზოგჯერ საუწყებო რევიზორული აპარატი არ ამართლებს თავის თავს. რევიზორები გვერდს უვლიან ვაჭრობის წესების ცალკეულ დარღვევებს, პრინციპულად არ სვამენ საკითხს ვაჭრობის მუშაეთა კადრების შერჩევასა და განაწილებაზე და ზოგჯერ თვით ებმებიან მათთან დანაშაულებრივ ქმედებებში.

ხომ არ დადვა დრო საუწყებო სარევიზიო აპარატის დებულების გადასასინჯად?

ყველა საუწყებო რევიზორი უნდა გაერთიანდეს სამინისტროებისა და უწყებებისაგან დამოუკიდებელ ცალკეულ ორგანიზაციად, თუნდაც ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს მსგავს ორგანიზაციად.

ასეთი ორგანიზაცია, რომელიც ვააერთიანებდა მთელ სარევიზიო აპარატს, იქნებოდა დამოუკიდებელი ორგანიზაცია, გათავისუფლებული საუწყებო ინტერესების ტვირთისაგან.

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე დ. თამაზაშვილი: სასამართლოები ყოველთვის ღრმად და სრულყოფილად არ სწავლობენ იმ მიზეზებს, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებას. ამ საკითხს არც გამოძიების ორგანოები უთმობენ სერიოზულ ყურადღებას.

ნაკლოვანებებია სასამართლო პროცესების აღმზრდელიობით როლის ამღლებს საქმეში. პროცესები ზოგჯერ დაბალ დონეზე ტარდება, ნაკლებია ამ კატეგორიის საქმეთა გამსვლელ სესიებზე განხილვა.

არადამაკმაყოფილებელია ამ კატეგორიის საქმეთა განაჩენების სტაბილობაც. გაუარესებულია საქმეთა განხილვის ვადების დაცვა. თუ 1972 წელს ვადის დარღვევით განხილულ იქნა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-გატაცების საქმეთა მხოლოდ 2,5 პროცენტი, 1973 წლის 3 კვარტალში ვადის დარღვევით განხილეს ამ საქმეთა 8,4 პროცენტი.

აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად 1972 წელს შეისწავლა სასამართლო პრაქტიკა გაფლანგვა-გატაცების საქმეებზე. პრაქტიკის შესწავლის შედეგები განხილულია მოსამართლეთა საწარმოო თაბორიზე. მიუხედავად ამისა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ხარისხი არ გაუმჯობესებულა. აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტრო და უმაღლესი სასამართლო ამჟამად განმეორებით სწავლობს ამ კატეგორიის საქმეთა სასამართლო პრაქტიკას და მიღებულ იქნება გა-

6. საბჭოთა სამართალი № 6


დამკრელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. კაჩმაზოვა: ჯერ კიდევ გვეხდება შემთხვევები, როდესაც საგამოძიებო ორგანოები სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ პირებს, რომელთაც საუწყებო რევიზიის მისაღების საფუძველზე დანაკლისი აღმოაჩნდებათ, ხოლო სასამართლოები ასამართლებენ მათ საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებას ან მითვისებაზე ისე, რომ ამის მტკიცებულებანი საქმეში არა აქვთ.

ზნაურის რაიონის სახ. სასამართლოს განაჩენით ე. ზარიევი გასამართლებული იყო საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა 2281 მან. ოდენობის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მითვისებისათვის. საგამოძიებო და სამსჯავრო გამოძიებაზე არ იქნა დადგენილი თუ აღნიშნული თანხა ვის სასარგებლოდ იქნა მიქცეული. სახალხო სასამართლომ კერძო განჩინებაში აღნიშნა, რომ ხასიევი საჭირო გამოცდილებისა და მომზადების გარეშე დაინიშნა მალაზიის გამგედ და მისი გამოუცდლობის გამო შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტების გაფორმება ხდებოდა უხარისხოდ. აღნიშნულის გამო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიღება-ჩაბარებისას ხასიევმა გამოუვლინა დანაკლისი 2281 მან. მაგრამ სახალხო სასამართლომ ხასიევი გასამართლა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მითვისებისათვის.

საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა ზნაურის რაიონის სახ. სასამართლოს განაჩენი შეცვალა და მისი ქმედობა გულგრილობით დააკვალიფიცირა.

კამათში გამოვიდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი თ. გერსამია: საცხებიტ ვეთანხმები დ. კურასკუას წინადადებას უწყებრივი რევიზიის საკითხებში. რევიზორები მართლაც არ ავლენენ ან არ სურთ გამოავლინონ რევიზიის დროს აღმოჩენილი ნაკლოვანებანი იმ მიზნით, რომ არ შეილახოს ამა თუ იმ საწარმოს თუ დაწესებულების ავტორიტეტი. საჭიროა ფინანსთა სამინისტროსთან მოხდეს სარევიზიო აპარატის ცენტრალიზება. სარევიზიო აპარატის მუშაკების მიმართ გამოტანილ კერძო განჩინებებს დიდ ყურადღებას უთმობენ სათანადო ორგანოები. ამიტომ საჭიროა ძალზე ფრთხილად მივუდგეთ ამა თუ იმ რევიზორის მიმართ კერძო განჩინების გამოტანის საკითხს, რადგანაც იმ განჩინების საფუძ-



ველზე შესაძლოა სათუოდ დადგეს ამ მუშაკის ადგილზე ყოფნის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **ა. ხათარია** შეიძლება არ დგას გამოძიების ხარისხი. მიმდინარე წელს ვინილავდი ხანდაზღვევის მუშაკების საქმეს. საქმეს იძიებდა რაიონის პროკურორი მიგინეიშვილი და როდესაც მიხვდა, რომ აღნიშნული საქმე უხარისხოდ იყო გამოძიებული, რაიონულ გაზეთში გამოაქვეყნა წერილი, სადაც სამართალში მიცემულთა მკაცრად დასჯას მოითხოვდა. საქმე დამატებით გამოძიებას დაუბრუნდა.

ხშირად პროკურორები სრულიად მოუზადებელი ცხადებებიან პროცესზე, საქმეს არ იცნობენ. სახელმწიფო ბრალმძღვლის პროცესზე მოუზადებლად მოსვლა არამც და არამც არ შეიძლება. ამას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენი მუშაობის სერიოზული ნაკლია აგრეთვე ის, რომ გამწესრიგებელ სხდომაზე საქმეთა მოზადება-შესწავლა არ დგას სათანადო დონეზე. გამწესრიგებელ სხდომაზე საქმეები უნდა გატარდეს მათი დეტალურად შესწავლის შემდეგ. საკითხიც მოსავარგებელია.

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი **ა. შუშანაშვილი**: მე მინდა პლენუმის მონაწილეთა ყურადღება მივაქციო სოციალისტური ქონების გატაცების შესახებ საქმეების სასამართლო განხილვაში არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებებს და ვთხოვო პლენუმში მიღებულ დადგენილებებში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს მათ აღმოსაფხვრელად.

როგორც სტატისტიკის, ასევე ჩატარებული შემოწმების მასალების ანალიზით ირკვევა, რომ სასამართლოები უხეშად არღვევენ საქმის განხილვის ვადებს. გასულ და მიმდინარე წელს სოციალისტური ქონების გატაცების შესახებ საქმეთა 14—16 პროცენტი განხილულია ვადის დარღვევით. სოციალისტური ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების შესახებ საქმეთა ნახევარზე მეტი ვადის დარღვევით იხილება. არის შემთხვევები, როდესაც საქმეები თვითონ და ზოგჯერ წლობით განუხილველია სასამართლოში. მაგალითად, ნ. რძის საქმე (ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 99 მუხ. მე-3 ნაწ.), რომელიც აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოში წარმართა განსახილველად 1971 წლის 11 ივნისს, დღემდის სასამართლო ინსტანციებში ტრიალებს და საბოლოოდ ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. შ. ბ-ს საქმე (ბრალდება გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლის მე-3 ნაწ.) ექვს თვეს იღო განუხილველად ბათუმის სა-

ხალხო სასამართლოში, სამართალში მიცემულ კი აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული ჰქონდა პატიმრობა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ საქმის განხილვის ვადების დარღვევის შესახებ სასამართლო სტატისტიკის მონაცემები არ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას. მაგალითად, სტატისტიკის თანახმად, ხაშურის სახ. სასამართლომ 1972 წელს ვადის დარღვევით განიხილა საქმეთა 15 პროცენტი, შემოწმებით კი დადგინდა, რომ ვადის დარღვევით განხილული იყო 52 პროცენტი. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სასამართლო სტატისტიკა ვადის დარღვევით განხილულად თვლის მხოლოდ იმ საქმეებს, რომელთა განხილვა დაიწყო ერთი თვის შემდეგ დღიდან საქმის სასამართლოში მიღებისა. ჩვენი რეგისტრაციის კანონმდებლობით კი, საქმის განხილვა უნდა დაიწყოს საქმის მიღებიდან არაუმეტეს 21 დღისა.

გასაგებია, რომ საქმის ვადის დარღვევით განხილვა ამცირებს სასჯელის გამაფრთხილებელ მნიშვნელობას, იწვევს პროცესის მონაწილეთა სამართლიან გულსწყრომას, საჩივრების ზრდას, უარყოფით გავლენას ახდენს საბჭოთა მართლმსაჯულების ავტორიტეტზე.

უნდა გაუმჯობესდეს სასამართლოს დასჯით პრაქტიკა. არა მგონია ნორმალურად ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მაშინაც კი როდესაც სსხლის სამართლის კოდექსის მუხლი სოციალისტური ქონების გატაცებისათვის სასჯელის არასაპატიმრო ღონისძიებას ეფარდება. სოციალისტური ქონების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გამატაცებელთა დიდ ნაწილს ეფარდება სასჯელის მინიმუმი ან მინიმუმამდე ნაკლები.

სერიოზული ნაკლოვანებებია აღნიშნული კატეგორიის საქმეების სასამართლო განხილვისას კანონით გათვალისწინებული პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაში.

სასამართლოები ღრმად არ იკვლევენ დანაშაულის კონკრეტულ მიზეზებს და ხელისშემწყობ პირობებს, კერძო განჩინებები ხშირად დაუხსნებელია და ატარებს მხოლოდ ინფორმაციის, შეტყობინების ხასიათს. საქმის გამწვანებულ სესიაზე განხილვა ხშირად ატარებს ფორმალურ ხასიათს და ემსახურება მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების ზრდას. ზოგჯერ სასამართლოები საქმეს გამსვლელი სესიით იქ კი არ განიხილავენ, სადაც პროცესს შეიძლება მეტი აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი მნიშვნელობა ჰქონდეს, არამედ იქ, სადაც მოხვდებათ — მილოციის წითელ კუთხეში, სახლმმართველობაში და ა. შ. საქართველოს

სსრ უმაღლესმა სასამართლომ კი დანერგა მცდარი პრაქტიკა და რაიონებში ჩაღწეულ დანაშაულის შესახებ საქმეებს ხშირად განიხილავს უმაღლესი სასამართლოს შენობაში. ასეთ პრაქტიკას, გარდა იმისა, რომ იგი პროცესს უკარგავს აღმზრდელი მნიშვნელობას, შედეგად მოსდევს სახელმწიფო სახსრების უნაყოფო ხარჯვა, ადამიანების მათი ძირითადი საქმიანობის მოცდენა.

მე სავსებით ვეთანხმები ე. ხითარიშვილის განცხადებას. ის ნაკლოვანებები, რაც საპროკურორო ზედამხედველობას ახასიათებს, ჩვენ ვიცით და გვლებულობთ ზომებს მათი აღმოფხვრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **ნ. ერქომაიშვილი**: საქმეთა განხილვის ვადების დარღვევა, უპირველეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ საქმეები ძალზე უხარისხოდ არის გამოძიებული. ჩვენ ორმაგი მუშაობა გვიხდება — როგორც გამოძიების ჩატარება, ისე სამსჯავრო გამოძიების ჩატარება. როდესაც ჩვენთან ასეთი გამოძიებული საქმე შემოვა, არა მარტო უნდა დავაბრუნოთ დამატებით ვამოძიებას, არამედ კერძო განჩინება უნდა გამოვიტანოთ და აღვნიშნოთ, რომ ამის მოთმენა და ასე მუშაობა შეუძლებელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოში იყო ასეთი კარგი პრაქტიკა — როდესაც იხილებოდა საქმეები პირველი ინსტანციით, განაჩენის გამოტანის შემდეგ, განაჩენის გამოტანი მოსამართლე, პარტორგანიზაციის მდივანი და ერთ-ერთი მოადგილე მიდიოდნენ იმ წარმოება-დაწესებულებაში, სადაც აღვნიშნავდნენ ამ დანაშაულებრივ ქმედობას, ახდენდნენ აღნიშნული საქმის ინფორმირებას. რატომღაც წელს ეს კარგი ტრადიცია მივიწყებულ იქნა ჩვენი ამხანაგების მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. იოსავა**: კატეგორიულად უნდა მოედოს ბოლო საქმეთა გაჭიანურებით განხილვას. არ უნდა დავუშვათ უხარისხოდ გამოძიებული საქმეების მიღება წარმოებაში. დღევანდელი პლენუმი შემობრუნების პუნქტი უნდა გახდეს ამ საკითხისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში მეტად დაბალ დონეზეა სახელმწიფოსათვის გაფლანგული ქონების ამოღება. გამოძიებულებმა ვერ ისწავლეს ქონების

დაცვადაღება. ვერ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან ქონების დაცვადაღებასა და ქონების აღწერას. ვერც ერთ სისხლის სამართლის საქმეში ვერ ნახავთ აღწერისა და დაცვადაღების ოქმს ერთდროულად.

ერთი საკითხი. როდესაც საბრალდებო დასკვნაში ჩაიწერება, რომ ამა თუ იმ პირის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების ვითრ შექმნილია ესა თუ ის ქონება, ასეთ შემთხვევაში იგი არ შევა მეთულვთა საერთო თანასაკუთრებაში და ეს ჩათვლება ბრალდებულის პირად საკუთრებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **უ. კობიაშვილი**: სოციალისტური საკუთრების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი მუდამ იყო და იქნება ყურადღების ცენტრში. როგორც ცნობილია, წელს ამ საკითხზე განზოგადება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლომაც, რესპუბლიკის პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომაც. ყოველწლიურად აღნიშნული კატეგორიის დანაშაულზე ასეთი მოცულობით განზოგადების გაკეთება ძალიან ძნელია, დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვს. კარგი იქნებოდა რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ, პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ კოორდინირებულად იმუშაონ ამ მიმართებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი **ი. სუმბათაშვილი**: ჯერ კიდევ გვხვდება შეცდომები სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცების საქმეების განხილვისას. ასე მაგალითად, ქ. თბილისის 26 კომისიის სახ. სამართლომ მ. ყურაშვილის ქმედობა საქართველოს სსრ სსკ 94 მუხლის მესამე ნაწილით დააკვალიფიცირა, იმ დროს, როდესაც მსჯავრდებულს დანაშაული ბოლომდე არ ჰქონდა მიუვანილი. სასამართლო კოლეგიამ ყურაშვილის ქმედობა საქართველოს სსრ სსკ 17—94 მუხლის მესამე ნაწილით დააკვალიფიცირა. აღნიშნულ სასამართლოში სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცების თერთმეტი საქმიდან ოთხი შეცდომით იქნა განხილული. ეს არც ისე ცოტაა.

უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოში სათანადო სიმაღლეზე დგას სასამართლო პროცესის მსვლელობის გა-

ფორმების კულტურა. სამსჯავრო სხდომის ოქმები ადვილად იკითხება, განაჩენები იბეჭდება, სასამართლო დოკუმენტები წიგნიერად არის დაწერილი. ეს კი შესაძლებლობას იძლევა ადვილად და ჩქარა შემოწმდეს საქმე.

მისასალმებელია, რომ პლენუმი დროულად იხილავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეთა სასამართლო პრაქტიკას. პლენუმის მითითებანი ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვას და პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ედიშერაშვილი: სოციალისტური საკუთრების დაცვა თითოეული საბჭოთა მოქალაქის წმინდათაწმიდა კონსტიტუციური მოვალეობაა. დიდი და სერიოზულია ამ საქმეში სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების როლი.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით გატაცებული თითოეული საქმე საგანგებოდ, ზედმიწევნით მომზადებულად, პრინციპულად, მაღალკვალიფიციურად, სრულყოფილად და ოპერატიულად უნდა იქნეს განხილული.

სასამართლო პროცესზე დანთებული ცეცხლი ჯაჭვური რეაქციით უნდა გაგრძელდეს პროფი-

ლაქტიკურ სფეროში — პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში, კოლექტივში, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი.

საქმის განხილვის დროს მოსამართლის საქმიანობა განაჩენის გამოტანით არ უნდა დამთავრდეს. სასამართლომ პირუთენელად უნდა დააყენოს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვისი დაუდევრობით თუ დოჟალაბობით, უპასუხისმგებლობით თუ უცოდინარობით შესაძლებელი გახდა სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება, იმათი — ვის ქვემდებარე დაწესებულებაშიც არაერთგზის ხდება ასეთი დანაშაული, იმათი — ვინც მატერიალურ პასუხსაგებ თანამდებობაზე მიიღო წინათ ანგარებითი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირი.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კარანაძემ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები კონკრეტულ საქმეთა გამო.

ლ. ინაბაძე

# მეცლე ტნობები

## საგანმანათლებლო-პრაქტიკული კონფერენცია

პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსა და საქართველოს სსრ პროკურატურის თაოსნობით გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი და სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება“.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანმა ნ. გურგენიძემ.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ე. ნეიძე („შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხები შრომის კანონთა კოდექსში“), საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა („შრომითი დავების განხილვა სასამართლო ორგანოებში“), საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პრობლემების სამმართველოს უფროსი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი შ. პაპიძე („შრომის კანონმდებლობის პრობლემების

როლი მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საქმეში“), თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე გ. ლოზუანიძე („პროფკავშირების საფუძვლიანი, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების საქმიანობა შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში“), საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს გამგე ვ. შარაშენიძე („შრომის კანონთა კოდექსის ზოგიერთი ნორმის გამოყენების საკითხი), საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ვ. ასეიშვილი („საპროკურორო ზედამხედველობის როლი და ამოცანები შრომის კანონმდებლობის დარღვევებთან ბრძოლაში“), საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი ე. მეტრეველი („იურიდიული სამსახური სახალხო მეურნეობაში და სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება“), იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ლ. აღეიშვილი („შრომის კანონის კოდექსი და ახალგაზრდობის შრომის უფლებები“).

## მიზნობრივი შედეგად

საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიონის სსდმითა დარბაზში აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკები შეხვდნენ დუშეთის წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივების წარმომადგენლებს. შეხვედრის თემა იყო — „სოციალისტური საკუთრების დაცვა თითოეული მოქალაქის მოვალეობა“.

შეხვედრაზე მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამართ-

ველოს განყოფილების უფროსის მოადგილემ გ. ჩაჩიბაიამ, დუშეთის რაიონის პროკურორმა მ. მამუჩაშვილმა.

სალამოზე სიტყვებით გამოვიდნენ დუშეთის რაიონის სახ. სასამართლოს თავმჯდომარე ა. გათენაშვილი, დუშეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე შ. გრიგორია, მჭადიჯვრის კოლმეურნეობის პარტიორგანიზაციის მდივანი ა. კელიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პრობლემების სამმართველოს კონსულტანტი ზ. ზანდუკელი და სხვ.

5. გვირგვინი

## სამოქალაქო საქმიანობა

1. ზიანისათვის პასუხისმგებლობა მოპასუხეს დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მიზეზობრივი კავშირი მის ქმედობასა და დამდგარ ზიანს შორის.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. საჩენკოს დააკისრა მ ნიქაბაძისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 594 მანეთის გადახდევინება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1972 წლის 28 მარტის განჩინებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმება და საქმის სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი გარემოებების გამო:

მხარეები ცხოვრობენ „კავებპროტრანსის“ სამართველოს სახლში. მოსარჩელე ცხოვრობს მერვე სართულზე, მისი ბინის თავზე, სახლის ჭერში დადგმულია სახლის გათბობის დანადგარი, რომლიდანაც 1971 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში გადმოხეთქა ცხელმა წყალმა და მოსარჩელეს დაუზიანა ახლად გარემონტებული ბინა და ავეჯი.

სარჩელი მ. ნიქაბაძემ წარადგინა მეზობლების ე. საჩენკოსა და კ. ციციშვილის მიმართ და აგრეთვე „კავებპროტრანსის“ მიმართ იმ მოტივით, რომ საჩენკომ და ციციშვილმა მათ ბინებში გადაადგილეს რადიატორები, რადროსაც ხელოსნებმა გამოითიშეს გათბობა, დააზიანეს დანადგარი, ხოლო „კავებპროტრანსს“ ზომები არ მიიღო დაზიანებული დანადგარის შესაკეთებლად, მიუხედავად მობინადრეთა განცხადებებისა.

სასამართლომ „კავებპროტრანსი“ გაათავისუფლა ზიანის ანაზღაურებისაგან, დაეყრდნო რა „კავებპროტრანსის“ მუშაკების მიერ შედგენილ აქტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ზიანი „კავებპროტრანსის“ ბრალით არ არის გამოწვეული.

სასამართლომ არ დაადგინა, დანადგარი დააზიანეს საჩენკოსა და ციციშვილის მიერ მოწვეულმა მუშებმა, თუ ის ადრევე არ იყო წესრიგში.

სასამართლომ ამასთან არ გაითვალისწინა, რომ „კავებპროტრანსს“, როგორც სახლის მფლობელს, ეკისრებოდა პასუხისმგებლობა გათბობის დანადგარის მუშაობაზე. დადგენილია რომ მოსარჩელე ადრევე მიმართავდა „კავებპროტრანსის“ სამართველოს თხოვნით, შეეკეთებინათ დანადგარი, მაგრამ მოსარჩელის განცხადებები რეაგირების გარეშე რჩებოდა.

სასამართლომ პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა კ. ციციშვილი და ეს იმით დაასაბუთა, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები არ საჭიროებდა დანადგარის გამოთიშვას. უგულებელყოფილია ის გარემოება, რომ, როგორც თვით ციციშვილმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, მან რადიატორის მილი გამოცვალა. რადიატორის მილის გამოცვლა კი შეუძლებელი იყო გათბობის დანადგარის გამოთიშვად.

დააკისრა რა ზიანის ანაზღაურება მხოლოდ ე. საჩენკოს, სასამართლომ მხოლოდ იმით იხელმძღვანელა, რომ მან სარჩელი ნაწილობრივ ცნო, და არ გაითვალისწინა ის, რომ ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია იმის დადგენა, არის თუ არა მოპასუხეთა მოქმედება მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან. ამ ძირითადი საკითხის გაურკვევლად შეუძლებელია საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1972 წლის 12 ივნისის დადგენილებით პროტესტი გაზიარებულ იქნა: გაუქმდა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სახალხო სასამართლოს.

2. თუ ლიტერატურული ნაწარმოები გამოყენებულია, მხოლოდ ხელშეკრულების უქონლობა ან ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დაუცველობა ვერ დაედება საფუძვლად ავტორისათვის გასამრჯელოს გადახდაზე უარის თქმას.

დრამატურგმა ე. მღებრიშვილმა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს თოჯინების თეატრისათვის ჩააბარა პიესები „ლამაზა“ და „ონავარი“. სახლმა პიესები დასადგმელად დაუგზავნა რაიონულ თეატრებს. პიესა „ლამაზა“ 1968-70 წლებში დაიდგა რუსთავის, ლაგოდეხის და წნორის კულტურის სახლების სახალხო თეატრებში. ჩატარდა 55 წარმოდგენა. დადგმების შემოსავალმა შეადგინა 2858 მანეთი. „ონავარი“ დაიდგა გორის კულტურის სახლში 1970 წელს და შემოსავალმა შეადგინა 632 მანეთი.

ავტორს პიესა „ლამაზასათვის“ გადაუხადეს 30 მანეთი, ხოლო „ონავარი“ ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა უფასოდ ჩაიბარა.

საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველომ სასამართლოში აღძრა სარჩელი და მოითხოვა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს დაკისდებოდა მღებრიშვილის სასარგებლოდ გადაეხადა ჰონორარი — 870 მანეთის ოდენობით.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ 1971 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დააკმაყოფილა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1971 წლის 19 მაისის განჩინებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა მოცემულ საქმეზე სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საკასაციო კოლეგიის განჩინების გაუქმება და საქმის სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 თებერვლის და 1970 წლის 13 მაისის დადგენილებებით სადადგმო ჰონორარი პიე-

სებზე თოჯინების თეატრისათვის დაწესებულია 450, 1050 და 1500 მანეთის ოდენობით.

აღნიშნულის გამო ე. მღებრიშვილს ორ პიესაში უნდა მიეღო ჰონორარი არანაკლებ 900 მანეთისა.

სახალხო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ე. მღებრიშვილსა და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს შორის ხელშეკრულება გაფორმებული არ ყოფილა და რომ სარჩელი ხანდაზმულია.

„საავტორო უფლებებიდან გამომდინარე დავათა სასამართლოებში განხილვის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 19 დეკემბრის № 9 დადგენილების მეორე პუნქტის თანახმად, თუ ლიტერატურული ნაწარმოები გამოყენებულია, მხოლოდ ხელშეკრულების უქონლობა ან ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დაუცველობა ვერ დაედება საფუძვლად ავტორისათვის გასამრჯელოს გადახდაზე უარის თქმას.

ამავე დადგენილებაში მითითებულია, რომ თუ ხელშეკრულებაში შესულია ისეთი პირობები, რომლებიც აუარესებენ ავტორის მდგომარეობას, ისინი სასამართლომ ზათილად უნდა ცნოს და შეცვალოს იმ პირობებით, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს.

ამრიგად, ის გარემოება, რომ არ არსებობდა ხელშეკრულება და რომ ავტორს პიესა „ლამაზასათვის“ 30 მანეთი გადაუხადეს, არ იძლევა საფუძველს სარჩელზე უარის სათქმელად.

პიესები დაიდგა 1969-70 წლებში და ჰონორარის მოთხოვნის უფლებაც ამ დროიდან წარმოიშვა. ამრიგად, მოსარჩლის მიერ ხანდაზმულობის ვადა გამოვებული არ არის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 12 ივნისის დადგენილებით პროტესტი დააკმაყოფილა, გააუქმა სასამართლო დადგენილებები და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა სახალხო სასამართლოში.

### 3. სასამართლოს მიერ სპეციალისტების დასკვნის უარყოფა სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული.

ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სასამართლომ 1972 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა შ. ვაშაიძის შემხვედარი სარჩელი ტ. შიშკინას მიმართ შემინული აივნის მოხსნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1972 წლის 24 თებერვლის განჩინებით გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ



პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა გადაწყვეტილების და განჩინების გაუქმება შემხვედრი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და საქმის ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად სახალხო სასამართლოში დაბრუნა შემდეგი ვარემოებების გამო:

ბ. ვაშაიძე და ტ. შიშკინა ცხოვრობენ ქ. თბილისში, შაუმიანის ქ. № 91-ში, რკინიგზის საუწყებო სახლში, ერთმანეთის მეზობლად. შიშკინას 6 სულისაგან შემდგარ ოჯახს უჭირავს ერთი 21 კვ. მ. ოთახი, ხოლო ვაშაიძის 5 სულისაგან შემდგარ ოჯახს ორი ოთახი 44 კვ. მ.

1970 წელს ვაშაიძემ თვითნებურად გატინრა მხარეთა საერთო სარგებლობაში არსებული აივანი.

სახლის მფლობელმა რკინიგზის სახლმმართველობამ და შიშკინამ შეიტანეს სასამართლოში სარჩელი ვაშაიძის მიერ თვითნებურად დაყენებული ტინრის მოხსნის შესახებ.

ამით განაწყენებულმა ვაშაიძემ შეიტანა შემხვედრი სარჩელი და მოითხოვა შიშკინას მიერ ჯერ კიდევ 1959 წელს შემინული და მის სარგებლობაში მყოფი აივნის მოხსნა.

სასამართლომ, თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 311 მუხლისა, მიმართა ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომს.

საკითხის შესწავლის შემდეგ რაიონმასკომმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნა, რომ ღერეფანში ტინარი ვაშაიძის მიერ

უნებართვოდ არის დაყენებული და ეს ტინარი აუარესებს შიშკინას ოჯახის საბინაო პირობებს, ხოლო შიშკინას მიერ 1959 წელს მოწყობილი შემინული აივანი ხელს არ უშლის ვაშაიძის ოჯახს.

სახალხო სასამართლომ საკითხის სათანადოდ შემოწმების, ადგილობრივი დათვალიერების გარეშე დაასკვნა, რომ შემინული აივანი თითქოს ლახავს ვაშაიძის ინტერესებს.

ამ საკითხზე საქმეშია მხოლოდ ერთი დოკუმენტი — აღმასკომის გადაწყვეტილება, რომლის დასკვნის უარსაყოფად სასამართლოს სხვა რაიმე მტკიცებაზე არ მიუთითებია.

ამასთან სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის, რომ, როგორც დადგენილია, ანალოგიური შემინული აივანი მოწყობილი აქვს ამ სახლში მცხოვრებ ყველა დანარჩენ 26 ოჯახს მრავალი წლის წინათ. არ მიიღო მხედველობაში არც ის, რომ შიშკინას მრავალსულიანი ოჯახი, რომელსაც 21 კვ. მ. ოთახი უჭირავს, შემინულ აივანს ფაქტიურად ოთახად ჩმარობს, მას ბინის გაუმჯობესების აღრიცხვაზე აყვანაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ოჯახი დამატებით ამ 10 კვ. მ. შემინული აივანით, როგორც ოთახით სარგებლობს და რომ ამ შემინული აივნის მოხსნით საგრძნობლად შეილახება შიშკინას ოჯახის ინტერესები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 5 ივნისის დადგენილებით პროტესტი დააკმაყოფილა, გააუქმა მოცემულ საქმეზე სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საკასაციო კოლეგიის განჩინება და საქმე დააბრუნა სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

**4. ბინის დამქირავებელს ბინის კომუნალური მომსახურების გადასახადი შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომუნალურ მომსახურებას რეალურად ჰქონდა ადგილი.**

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. კაზიშვილის სარჩელი და თ. კანაჩაძეს დაეკისრა ბინის ქირასა და კომუნალური მომსახურების თანხების გადახდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1972 წლის 1 თებერვლის განჩინებით გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საკასაციო კოლეგიის განჩინების გაუ-

ქმება და საქმის სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი ვარემოების გამო:

მოსარჩელე მ. კაზიშვილი ცხოვრობს ქ. თბილისში, ანავის ქ. № 8-ში, კომუნალური სახლის ერთოთახიან ბინაში. მასთან ერთად ცხოვრობს მისი ყოფილი რძალი თ. კანაჩაძე.

ბინის ძირითადი დამქირავებელია მოსარჩელე და ის იხდის ბინის ქირას და კომუნალური მომსახურების გადასახადს.

მხარეები ცალ-ცალკე ოჯახებად ცხოვრობენ ერთ ოთახში.

აღრძა რა სარჩელი, მ. კაზიშვილმა აღნიშნა, რომ იმის გამო, რომ თ. კანაჩაძე მისი ოჯახის წევრი არ არის (ის სასამართლოს გადაწყვეტი-

ლებითაა შესახლებული საერთო ფართობი), საჭიროა ბინის ქირის და კომუნალური მომსახურების თანხების ნაწილის მასზე დაკისრება.

სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, თ. კანაჩაძეს დააქისრა მ. კაზიშვილის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გადასახდელი ქირის და კომუნალური მომსახურების თანხების ნაწილის (სულ 173 მან. და 70 კაპიკი) ანაზღაურება და მომავალში ყოველთვიურად ბინის ქირის, კომუნალური მომსახურებისა და ლექტროენერჯის ხარჯის — 4 მანეთისა და 83 კაპიკის გადახდევინება.

მოპასუხის მიერ წარმოდგენილ იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ მხარეები არ სარგებლობენ ვათობით და ცხელი წყლით და ამ სახის კომუნალური მომსახურებაზე მოსარჩელე გადასახადს არ იხდის.

მოსარჩელეზე დაკისრებულ თანხებში კი სასამართლომ გაითვალისწინა ვათობისა და ცხელი წლის გადასახადები.

ბინის კომუნალური მომსახურების გადასახადის დაკისრება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ კომუნალური მომსახურებას რეალურად ჰქონდა აღფიქვანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლომ პრეზიდუმის 1972 წლის 3 აპრილის დადგენილებით პროტესტი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საკასაციო კოლეგიის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სახალხო სასამართლოს.

1. დისციპლინარული სასჯელის დადების უფლება აქვთ იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ნიშნავენ პირს თანამდებობაზე

## საერთო ზედამხედველობის საზიო

1. დისციპლინარული სასჯელის დადების უფლება აქვთ იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ნიშნავენ პირს თანამდებობაზე

გეგეჭკორის რაიადმასკომის 1971 წლის 30 ივლისის № 250 გადაწყვეტილებით გეგეჭკორის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარე ნ. ნაჭყეაძე და იმავე კოოპერატივის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების გამგე ზ. ლურჯაია განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან სხვადასხვა დარღვევებისათვის.

ეს გადაწყვეტილება როგორც უკანონო, საქართველოს სსრ პროკურორმა გააპროტესტა.

სსრ კავშირის ცაკისა და სსრ კავშირის სახალხო კომისიამდე, საბჭოს 1929 წლის 13 ოქტომბრის დადგენილების სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების დისციპლინალური სასჯელის დადების უფლება ქვემდებარეობის მიხედვით აქვთ ამ პირებსა და ორგანიზაციებს,

რომელიც პირს ნიშნავს თანამდებობაზე.

სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს ირჩევენ და სათანადო შემთხვევაში გადარიჩევენ იმავე სოფლის კოოპერატივის გამგეობა, ხოლო სოფლის კოოპერატივის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების გამგეობა დაინიშნება კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მიერ. თუ რაიადმასკომს ამ პირთა სამუშაოზე დატოვება არ მიაჩნდა მიზანშეწონილად, საჭირო იყო მას ამის თაობაზე საკითხი დაეყენებინა გეგეჭკორის სოფლის კოოპერატივის გამგეობის წინაშე.

პროტესტის განხილვის შემდეგ აღმასკომის გადაწყვეტილების სათანადო პუნქტები შესწორდა.

2. კანონი არ ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული საავადმყოფო ფურცლების გადამოწმებას ექიმის მიერ

ზუგდიდის რაიადმასკომმა 1971 წლის 30 მარტის № 155 გადაწყვეტილებით დაავალა რაიონის საბჭოთა მეურნეობების პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეებს: „არ დაუშვან სხვა დაწესებულების მიერ გაცემული შრომის უზუნარობის ფურცლების განადგობა ექიმების თანხმობის გარეშე“.

ეს გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა. პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრ-

ლური საბჭოს და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისიარატი 1937 წლის 14 აგვისტოს ინსტრუქციით „საავადმყოფო ფურცლების გაცემის წესის შესახებ“, რომელშიც ცვლილებები და დამატებები შეტანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 22 იანვრის № 113 დადგენილებით, გათვალისწინებული არ არის რომ სამედიცინო დაწესებუ-

ლების მიერ გაცემული საავტოგოფო ფურცლები გადაამოწმონ წარმოება-დაწესებულებათა და საბჭოთა მეურნეობების ექიმებმა.

რესპუბლიკის პროკურორის პროტესტის საფუძველზე ეს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა.

### 3. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ვადა არ შეიძლება იყოს 15 დღეზე ნაკლები, დღიდან მისი გამოქვეყნებისა

წალენჯიხის რაიადმასკომის 1971 წლის 30 სექტემბრის № 350 გადაწყვეტილება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების შესახებ ძალაში შევიდა გამოქვეყნებიდან ხუთი დღის ვადაში.

საქართველოს სსრ პროკურორმა თავისი პროტესტით დააყენა საკითხი გადაწყველილება მოეყვანათ კანონის შესაბამისობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ მე-10 მუხლის თანახმად გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ვადა არ შეიძლება იყოს 15 დღეზე ნაკლები, დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

პროტესტის მოთხოვნა გაზიარებულ იქნა.

### 4. რაიადმასკომის გადაწყვეტილება პირის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ გაუქმებულია, როგორც კანონსაწინააღმდეგო

კასპის რაიადმასკომის 1973 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ადიანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მოლარე-მონაგარიშე ვ. ზ. ბრძოლელი განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან იმ მოტივით, რომ თვითნებურად დაამუშავა 0,16 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწის ნაკვეთი.

საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე პროტესტით შევიდა რაიადმასკომში და მოითხოვა ამ გადაწყვეტილების გაუქმება, ვინაიდან იგი კანონსაწინააღმდეგოა. მიწის თვითნებურად დამუშავების მოტივით მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლებას არ ითვალისწი-

ნებს შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 მუხლი და არც სხვა ნორმატიული აქტი. ამავე საფუძვლების მე-18 მუხლის თანახმად კი შრომის ხელშეკრულების გაუქმება ადმინისტრაციის ინიციატივით დაუშვებელია ადგილობრივი კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე. ეს მოთხოვნა არ იყო დაკული.

პროტესტი მოითხოვდა ვ. ზ. ბრძოლელის სამუშაოზე აღდგენას და იძულებითი გაცდენის დროისათვის სამი თვის საშუალო ხელფასის ანაზღაურებას.

კასპის რაიადმასკომმა გაიზიარა პროტესტის მოთხოვნა.

### 5. ადმინისტრაციის უფლება არა აქვს მუშაკი სამუშაოდან დაითხოვოს კანონით დადგენილი ორი კვირის ვადის გასვლამდე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთავარმა ბუხ-პალატორმა ინსტიტუტის დირექტორს განცხადებით მიმართა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. აკადემიის პრეზიდენტის ბრძანებით იგი განთავისუფლებულ იქნა კანონით დადგენილი ორკვირიანი ვადის გასვლამდე.

საქართველოს სსრ პროკურორმა თავისი პროტესტით მოითხოვა ამ ბრძანების გაუქმება, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ორკვირიანი ვადის შემცირებას.

პროტესტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა — ე. ვ. აზაურაშვილი აღდგენილია სამუშაოზე.

1. თუ განრიგის გამცემ მომარაგება-გასაღების ორგანოს მონაცემები მყიდველთა მიხედვით ფონდების განაწილების შესახებ დროულად არ წარედგინა, ჯარიმა იმ ორგანოებს გადახდება, რომლებიც ნაჩვენები არიან პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების 75-ე მუხლში

საქმშენაწარმო-მომარაგება-გასაღების სამმართველომ სარჩელი აღძრა და მოითხოვა აფხაზეთის ასსრ საგემო კომისიისაგან 250 მან. ჯარიმის გადახდევინება იმ საფუძველით, რომ, პროდუქციის მიწოდების დებულების მე-8 მუხლის საწინააღმდეგოდ, საგემო კომისიამ დროზე არ აცნობა მას გამოყოფილი ფონდების მომხმარებლებისათვის განაწილება.

სახელმწიფო არბიტრაჟმა ეს სარჩელი დააკმაყოფილა. საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის შედეგად არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაუქმდა, ხოლო მოსარჩელეს უარი ეთქვა. ზედამხედველობის წესით გამოტანილ დადგენილებაში მითითებულია, რომ პროდუქციის მიწოდების დებულების 75-ე მუხლის თანახმად, თუ


განრიგის გამცემ მომარაგება-გასაღების ორგანოს მყიდველთა მიხედვით ფონდების განაწილების შესახებ მონაცემებს დროულად არ წარმოუდგენენ სამინისტროები ან უწყებანი, ფონდ-მფლობელნი (სამეურნეო ანგარიშის უფლების მქონე სამმართველოების, განყოფილებებისა და სხვათა სახით), რომელთაც ეკისრებათ პროდუქციის განაწილება, ამ ორგანოს უხდიან ჯარიმას 25 მანეთის ოდენობით, ყოველ ვადაგასულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს 250 მანეთისა. ვინაიდან საგემო კომისია არ არის ასეთი სამეურნეო ანგარიშზე მყოფი არც სამმართველო და არც განყოფილება, ზემოთნაჩვენები ჯარიმის მისგან გადახდევინება უკანონოა.

## 2. რკინიგზის ვაგონის კომერციული ვარგისიანობის შემოწმება საქონლის გამომგზავნის ვალდებულება

ერევნის ცხიმკომბინატმა საქვალანტერიის საქართველოს ბაზას მიაწოდა ერთი ვაგონი ტულეტის საპონი. დანიშნულების სადგურში ტვირთის მიღების დროს აღმოჩნდა, რომ ვაგონის ერთ-ერთი ლიუკი ღია იყო, რისთვისაც მიმღებმა მოითხოვა მისული ტვირთის რაოდენობის შემოწმება. შედგა კომერციული აქტი, რომლის მიხედვით ვაგონი ტექნიკურად წესიერულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, გამომგზავნის პლომები კი ხელუხლები. ტვირთს არ ემჩნეოდა გატაცების ნიშნები, მაგრამ სატრანსპორტო საბუთებთან შედარებით დადგინდა ცხრა ყუთი საპონის დანაკლისი. კომერციულ აქტში აღინიშნა, რომ ეს ცხრა ყუთი ვაგონში ჩაეტეოდა.

საქვალანტერიამ აღძრა სარჩელი რკინიგზის სამმართველოსა და ერევნის ცხიმკომბინატის მიმართ. არცერთმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. ტვირთის გამომგზავნმა ცხიმკომბინატმა განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა მომხდარი დანაკლისისათვის რკინიგზას უნდა დაეკისროს, რადგან ვაგონის ლიუკი ღია აღმოჩნდა და, მას-

სადამე, დანაკლისი გზაში წარმოიშვა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მიუთითა, რომ ვაგონი და მისი პლომები წესიერულ მდგომარეობაში იყო, ხოლო ტვირთის გამომგზავნის არ უნდა ჩაეტვირთა საპონის ისეთ ვაგონში, რომლის ლიუკები არ იყო სათანადოდ დაცული. არბიტრაჟის გადაწყვეტილებით პასუხისმგებლობა დაეკისრა ტვირთის გამომგზავნს. რკინიგზის წესდების 46-ე მუხლის თანახმად რკინიგზა ვალდებულია მისცეს ტვირთის გამომგზავნს ვაგონები ტექნიკურად გამართული, გასუფთავებული და ვარგისი მოცემული ტვირთის გადაზიდვისათვის, იგივე 46-ე მუხლი ავალდებს საქონლის გამომგზავნს შეამოწმოს ვაგონის კომერციული ვარგისიანობა მოცემული ტვირთის გადაზიდვისათვის, ხოლო თუ ჩაყენებული ვაგონი ვერ უზრუნველყოფს გზაში ტვირთის დაცულობას, ტვირთის გამომგზავნი ვალდებულია ასეთ ვაგონში საქონლის ჩატვირთვაზე უარი განაცხადოს, ვინაიდან ლიუკის გახსნა ვაგონზე პლომების დადების შემდეგ შეუძლებელი იყო, ხოლო ლიუკის ღია მდგომარეობა ვერ მიეკუთვნება ვაგონის ფარულ დეფექტებს,



ამის გამო და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1968 წლის 29 მარტის № 0-1-9 ინსტრუქციის შესაბამისად აღმოჩენილი დანაკლო-

სისათვის პასუხი უნდა ეგო საქონლის გამოგზავნის, რომელმაც დაუშვა ტვირთის უვარგისი ვაგონით გამოგზავნა.

**3. უგანრიგოდ პროდუქციის გაცემისათვის დადგენილი ჭარბი მაშინაც კი გადახდება გამცემ ორგანიზაციას, როდესაც ეს მისი ზემდგომი ორგანოს მითითებით მოხდა**

„საქმუნწახშირმარგასადებამ“ აღძრა სარჩელი თელავის ფიქალმარმარლოს კომბინატისაგან 3.419 მან. ჭარიმის გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა უგანრიგოდ გაცემული მარმარლოს ფილების ღირებულების 50 პროცენტს. სარჩელი დააკმაყოფილეს. არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხე ორგანიზაციის ზემდგომმა ტრესტმა „საქმარმარლომ“, რომელიც აცხადებდა, რომ თელავის კომბინატს ჭარიმა უსაფუძვლოდ გადახდა, რადგან მან შეასრულა ტრესტის ვანკარგულება, ზოგიერთი ისეთი ობიექტებისათვის ფილების გაცემის შესახებ, რომლებიც არ იყო შეტანილი პროდუქციის განა-

წილების გეგმაში. ტრესტი „საქმარმარლომ“ საჩივარი უშედეგოდ იქნა დატოვებული. მომჩივანს მიეთითა, რომ უგანრიგოდ პროდუქციის გაცემა წარმოადგენს სახელმწიფო საფონდო დისციპლინის სერიოზულ დარღვევას თელავის ფიქალ მარმარლოს კომბინატის მხრივ. ის რომ ასეთი დარღვევა დაშვებულია ტრესტ საქმარმარლოს მითითებით, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1972 წლის 14 იანვრის № 0-1-2 ინსტრუქციული წერილის თანახმად არ ათავისუფლებს მას კანონით დადგენილი პასუხისმგებლობიდან.

**4. არბიტრაჟმა არ მიიღო მოსარჩელის დაუსაბუთებელი უარი ხელშეკრულების დამრღვევი მხარისაგან პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე**

აზერბაიჯანის მთავარმა სააფთაქო სამმართველომ აღძრა სარჩელი თბილისის ორგანოთერაპევტიული პრეპარატების ქარხნისაგან პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე 1972 წლის II კვარტალში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამედიცინო პროდუქციის უკმარშიწოდებისათვის.

დავის გარჩევის პროცესში მოპასუხემ ითხოვა მხარეების ურთიერთ ანგარიშების შედარების მოხდენა, რისთვისაც საქმის განხილვა პირველი სხდომიდან გადაიდო. მეორე სხდომის დღისათვის მოსარჩელე ორგანიზაციამ გამოგზავნა არბიტრაჟში დეპეშა, რომლითაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვა აღძრული საქმის წარმოებით მოსპობა. არბიტრმა სარჩელი დააკმაყოფილა სრულად და გასცა ბრძანება მისი უმაღლე სისრულეში მოყვანისათვის, ვინაიდან

მოპასუხემ ვერ დაამტკიცა სადავო პერიოდში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ხოლო მოსარჩელეს დეპეშა აშკარად იყო გამოწვეული, მხოლოდ სურვილით „აპატიოს“ მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი. მოსარჩელეს ასეთი მოქმედება არა სწორი იყო, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 დადგენილებას საწარმოებსა და ორგანიზაციების მატერიალურ პასუხისმგებლობის შესახებ და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1967 წლის 28 დეკემბრის № 0-1-59 ინსტრუქციულ წერილს, რომლითაც სახელმწიფო არბიტრაჟებს დაეჯალათ მკაცრად აღკვეთონ მხარეების მხრივ ამინსტირება საგვეგმო და სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევების შემთხვევაში.

**5. წაყენებულ ანგარიშში ნაწილობრივი შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში გადამხდელს არა აქვს უფლება მთლიანად თქვას უარი საგადასახადო მოთხოვნის აქცეპტზე**

ქ. ბაქოს სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ბაზამ უარი განაცხადა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ანგარიშის აქცეპტზე მიწოდების ხელშეკრულების დარღვევის მოტივით.

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ აღძრა სარჩელი, რომელშიც მიუთითა, რომ საგადასახადო მოთხოვნის საერთო თანხა შეადგენდა 6.019 მან. შეცდომა ფასების შეფარდებაში

დაშვებული იყო 1.139 მან. თანხაზე, ხოლო დანარჩენი 4.880 მანეთზე უარის თქმისათვის გადამხდელს საფუძველი არ ჰქონდა. ამიტომ ძირითადი დავალიანების გარდა მეტალურგიული ქარხანა მოითხოვდა პროდუქციის მიწოდების 31 მუხლით ვათვალისწინებულ ჯარიმას.

სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა. ბაქოს საბითუმო ბაზამ გაასაჩივრა არბიტრაჟის გადაწყვეტილება და გამოთქვა აღშფოთება იმის გამო, რომ მეტალურგიულმა ქარხანამ, რომელსაც შეცდომა მოუვიდა ანგარიშის გამოწერის დროს, „გაბედა“ ჯარიმის მოთხოვნა, ხოლო არბიტრაჟმა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა.

საჩივარი დატოვებულია უშედეგოდ. მომხივანს განუმარტა, რომ დებულების პროდუქციის მიწოდების შესახებ 50-ე მუხლის თანახმად, როცა საგადასახადო მოთხოვნაში გადიდებულია პროდუქციის ფასი, გადამხდელს უფლება აქვს ნაწილობრივ (და არა მთლიანად) თქვას უარი საგადასახადო მოთხოვნის აქცეპტზე. მოცემულ შემთხვევაში ზედმეტად წაყენებული იყო მხოლოდ 1,139 მან., ხოლო 4880 მან. გადახდაზე უარი სწორად არ იყო განცხადებული, რისთვისაც იმავე დებულების 21 მუხლის ძალით მას შეეფარდება ჯარიმა ამ თანხის (4880 მან.) 5 პროცენტის ოდენობით.

# ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1978 წელს გამოქვეყნებული მასალების  
საძიებელი

## მოსწინავე, სარედაქციო წერილები

რესპუბლიკის მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობის ამოღების ღონისძიებათა შესახებ, № 4, გვ. 3—6.

ცნობა საქართველოს სსრ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ, № 3, გვ. 3—4.

## სტატიები

ლ. ბახტრიონელი — ფიქრები დანაშაულის პროფილაქტიკაზე, № 1, გვ. 43—51.

ე. ბახუტაშვილი — სამართლებრივი პროპაგანდის ქმედითობისათვის, № 4, გვ. 7—13.

რ. გრძელიძე — სოციალისტური დემოკრატიის განვითარება საერთოენობათაშორისო კავშირთაშორის პოლიტიკური საფუძველი, № 5, გვ. 3—12.

მ. დოლიძე — მშენებლობის ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, № 1, გვ. 57—58.

ნ. ერკომაიშვილი — კანონიერების უმკაცრესი დაცვა — დანაშაულის ლიკვიდაციის საწინდარია, № 6, გვ. 55—64.

რ. თალაქვაძე — ქართველი ადვოკატები დიდ სამამულო ომში, № 1, გვ. 65—67.

გ. იოსავა, მ. ხუციშვილი — კანონის ზუსტად გატარებისათვის, № 1, გვ. 25—29.

მ. კომახიძე — სანოტარო ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის, № 1, გვ. 30—33.

მ. კომახიძე — მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საქმიანობის სრულყოფისათვის, № 6, გვ. 65—70.

ა. ლაბარტყავა — ქართველი მენშევიკების აგრესიული პოლიტიკის მარცხი, № 1, გვ. 59—64.

ა. ტავიძე — ავამდლოთ საპროკურორო ზედამხედველობის დონე, № 3, გვ. 5—10.

გ. ძოწენიძე — სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ, № 6, გვ. 3—12.

თ. წერეთელი, ე. მისკარიანი — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი შევრანზე ტერორისტთა წინააღმდეგ, № 5, გვ. 66—74.

გ. ხარატიშვილი — ა. ი. სუმბათაშვილი-იუჯენის ბიოგრაფიის ერთი ფურცელი, № 5, გვ. 75—77.

მ. ჯინველაშვილი — ვ. ი. ლენინი მეშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, № 2, გვ. 3—9.

ს. ჯორბენაძე — ილია ზურაბიშვილის ღვაწლი ქართული საკანონმდებლო ენის განვითარებაში, № 1, გვ. 72—77.

ს. ჯორბენაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის, № 4, გვ. 65—69; № 5, გვ. 58—65.

## სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, სახელმწიფო, საერთაშორისო სამართალი

ა. აბესაძე — საბჭოთა მოქალაქის უფლებების რეალიზაციის ზოგიერთი საკითხი სახელმწიფო მმართველობის სფეროში, № 6, გვ. 19—26.

თ. ბაქრაძე — ბუნების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის შესახებ, № 4, გვ. 46—55.

ჯ. ბაქრაძე — შოთა რუსთაველის სამართლებრივი ნააზრები და სამართლის ისტორიის ძირითადი დოქტრინები, № 3, გვ. 80—87.

მ. კეკელია — „მოხრობელი“ ბალს ზემოთ სენათის ჩვეულებით სამართალში, № 2, გვ. 70—74.

გ. ნადარეიშვილი — სხეულებრივი სასჯელები XI—XIV საუკუნეების საქართველოში, № 5, გვ. 78—85.

შ. პაპიძე — საბჭოების როლი კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, № 1, გვ. 3—10.

გ. უჯვანი — ადამიანის უფლებათა დღე, № 6, გვ. 15—20.

ბ. ფხალაძე — სამართლის შეფარდებითი დამოუკიდებლობის შესახებ, № 4, გვ. 56—58.

## სამოქალაქო სამართალი, პროცესი,

### არაბიტრაჟი

ო. გორდელაძე — კინემატოგრაფიაში შემოქმედებით მუშაკთა საკონკურსო წესით სამუშაოზე მიღება და სამუშაოდან დათხოვნა, № 5, გვ. 24—36.

თ. დადიანი — საქართველოს სსრ სახარბიტრაჟის საქმიანობის განხილვა სსრ კავშირის მი-

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნისტროს საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის სხდომაზე, № 5, გვ. 47—49.

✓ **ლ ისაკაძე** — სიახლე საავტორო სამართლის კანონმდებლობაში, № 3, გვ. 18—23.

**მ. კახაძე** — სამოქალაქო სამართალში კონკურსის არსის შესახებ, № 2, გვ. 17—24.

✓ **მ. კახაძე** — არქიტექტორთა საავტორო უფლებების გაფართოებისათვის, № 6, გვ. 27—35.

**ა. კობახიძე** — ასაღებ სახლში მცხოვრებ მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი, № 2, გვ. 10—16.

**ა. კობახიძე** — პირადი საკუთრების უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა, № 5, გვ. 13—23.

✓ **ნ. ნასარიძე** — საბრეტენო მუშაობა ახალი მოთხოვნების დონეზე, № 6, გვ. 71—74.

**ე. ნეიძე** — საბჭოთა პროფკავშირების სამართლებრივი მოქმედების სფერო, № 1, გვ. 19—24.

**ვ. შარაშენიძე** — საქართველოს სსრ შრომის კანონთა ახალი კოდექსი, № 4, გვ. 14—23.

✓ **რ. ცინცაძე** — სამეურნეო ხელშეკრულების ჭეშრთვად შესრულების სტიმულირება, № 2, გვ. 25—31.

✓ **ლ. ჩორგოლაშვილი** — რკინიგზის პასუხისმგებლობა ტვირთის დაზიანებისათვის, № 6, გვ. 36—45.

**ს. ჭავჭავაძე** — დროებით წასული პირებისათვის საცხოვრებელი ფართობის შენახვის წესი და პირობები, № 1, გვ. 11—18.

**ს. ჭავჭავაძე** — ოჯახის წევრთა საბინაო უფლებები და მოვალეობები, № 3, გვ. 11—18.

**სისხლის საპარტალნი, პროცესნი.**

**კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია**

**ი. ალანია** — სტატისტიკური ანალიზის ზოგიერთი ხერხის გამოყენება კრიმინოლოგიაში, № 2, გვ. 47—52.

**ჭ. ბაბილაშვილი** — ავტოსატრანსპორტო დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის, № 3, გვ. 24—31.

**მ. ვეფხვაძე** — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ახალი გამოცემა, № 5, გვ. 56—57.

**ნ. კველიშვილი** — კერძო განჩინების გაგებისათვის, № 2, გვ. 58—61.

**მ. კეიკოშაშვილი** — პროცესუალური მუშაობის ზოგიერთი საკითხი წინასწარ გამოძიებასა და მოკვლევაში, № 1, გვ. 34—42.

**ა. მიქაძე** — ბრალის შერეული ანუ ორმაგი ბუნების შესახებ, № 4, გვ. 25—36.

**ლ. სურგულაძე** — საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის (ზოგადი

ნაწილი) ძირითადი თავისებურებანი, № 2, გვ. 62—68.

**ი. უორდანი** — დანაშაულის ჩადენის ხერხის მნიშვნელობა სხეულის დაზიანების საქმეთა კვალიფიკაციისათვის, № 2, გვ. 32—39.

**მ. ქოსაშვილი** — წინასწარი გამოძიების სტადიაში პირის დაზარალებულად ცნობის საკითხისათვის, № 2, გვ. 53—57.

**პ. ჩხეიძე** — მკვლელობა ევკვიანობისა და შურისძიების ნიადაგზე, № 4, გვ. 37—45.

**პ. ჩხეიძე** — დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოების გარეშე ჩადენილი მკვლელობის ზოგიერთი სახე, № 6, გვ. 46—54.

**რ. ცინცაძე** — ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის კანონმდებლობის განვითარების ისტორიისათვის (1917-1938 წ.წ.) № 1, გვ. 52—56.

**რ. ქილოშვილი** — სამართალში მიცემულის დაკითხვის ფსიქოლოგიური საფუძვლები, № 5, გვ. 37—46.

**ა. ხოშტარია** — მოკავშირე რესპუბლიკების სსკ მუსულების შედარებითი ანალიზის მნიშვნელობა ცილისწამებისათვის სასჯელის ეფექტურობის ზომების დასადგენად, № 2, გვ. 40—46.

**ჯ. ჭარიაშვილი** — სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფესიულ-საქმიანობის ეფექტურობის უმნიშვნელოვანესი პირობა, № 5, გვ. 50—55.

**მხატვრული ნაწარმოებნი, პორტრეტებნი, ნარკვევებნი**

**რ. ვეფხვაძე** — ვახტანგ შანიძე (დაბადების 60 წლისთავისათვის), № 2, გვ. 75—76.

**მ. კვეხელავა** — დამოკლეს მახვილი, № 1, გვ. 82—91, № 2, გვ. 77—80. № 3, გვ. 88—92.

**ა. ნეკრესელაშვილი** — „ქმნა მართლისა სამართლისა“ (ნარკვევი მოსამართლე ვ. ესაიაშვილზე), № 5, გვ. 89—90.

იურიდიული სამსახურის დეპლამოსილი მუშაკი (ო. კობაშვილის დაბადების 50 წლისთავისათვის), № 5, გვ. 91.

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

ბიბლიოგრაფია. უურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1972 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი, № 1, გვ. 94—96.

**გ. გამსახურდია** — მონოგრაფია საქართველოს მილიციის ისტორიაზე, № 2, გვ. 81—82.

**ა. ხოქოლავა** — შრომა საბინაო კოოპერაციის შესახებ, № 1, გვ. 82—91.

**ოფიციალური მასალა**

კანონი სსრ კავშირის სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ, № 4, გვ. 70—78.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლები, № 4, გვ. 80—92.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი, № 3, გვ. 32—77.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 28 მარტის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 431 მუხლის დამატების შესახებ“, № 2, გვ. 69.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 28 მარტის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ“, № 2, გვ. 69.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულება — „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, № 3, გვ. 78—79.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 26 ივლისის ბრძანებულება — „შრომის კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“, № 4, გვ. 79.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1973 წლის 30 ივლისისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ქართული ტექსტის 951 მუხლის სანქციის რედაქციული შესწორების შესახებ“, № 5, გვ. 86.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულება — „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ“, № 5, გვ. 86—87.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ“, № 5, გვ. 87—88.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ სასხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“, № 6, გვ. 75.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში 233-ე მუხლის შეცვლის შესახებ“, № 6, გვ. 75.

არბიტრაჟის პრაქტიკა, № 5, გვ. 94—96, № 6, გვ. 91—93.

ინფორმაცია, № 2, გვ. 83—92, № 3, გვ. 93—96, № 4, გვ. 92—96, № 5, გვ. 92—93, № 6, გვ. 77—84.

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას, (თბილისში საცხოვრებელი ფართობის განაწილების ახალი წესი), № 1, გვ. 68—71.

შმაჩის ორგანოების პრაქტიკა, № 2, გვ. 94—95.

მოკლე ცნობები, № 1, გვ. 92, № 2, გვ. 93, № 6, გვ. 85.

საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა, № 6, გვ. 86—90.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე, № 6, გვ. 76.

**შპკროლოგი**

ა. ი. დიასმიძე, № 1, გვ. 93.

ტ. ს. ცირაკიძე, № 2, გვ. 96.

80970



3360 50 333

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 6

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Министерства Юстиции Грузинской ССР